

# ლიტერატურული გაზეთი

№ 10 18 სექტემბერი - 1 ოქტომბერი 2009

გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თეთრი



## პროზა

### ზაალ სამადაშვილი:

საოჯახო რელიკვიას რაც შეეხება, ახალი სამსახურის დაწყებიდან ერთი თვის თავზე, მამამ სწორედ ის წითელი ყუთი გადასცა დედას სწორედ იმ მედლით, რომელსაც თხუთმეტი ლარად შეველიეთ.




## პროზა

### ირაკლი ლომოური:

კომანდორმა ყლუპი მოსვა, ფიალა დადგა, ახალგაღესილი დაშნა ქარქაშიდან ამოიღო, დანისპირს ქათქათა თეთრი ნაჭერი საგულდაგულოდ შემოახვია, მარჯვენა ხელი მოსჭიდა, შემოაბრუნა, სტომაქისკენ წვერით მიიმარჯვა და ნელ-ნელა დაანვა — შერჭობა დაიწყო.

II

III



## პრეპიდან

### ლადო ასათიანი

გამოუქვეყნებელი ლექსები და პირადი წერილები

VIII-IX





ზაალ სამადაშვილი

ფეხსაცმელების საყიდლად წასვლა

დედამ რომ გამაღვიძა და მითხრა, დროზე ადექი, უნდა წავიდეთო, ამერიკულ კინოსავით მაგარ სიზმარს მოგვწყობი, — ვითომ იალქნებდაბერილი გემის საჭესთან ვიდექი, მხარზე დიდი მოლაპარაკე თუთიყუში მეჯდა და მონიწიანად მხარს მხარს ვიჭებოდი. „კაპიტანი ბლადის ოდისეა“ ახალი წაკითხული მქონდა და ცხადშიც არაბელა ბიშოპი და კორსარები მამოვდებოდა.

წამოვჯექი და ჩაცმა დავიწყე. არ მიზღუდუნია, კვირადღეს მაინც მაცალეთ ძილი-თქო. სიზმრის გავლენის ქვეშ ვიმყოფებოდი და ფლიბუსტიერთა ხომალდის მესაჭე კაცი ჩვეულებრივი მეშვიდეკლასელივით ხომ არ მოვიქცეოდი. თუმცა, ჩაცმას რომ მოვრჩი და გემბანიდან ჩვენ პატარა ბინაში ვადმოვიინაცვლე, ვიკითხე, რა მოხდა, სად მივდივართ-მეთქი. დედამ ტურქებთან მიიტანა თითი, ჩუმად ილაპარაკეო და ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით მითხრა, ბაზრობაზე ვართ წასასვლელიები, მამას ფეხსაცმელები უნდა ვუყიდოთო.

აღმოჩნდა, რომ გამთენიისას, მორიგეობიდან, კარგი ამბით დაბრუნებულა მამა და დაძინებამდე უთქვამს, შეიძლება, სხვაგან გადავიდეთ სამუშაოდ, ჩემ ცოდნასა და გამოცდილებას რომ შეეფერება, ისეთ ადგილასო.

მამაჩემი ერთხანს უმუშევარი იყო. თავის დროზე კარგ ფიზიკოსად ითვლებოდა, მაგრამ ლაბორატორიის გაუქმების შემდეგ, სადაც ის ურთულეს ექსპერიმენტებს ატარებდა, ახალი სამსახურის პოვნა ძალიან გაუჭირდა. ბევრი ეძებდა თუ ცოტა, მორიგე ელექტრიკოსოს ადგილს მიაგნო ერთ-ერთ საგარეუბნო ქვესადგურში. ნუთითაც არ უყვარს მანია, ისე შეუდგა მუშაობას. სად იყო დაფიქრების, ანონდანონის და არჩევის დრო. ომებით გაპარტახებულ და დაუძღვრებულ ქვეყანას მეცნიერებისთვის ხარჯის განხილვა აღარ შეეძლო. ცუდი დრო იდგა, ელექტროენერჯია დღეში ორი-სამი საათით მიენოდებოდა მოსახლეობას. გამწარებული ხალხი ხან ქურჩებს კეტავდა ქვეცხლოკიდებულები საბურავებით და ხან ქვესადგურებში მირობდა იქ მომუშავე ადამიანებთან საჩხუბრად. ასე რომ, ღამეების ტყევის გარდა, სხვა სიძნელეებიც ახლდა მამაჩემის სამსახურს.

ღამეების ტყევა აღარ მოუწევს და მეც ჩემი არ დამემართება მის დაბრუნებამდე, თქვა დედამ. რომელიღაც კერძო სკოლაში ფიზიკის მასწავლებლობა შეთავაზებინათ მამასთვის, ოღონდ ჯერ დირექტორს უნდა შეხვედროდა და კარგი შთაბეჭდილება მოეხდინა მასზე. კარგი შთაბეჭდილების მოხდენა კი გაჭირდებოდა, თუ მამა ცუდად ჩაცმული გამოცხადდებოდა შესხვედრაზე.

შარვალი გაირცხება და დაუთოვდება, ჯემპრი ამოიკეცმება, გაცრეცილი პერანგისა — საყულო გამოჩნდება მხოლოდ; ერთადერთი, რასაც ვერაფერს ვუშვებით, ფეხსაცმელებია, ცალს ლანჩა აქვს არღვეული, ცალს — პირი გადამსკდარი, ახლების ყიდვასა საჭიროო, ამიხსნა დედამ.

თან ჩაის ვხვრეპდი, თან ფიქრობდი, როგორ უნდა გვეყიდა ფეხსაცმელები, თუნდაც ძალიან უბრალოები, როცა მათ შორის ყველაზე იაფი, სულ ცოტა, ათი დოლარი ღირდა. ათ დოლარად კი, როგორც მშობლებისგან ვიცოდი, კვირიდან კვირამდე გაგვეყონდა თავი, შვიდი დღის სამყოფ სურსათ-სანოვავებს ვყიდულობდით.

გარეთ რომ გამოვედით, მერე შევიტყე, როგორ უნდა განგვეხორციელებინა ეს განზრახვა. სახლს გამოვცდით და ოღოროლოდო, შემოდგომის წვიმებით ატალახებულ ქუჩას დავადექით, დედამ ხელჩანთა გახსნა, პატარა, მონითალო ყუთი ამოიღო და მითხრა, ამ ყუთში ოქროს მედალია, სკოლა ხუთებზე რომ დავამთავრე, იმის ჯილდო; მედალს გავეყიდო და ალბათი ფულით ფეხსაცმელებს ვიყიდითო. პირობაც ჩამომართვა, მედალის გაყიდვის ამბავი მამამ არ უნდა გაიგოს, თორემ მაგრად წაგვეჩხუბება და ფეხსაცმელებს უკან დაგვაბრუნებინებსო,

\*\*\*

შორს რომ არ ვყოფილიყავით წასასვლელიები და იქ, ბაზრობაზეც ბევრი რომ არ გვეყონდა სასიარულო, გზას ფეხით გავაგრძელებდით. დედას დახურული

სივრცის უმინოდა და მეტროთი მგზავრობა მოკლე მანძილზეც კი, მისთვის ტანჯვის ტოლფასი იყო. თანაც, მეტრო ისე იყო გადატვირთული, სადგურებზე იმდენი ხალხი გროვდებოდა უნესრიგოდ მოძრავი მატარებლების მოლოდინში, რომ ძალიან ენერგიული და ყოჩაღი მოქალაქეების გარდა, სხვებს, შედარებით მორიდებულებს, სამი-ოთხი შემადგენლობის გაშვება უნედათ ვაგონში შეღწევამდე. იმის გამო, რომ მუჯუღუგუნებით გზის გაკვეთვა არ შეგვეძლო, ნახევარ საათზე მეტ ხანს ვიდექით ვაჭყდილ, აქოთქოთებულ ბაქანზე. მატარებელშიც სადაღაც კუთხეში ვიყავით მიჭუჭუნულები. აქაც ფხის გამოჩენა იყო საჭირო, კარიდან შორს რომ არ აღმოჩენილიყავი და სასურველ გაჩერებაზე მოგებერებინა ჩასვლა. „ვაგზლის მოედანზე“ ბევრი ჩადიოდნენ და ხალხის ტალღამ ჩვენც გამოგვიყვანა გარეთ. ხელი ხელს გვეკონდა ჩაკიდებული, ერთმანეთი რომ არ დაგვეკარგა, ღრმად ვსუნთქავდით, თითქოს წყლიდან ამოგვეყვინთოს. ესკალატორზე რომ შევდექით, დედამ ქურთუკი დამითვალერა, ღილი ხომ არ აწყდაო.

ხალვათობა არც მოედანზე დავგხვედრია. მეტროს სადგურის გასწვრივ, ე.წ. „გადასასვლელ ხიდამდე“ ფულის გადამხურდავებლები იდგნენ ჯგუფ-ჯგუფად და მათ შორის გავლა კვლავ ხელიხელჩაჭიდებულიებს მოგვიწია. რამდენიმე წლის წინათ აქაურობა მართლა მოედანს ჰგავდა, ახლა კი, ყველაფერი იყო მოედნის გარდა. თავისუფალი სივრცე, რომელიც რკინიგზის სადგურისა და კომუნიტების დროს იყენებულ ხუთსართულიან სახლს შორის იყო, აღარ არსებობდა. ის თითქმის მთლიანად ეკავა არმატურისა და თუნუქის ფურცლებისგან შეკონინებულ ათეულობით ჯიხურს

\*\*\*

რ უბადრუკი ჯიხურებიც ედგათ, საქონლსაც ისეთივეს ჰყიდდნენ მათი მფლობელები, უმეტესად, შუახნის წვერ-გაუპარსავი, მონჯღრეული კაცები და იმავე ასაკის ბრაზიანი, შუბლზე ხილაბანდაკარული ქალები. თამბაქო და სასმელი იყო დიდ გასაავალში. საყოველთაო გაჭირვება სუფევდა და არავის დაგიდევდა ან ერთის, ან მეორის მდარეზე მდარე ხარისხს. არავს და კონიაკად ნოდებულ მოყავისფრო სითხეს სარდაფებსა და სააბაზანო ოთახებში მოწყობილ არალეგალურ „სამქროებში“ ამზადებდნენ. უფილტრო სიგარეტები კი, ცალობითა და კოლოფებით, დარბევებს გადარჩენილი, ვადაგასულ ნედლეულზე მომუშავე თამბაქოს ფაბრიკებიდან გამოჰქონდა. სიგარეტ „ასტრას“ და არაყ „სამას“ გარდა სხვა რამეებიც იყიდებოდა — გამჭვირვალე, ჭრატუნა ქალაღდში შეფუთული თურქული ტკბილეულით დაწყებული, ირანული წარმოების ნავთქურებით დამთავრებული. და რაც ყველაზე მთავარი იყო ჩვენთვის, აქ არამარტო ჰყიდდნენ, არამედ ყიდულობდნენ კიდევ; ყიდულობდნენ ყველაფერს, ვისაც რისი შეთავაზება შეეძლო, ვისაც რა ჰქონდა შემორჩენილი გასაყიდად.

კარგა ხანს ვიარეთ ჯიხურებს შორის. ვერ გადაგვეწყვიტა, ვის მივდგომოდით მედალის საჩვენებლად, ერთიმეორეზე პირქუშები ჩანდნენ მოვაჭრეები, ვერც ერთზე ვერ მიგვედიოდა გული. ბოლოს დედამ თქვა, მივიდეთ რომელიმესთან, ხომ არ შეგვჭამს, გვეტყვიან უარს და გვითხრასო. ერთხელ კიდევ ავიარა-ჩავიარეთ რომელიღაც უსწორმასწორო რიგში და იმ იმედით, რომ მსუქნები შედარებით კეთილები არიან, ფანელის პერანგიან სქელ კაცს დავადექით თვალში. მან კეფის ქექვით მოუსმინა დედას, რომელმაც ბოდიშების მოხდით რის ვაი-ვაგლახით უთხრა, ოქროს ნაკეთობას ხომ არ შეიძენით და ხანგრძლივი დუმილის შემდეგ ხრინწიანი ხმით ამოღერდა, მაჩვენებთ ერთი, რა გაქვთო. დედამ უმალ გაუწოდა ყუთი. კაცმა პერანგის ჯიბიდან სათვალე ამოიღო, ცხვირზე მოირგო და ჯერ ყუთი შეათვალერა, მერე მას-ში მოთავსებული ნივთი. ყუთს შიგნიდან თეთრი ატლასი ჰქონდა გამოკრული, მედალზე კი გადაშლილი ნიგნი და მოგიზგიზე ლამპარი იყო ამოტვიფრული. თვალმეორე ბას რომ მორჩა, მედალი ხელის გულზე დაიდო, შეათამაშა, თითქოს ანონა და უკმაყოფილოდ გადააქნია თავი. ამჯერად ხანმოკლე პაუზის შემდეგ თქვა, ოქრო დაბალი სინჯისაა, თანაც სუფთა არ არის, სპილენძის მინარევი აქვსო. ამდენი რამე ასე იოლად, ხელით და თვალთ რთავთ



დაადგინა-მეთქი. რას ბრძანებთო, გაიოცა დედამაც. თუ არ გჯერათ, ცოტას გაველიბავ და დარწმუნდებით, რომ მხოლოდ ზედა ფენაა ოქროსი, ქვეშ კი სპილენძია, ჩვეულებრივი სპილენძიო, სათვალე მოხსნა კაცმა. დედა შეყოყმანდა, გამოხედა, გავაქლიბინით თუ არაო. უარის ნიშნად ოდნავ, სულ ოდნავ გავუქნიე თავი და უაკეტის კალთაზე დავექაჩე, ნავიდეთ-მეთქი.

ვიარეთ, ვირეთ და კიდევ ერთ მეჯიხურეს მივადექით. ამჯერად უფრო ასაკოვანს — მხრებში მოხრილ, ჭაღარა წვერით ყბებდაეკლილ ბერიკაცს. ბერიკაცმა სათვალე არ იკმარა, მედალი ლითონის ტარიანი მოზრდილი ლუპით გასინჯა და იგივე თქვა, მინარევიანია, დაბალი ხარისხის ოქროაო. ცოტა არ იყოს, ეჭვი შემეპარა ნივთის ვარგისიანობაში; მე გოლონი დედასაც, რადგან ნელანდელივით კი არ გაიკვირვა, პირდაპირ, მიუკიბ-მოუკიბავად ჰკითხა, იქნებ მითხრათ, რამდენად გაიყიდებაო. გააჩნია, ვინ იყიდისო, უპასუხა კაცმა და რომ შეატყო, ვერ მიმიხვდნენო, განმარტა, ვისაც ძველი ჯილდოები აინტერესებს, მეტს მოგცემთ, ვისაც ძვირფასი ლითონი — ნაკლებსო. მეტი რამდენია და ნაკლები რამდენიო, ბოლომდე ჩაეძია დედა. მეტი — თხუთმეტი დოლარი აღმოჩნდა, ნაკლები — ათი.

გვეცოტავა რომელია, ლამის დაგვენანა მედალის გაყიდვა. როგორც ყველა ღარიბს, ჩვენც ძალიან ძვირი გვეგონა რაც გვებოდა, იმის გასასხვისებლად გამეტებული ნაწილი. მეჯიხურეებიც იტყუებოდნენ, შესაძლოა ცოტათი, მაგრამ მაინც იტყუებოდნენ. ვხვდებოდით ამას, მაგრამ არც ის იყო ძნელი მისახვედრი, რომ თუ მედალი ვერ შეველეოდით, ცოტათი მაინც თუ არ მოვტყუვდებოდით — მამას ფეხსაცმელებს ვერ ვუყიდდით.

იმ იმედით, რომ სადმე ძველი ჯილდოების მოყვარულს გადავანყიდებოდით, გზის გაგრძელება გადავწყვიტეთ. ორი-ოთხი ნაბიჯიც არ გვეყონდა გადადგმული, ბერიკაცის ხმა რომ დაგვეწია, სად მიბიხართო.

\*\*\*

მედალი მივეცი და ფული მივითვალეთ. თანხის ნაწილი ათდოლარიანით, მეორე ნაწილი კი რუსული რუბლებით გადავგინადა. რუბლების მაგივრად კუპონების მოცემა უნდოდა, მაგრამ უარი ვუთხარი. ახლადმედალებული ფულის ეს ერთეული ელვის სისწრაფით უფასურდებოდა — ერთ დღეს პურს რომ იყიდდი, მეორე დღეს, შეიძლება, ასანთიც არ მოგსვლოდა იმ ფასად.

როგორც შევატყე, გაუჭირდა დედას მედალთან გამოთხოვება. ჯერ იყო და თვალის ვერ მოაშორა ნითელ ყუთს, მერე, ფულს რომ ინახავდა ჩანთაში, ხელები აუკანკალდა. კვლავ ავაჩქარე, მკლავზე შევეხე და ახლა საით ნავიდეთ-მეთქი, ვკითხე.

თამარ მეფის გამზირისკენ წავედით, გამზირიდან თვედორი მღვდლის ქუჩაზე გაუხვიეთ, დეზერტირების ბაზარს ჩავუარეთ ზედა მხრიდან და „დინამოს“ სტადიონთან არმისულები, ყოფილ ტრამვაიტროლეიბუსების პარკთან შევდექით. გაუქმებული პარკის ტერიტორიაზე, დაცარიელებული დეპოების ქერქვეშ ქალაქის ყველაზე დიდი და ხალხმრავალი ბაზრობა ფუთფუთებდა; თბილისის ღარიბი და არამხოლოდ ღარიბი მოსახლეობა აქ დადიოდა ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის შესაძენად.

აქაც რიგები იყო, ოღონდ ჯიხურების კი არა, დახლებიც; ერთმანეთის პარალელური, გრძელი, ვიწრო გასასვლელიებით, სპილენძის მინარევი აქვსო. ამდენი რამე ისპირი მიმართულებით მოძრავ ადამი-

ანებს გვერდის აქცევა უჭირდათ.

დედამ თქვა, მამას გაღვიძებამდე რომ დაებრუნდეთ შინ, აჯობებსო. ამიტომ ბევრი არ გვივლია, სიღრმეში აღარ შევსულვართ, იქვე, შესასვლელთან ახლოს დავუნყეთ თვალღებება დახლებზე გამოწყობილ ფეხსაცმელებს. ვიცოდით, რომ მამას მრგვალიცხვირიანები მოსწონდა სქელ ძირზე, გვანყობდა კიდევ ასეთების ყიდვა, ზამთარი მოდიოდა და თხელძირიანები არც გამოადგებოდა თოვლსა და ჭყაპში

ჩვენი ვარაუდი, რომ ათ დოლარად გამძლე, მეტნაკლებად გამძლე ფეხსაცმელებს შევიძენდით, არ გამართლდა. ისეთებს, ოდნავ მაინც რომ შეეხებებოდა, თხუთმეტ დოლარს აფასებდნენ და თუ შეევაჭრებოდი, ერთ ან ორ დოლარს დაგიკლებდნენ. მეტი როგორ დავაკლოო, გვიხიბა გამყიდველმა, სხარტმა, ენაწყლიანმა კაცმა და ჩვენი შეგულებული ფეხსაცმელი რამდენჯერმე მოხარა, ლამის შუაზე გაკეცა და გაშალა, ნამდვილ კაუჩუკის ძირზეა, არ გადასკდება, პირი დერმატიონის კი არა, ტყავის აქვსო. ბოლო ფასიო, ჰკითხა დედამ. შეგვატყო კაცმა მყიდველები რომ ვიყავით, ინგლისური წარწერებით აჭრელებულ ცელოფინს პარკში ჩააწყო ფეხსაცმელები, დახლს ზემოდან გამოვგვანოდა და მხოლოდ ამის მერე გვითხრა, ცამეტი დოლარი, ან ცამეტი ათასი რუსული რუბლიო. ერთი დოლარი ათასი რუბლი ღირდა.

ბაზრობა ზედა გასასვლელიდან დავტოვეთ. გახარებულნი მივბიძგებდით და ლაპარაკს არ ვაცლიდით ერთმანეთს. დედა ამბობდა, გავვიმართლა, მედალიც გავყიდეთ, ფეხსაცმელებიც ვიყიდეთ და ცოტა ფულიც დავგვრჩა, შეიძლება, მთელი დღე გვევლო, ვერც ერთი მოგვეხერხებინა და ვერც მეორეო. მე ვუუბნებოდი, ნახე, როგორი პარკი გამოგვტანა იმ კაცმა, მარტო პარკი ელირება ორასი-სამასი რუბლი მეთქი. უცხოური პარკები იშვიათობა იყო მამის, ქალები ლამის ჩანთების მაგივრად იყენებდნენ და სანამ არ გაიცრიცებოდა და არ დაიხეოდა, ვერ ელეოდნენ...

\*\*\*

მატარებელი გვირახში რომ გაჩერდა, მეტროს სადგურ „თავისუფლების მოედანს“ გამოცდენილები ვიყავით. ძაბვის ვარდნის გამო ხშირად ხდებოდა ასე, ვაგონის განათება ბუფტვას იწყებდა, შემადგენლობა ბორბლების ღრჭრალით სვლას ანელებდა და რამდენიმე შემანჯღრეველი ბიძგის შემდეგ მოძრაობას წვევტდა, თუმცა, მოიმატებდა თუ არა ძაბვა, მატარებელი გზას განაგრძობდა. ნუ ნერვიულობ, მალე დაიძრება-მეთქი, ვამშვიდებდი დედას, რომელიც ისე იყო აფორიაქებული, რომ არაფრად აგდებდა მგზავრების ბუზღუნს და მოურიგებლად, ჯიქურ მიინევდა კარისკენ, რათა მასთან ახლოს დგომით ოდნავ მაინც დაეძლია გვირახში გაჭედვით გამძაფრებული დახურული სივრცის შიში. ვიბეგ მოიმატა კი არა, კიდევ უფრო დაიკლო და ბოლოს სულ დაეცა. შუქი ჩაქრა, წყვილიაღმა დაისადგურა ყველა ვაგონში... ოღონდ რამდენიმე წამით, რადგან ვილაცამ ასანთს გაჰკრა, ვილაცამ სანთებელა გააჩნა კუნა. უფრო წინდახედულებიც აღმოჩნდნენ, შინიდან ჯიბის ფარნები რომ ჰქონდათ ნამოლებული. დედამ მაგრად მომიჭირა ხელი, არ შეგეშინდესო. არა-მეთქი, ვუთხარი. მართლა არ მეშინოდა, იმაზე ვდარდობდი, დედა არ გამხდარიყო ცუდად. სუნთქვა ჭირდა, კარები მაინც გააღონო, წამოიძახეს აქა-იქ...

მემანქანებმა თითქოს მათი ხმა გაიგონესო, ერთდროულად ორივე მხარეს გააღეს ყველა კარი. ვილაცამ თქვა, ავლანბრის სადგური აქვეა, ორას-სამას მეტროში...



იმ მგზავრებს, შორის, ვინც ლოდინს გზის ფეხით გაგრძელება არჩია, ჩვენც ვიყავით. მათთან ერთად ჩვენც ჩამოვდით მატარებლიდან და გავყევით გვირაბს. შპალეზე ვადგამდით ფეხს, ასე უფრო იოლი იყო სიბნელეში გადაადგილება. ფეხსაცმელებიანი პარკი დედას მოჰქონდა. მივდიოდით ხელიხელჩაჭიდებულები და შპალეებს ვითვლიდით. ათასზე რომ ავედით, სინათლე გამოჩნდა. კიდევ ორასი შპალი და ბაქანთანაც მივალნივით. ქვედა სადგური ცარიელი იყო. ჩამოვსხედით ქვის სკამებზე და შევისკვნივით. დაღლილები ვიყავით და თან ესკვალატორიც ფეხით გვქონდა ასასვლელი...

\*\*\*

**დანაპირში** გვიან აღმოვაჩინეთ. მეტროდან ამოსულები ვიყავით და სომხური თეატრის სვეტებიანი შენობის გასწვრივ მივავიჯებდით, დედამ რომ თქვა, რაღაც მემსუბუქება ეს პარკიო. შევდექით, კიდევები გავუწინეთ, ჩავიხედეთ და რა დავინახეთ, ძირზე მხოლოდ ცალი ფეხსაცმელი იდო. ავიხარე და ქვემოდან შევხედე პარკს – ნაკერი იყო გარღვეული. როდის გაირღვა, სად დაგვივარდა ფეხსაცმელი, ღმერთმა უწყის. ჩავებლაუჭეთ იმედს, რომ ეს მეტროს სადგურიდან გამოვსვლის შემდეგ მოხდა და გამოვბრუნდით, რათა ხელახლა დაგველო რამდენიმე წუთის წინ გავილია გზა...

დედას ცრემლები მოსდიოდა, ცოტაც და ხმამალა ატრედებოდა. როგორც შემოდო ვამჩნევდით, ვუბნებოდი, ქუჩაში თუ დავკარგეთ, აუცილებლად ვიპოვით, ცალ ფეხსაცმელს ვინ წაიღებს-მეთქი. მართლაც, ცალ ფეხსაცმელს, თუნდაც ახალთახალს, ვინ დახარბებოდა? ვერ ჩაიძვებდა და ვერ გაიყვანდა, რატომ დაავლებდა ხელს? ალბათ არც არავის დაუვლია, ალბათ გვირაბში დავკარგეთ, შპალეზე რომ მივავიჯებდით, მაშინ; ანდა იმ განამანის დროს, როდესაც დედას მატარებლიდან ჩამოსვლაში ვეხმარებოდი. ამოდ ვიარეთ, ამოდ ვათვალთვალეთ თითოეული გოჯი...

რა გამოვიდა, მსხვერპლი გავიღეთ, საოჯახო რელიკვიას შევევლით და სულ ტყუილად... ასეთ ფასად მოპოვებული ნივთი სახლამდე ვერ მივიტანეთ. ნეტავ ჩანთაში ჩამეღო, ამბობდა დედა. მე კი გამყიდველს ვუბრაზდებოდი, დამპალი ძაფით ნაკერი პარკი მოგვცა, არ გამიკვირდა, ასე იოლად და მუქთად რომ გამოიმეტა მეთქი. ისიც გავიხსენებ, რამდენი დოლარი გადავიხადეთ ფეხსაცმელში, ცამეტს, ზუსტად ცამეტი – თარსი რიცხვი...

რა უნდა გვექნა, რაღა უნდა გვეთქვა ერთმანეთისთვის, რამდენ ხანს უნდა ვმდგარიყავით ქუჩაში, ადრე თუ გვიან ხომ უნდა დავბრუნებულიყავით შინ?... მამა გაღვიძებული იქნებოდა, დედაჩემის ძველი, ბებოს ნაქონი მაჯის საათი პირველის ნახევარს უჩვენებდა უკვე...

გზად კარტოფილი ვიყიდეთ. დარჩენილი ფული ხუთ კილოგრამზე გვეყო. საკვები საკვებად და თან სათქმელიც გვექნებოდა, სად და რისთვის გავედით მიხიდან...

\*\*\*

**მიშხადავად** იმისა, რომ მამა თავისი ძველი ფეხსაცმელებით წავიდა კერძო სკოლის დირექტორთან შესახვედრად, მასწავლებლად მაინც აიყვანეს. მისმა მონოლოგმა, თუ როგორ აუხსნიდა ბავშვებს არქიმედესა და ნიუტონის კანონებს, რას უამბობდა გალილეო გალილეის, ედისონისა და ფარადეის აღმოჩენების შესახებ, გაცილებით დიდი ინტერესი გამოიწვია, ვიდრე ლანჩარდელუმმა და პირგადამსკდარმა ფეხსაცმელმა. ღარიბულმა ჩაცმულობამ ოდნავადაც ვერ გააქარწყლა ყურადღების მშთანქმელი, გადამდები, თხრობით მოხდენილი მთაბეჭდილება...

საოჯახო რელიკვიას რაც შეეხება, ახალი სამსახურის დაწყებიდან ერთი თვის თავზე, მამამ სწორედ ის ნითელი ყუთი გადასცა დედას სწორედ იმ მედლით, რომელსაც თხუთმეტ ლარად შევევლიეთ. მედალი მე და მამამ გამოვისყიდეთ, ფული, რა თქმა უნდა, მამამ გადაიხადა, მე მეგზურობა გავუწიე, ძველი ჯილდოების მოყვარული ბებერი მეჯიხურის მოძებნაში დავეხმარე. ფეხსაცმელების საყიდლად ნასვლის ამბავი კი, რომლის საიდუმლოდ შენახვას დიდი ამბით შევპირდი დედას, პირველი ხელფასის აღებაზე ერთი დღით ადრე მოვუყვიე მამას...

მოკლედ, ცოდნის მოპოვებაში მიღებული ჯილდო, ცოდნის გაცემაში აღებული ფულით დავიბრუნეთ. ადრინდელისგან განსხვავებით, ამჯერად საკმაოდ მაღალი ანაზღაურება ჰქონდა მამას, არც მეტი არც ნაკლები – სამოცდაათი დოლარი!...

### ირაკლი ლომოური

## იპერი სამურაის ხარაპირი

(პარალელური საქართველოს ქრონიკებიდან)

ეძენება იუკო მისიმას

ბონსაი უდროო დროს აყვავდა — აგვისტოში, შუალამისას.

ქალი გაუგებარმა შეგრძნებამ გააღვიძა, მარჯვენა იდაყუს დაეყრდნო, იატაკზე გაშლილ ქვეშავეებზე წამოინია, ცარიელ სარეცელს დახედა და უხმოდ შეჰკვივლა: მოეჩვენა, ქმრის სილუეტს არჩევს... მაგრამ ეს მხოლოდ გაბადრული მთვარის ფოლადისფერი შუქ-ჩრდილის ანცობა გახლდათ, მეტი არაფერი.

ქალი წამოდგა, ფანჯარასთან პერანგისამარა მივიდა, მთვარეს ახედა — არაბუნებრივად ვეება, ცივი და გლუვი მოეჩვენა. გამონაშუქი თვალსა სჭრიდა, თითქოს გაველურებული კატის კლანჭი ფეხოჭყინსო. შუა ზაფხულში თითქოს ჭირხლს და ფარა ყოველი: მინაც, მთაც, სახლებიც და იატაკიც — ისე ბრწყინავდა, ისე კასკადებდა.

ცხოვრებაში პირველად შეაძრუნა სილამაზემ.

ქალაქს მკვდრისფერი ედო. უმკაცრესი ბრძანებით ჩაებნელებინათ, ეული შუქიც კი არსადა კრონდა.

ქალმა ბონსაის დახედა — რაფაზე იდგა. ციციქნა ფოთლები ერთიან მუქ-მწვანე მასად ჩანდა, ვარჯი მიკროსკოპული თეთრი ნერტილებით გადაპენტილიყო — თითქოს ისპანახი მოხარშეს, გადანურეს და მერე ზედ შაქრის ფხვნილი მოაყარესო. გაუკვირდა. არ ეგონა, აბანოზის ხე ამდენ ყვავილს თუ მოისხამდა. პირველად აუყვავდა.

რატომღაც ქმრის უკანასკნელი სიტყვა გაახსენდა, დამშვიდობებისას რომ უჩურჩულა ხმამალა:

— გახსოვდეს, სალესი ქვა ზარდახშაშია, საწერ მაგიდაზე.

ქალი შეტრიალდა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, ბამბუკის თეჯირი გასწია და ქმრის სამუშაო ოთახში შევიდა. სინათლე არ აუნთია, მთვარე საზენიტო პროექტორივით ჭახჭახებდა. ჰიპოპოტამის ძვლისგან გამოჭრილ ძველისძველ ზარდახშას თავი ახადა და სალესი ამოიღო. უკან საძინებელში შებრუნდა.

კუთხეში აბრეშუმისნაჭერგადაფარებული მზივის კიდობანი იდგა — მამამისმა, იმპერატორის საგვარეულო-მემკვიდრეობითმა შტალმეისტერმა, საკუთარი ხელით რომ აუვსო სულ რაღაც ერთი წლის წინათ, როცა კომანდორს მიათხოვეს. ნუთუ მხოლოდ ერთი წელი გავიდა?

ქალს გულისფრიალივით ძალუმი და მჭმუნვარე, მაგრამ გამჭვირვალე შეგრძნება დაეუფლა, თითქოს ქმრის გარეშე არასოდეს უცოცხლია. ის, რაც გათხოვებად იყო მის ცხოვრებაში, მხოლოდ სიზმარსა ჰგავდა — უნიჭოს, უაზროს, გადავინყებულს...

პრინცესა საეხიმესავით განიცდიდა ქმართან განშორებას.

ქალმა აბრეშუმის თეთრი ნაჭერი, ლოტოსისყვავილენაქარგა, კიდობანს შეხსნა, მხრებზე მოიგდო, მერე კი გულიდან ვერცხლის გასაღები ამოიღო, დღედაღამ ვერცხლის ძენკვზე რომ ჰქონდა ფოსოში, ჯერ არშეგებულ, დათრვილულ ძუძუებს შორის.

გასაღები აკანკალებული ხელით მოარგო კლიტეს — ტკაცუნით გაიხსნა.



კიდობანში ბნელოდა. ხელი მოაფათურა, ხირაგანზე გადწერილი ვეფხისტყაოსანი გვერდზე გასწია და ზღვის ლომის ეშვისგან გამოთლილი ჭადრაკის ქვეშ მიაგნო, რასაც ეძებდა. როში მარგალიტებით განყობილი ნატის ბუდიდან დაშნა ამოცურა, ფხა გაუსინჯა. საკმაოდ ბასრი ეჩვენა, მაგრამ სალესი მაინც მოიმარჯვა, ზედ გაუხვია ისე ფრთხილად, თითქოს დაშნა ფაიფურისგან იყო დამზადებული და არა გორდაფოლადისაგან.

ქმარი გაახსენდა. თითქოს მის გვერდით იდგა. ქალმა იგრძნო, როგორ მოუჭირა ქმარმა ხელი მკლავზე, დაშნა თითქოს თავისით გასრიალდა სალესზე...

არადა, ქმარი შორს იყო, ძალიან შორს — ჩრდილოეთის საგანგებო, გამაგრებული სასაზღვრო რაიონის კომანდორად დანიშნეს ერთი თვის წინათ. სანატრელი დანიშნაურება, დიდი პატივი იყო, — ჯორჯოპონის კონფედერაციულ იმპერიაში შვიდად-შვიდი კომანდორი ჰყავდათ. დასავლეთის პროვინციის მმართველ სეფენულ-ნარინ-იმპერატორს თავადაც მხოლოდ კომანდორ-ბრიგადირის ნოდება ჰქონდა...

ქალმა მწარედ ამოიხრა. დიახ, მართალია, დანიშნულებაც იყო, აღიარებაც, დაფასებაც, მაგრამ თან, უმძიმესი ტვირთიც... იმ დროს დანიშნეს კომანდორად, როცა პაჭანიკების ურდოები კარს მოადგენენ, როცა ყველაფერი სასწრაფო შეგდებული. ერთი შეცდომა, ერთი ნაგებული ბრძოლა და ქვეყანა შეიძლება მომთაბარე ველურების საპარპაშოდ იქცეს...

ქალი იატაკზე დაეშვა ფანჯრის ქვეშ, ფეხმორთხმით დაჯდა ჭილოფზე, ბონსაის ჩრდილში. სალეს ქვას ერთხელ გაუსვა დაშნა, ორჯერ, სამჯერ — უფრო თამამად, დაჟინებით, ეშხით... აუხსენელი, გიჟური სიხარულით.

როგორ დაათენდა, ვერ გაიგო. თურმე სალესითა და დაშნით ხელში ჩასძინებოდა.

ბრავაბრუგმა გამოაღვიძა. ოთახში ვიდაცამ ხმაურით შემოალაჯა. ქალმა თვალი გაახილა, შეჰკვივლა, ზეზე წამოიჭრა. თუმცა ეგონა, სიზმარიო. მის წინ ქმარი იდგა. სქელძირიანი, მალაყელიანი შავი ტყავის ფეხსაცმელი და კამუფლიერებული ფორმა ტალახიანი-მინიანი ჰქონდა. სახეზე რუხი ფერი ედო. გამომეტყველება — გაქვავებული.

ქალს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ხმა ვერ გაიღო.

ქმარმა თვალეებში ჩახედა. ქალი ყველაფერს მისხდა.

— სალესი მომეცი. — მხოლოდ ეს უთხრა ქმარმა.

უხმოდ მიანოდა. კაცი ფანჯარასთან მივიდა, თავისი საგვარეულო დაშნა ამოიღო, დღე და ღამ გულზე რომ ეკიდა გველისტყავისქარქაშიანა და აუჩქარებლად გალესა. მერე მობრუნდა, ერთი სიტყვა თქვა:

— მოდი.

ქალმა ნაბიჯი გადადგა. კაცმა მხრებზე მოგდებული აბრეშუმის თეთრი ნაჭერი მოხსნა, ლოტოსისყვავილენაქარგი. ღამის პერანგი ნელნელა გააძრო, სრულიად შიშველი ხელში აიყვანა, სარეცელთან მივიდა და მოწყვეტით დაეშვა მუხლებზე...

რაღაც ხნის მერე კაცი წამოდგა და სააბაზანო ოთახში გავიდა.

ტალახიანი კამუფლიაჟი და ფეხსაცმელი კუთხეში ეყარა. ქალმა ხალათი მოიცვა, ჭუჭყიანი ფორმა ჩაიხუტა — ოთახიდან გაიტანა.

მერე ოთახის შუაგულში ტაბლა დადგა. სუფრის განყობას ემურებოდა. მოახლემსახურებს განზრახ არ დაუძახა, ყველაფერი თვითონ გააკეთა სახელდახელოდ.



ასეთ დროს ვინმე უცხოვს გამოჩენა სრულიად ზედმეტი იქნებოდა. სუფრის განყობას მორჩა, ტანი სველი პირსახოცით დაიზილა და სადღესასწაულო, მდიდრული ჩიხტიკომპონო გადაიცვა. ქმარს ფეხზე მდგომი დაელოდა.

კომანდორი სახეიმო, შვინდისფერი, ფოჩიან-ეპოლეტებიან ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი შემოვიდა. მკერდს „სპეტაკი უშაბამას“ პირველი ხარისხის ორდენი უმშვენებდა. ცოლმა თავი მდაბლად დაუკრა.

კომანდორი ტაბლასთან ფეხმორთხმით დაჯდა, ცოლს უთხრა:

— მოდი სუდრასთან, მზია.

ქალი ტაბლასთან მიგოგდა, გვერდულად მოთავსდა ჭილოფზე. ქმარს არ უყურებდა, თავდახრილი იჯდა.

კომანდორმა ღვინის ტიკს პირი შეხსნა, საცობი ამოაძრო, ორი ფიალა შეავსო, ტიკი დახუჭა, მუხლებზე დაიდო, ფიალა მარჯვენა ხელით აიღო, მაღლა ასწია და თქვა:

— ყველაფერი დაკარგულია ღირსების გარდა. ჩვენი სისხლი დევის სისხლია. ზეკაცების მოდგმას ჩიაკაცები წამუსს ვერ ახდიან. ვერც მოტყუებით, ვერც მზაკვრობით და ვერც ღალატით. მიუხედავად ყველაფერისა, მიუხედავად იმისა, რომ გავყვიდეს. ვილაც ნაძირალამ მტერი ჩვენს ზურგში საიდუმლო ბილიკით შემოიყვანა. სპეცდანიშნულების ჯავშანბრიგადა ალყაში აღმოჩნდა. პანიკა დაიწყო, ჯარისკაცები გაიქცნენ. სახე დავკარგე, ვალი ვერ მოვიხადე, ბრძოლის ველზე ვერ დავერჩი სამარადუფამო... მაგრამ სამი დიდი ღვთაება: ამიდა, კანონი და სეისი დასავლეთის სამოთხეში მელიან. მიიღეთ სული ჩემი!

კომანდორმა ყლუპი მოსვა, ფიალა დადგა, ახალგაღვინილი დაშნა ქარქაშიდან ამოიღო, დანისპირს ქათქათა თეთრი ნაჭერი საგულდაგულად შემოახვია, მარჯვენა ხელი მოსჭადა, შემოაბრუნა, სტომაქისკენ წვერით მიიმარჯვა და ნელ-ნელა დაანვა — შერჭობა დაიწყო.

ქალი უხმოდ უყურებდა. წამით თვალი მოხუჭა, როცა ტყავი გადაიხსნა, როცა ნითელმა წვეთმა გამოჟონა.

კაცმა კრიჭა შეიკრა, შუბლზე ღარი გაუჩნდა, მკვეთრისა მოძრაობით დაშნა ბოლომდე შეიყვანა. დევის სისხლმა ჩანჩქერივით გადმოხეთქა. სუფრა ნითლად შეიღებდა.

ტიკი ერთბაშად დაიცალა.

კომანდორმა ზეზე კამკამიქმ დაშნა დაჩუტული ტიკიდან ამოაძრო, ღვინით გაუღვინილი ნაჭერი მოხსნა, ხელსახოცით შეამშრალა, ქარქაშიში ჩააბრუნა და თქვა:

— დღეიდან, ახალ ცხოვრებაში, ალბერტ ილუმინოვი დამიძახე. ახალმა მთავრობამ კომუნალური მეურნეობების მართვის დეპარტამენტის უფროსობა შემომთავაზა.

...ქალი ადგა, სალესი ქვა აიღო, ქმრის სამუშაო ოთახში შევიდა, ჰიპოპოტამის ძვლისგან გამოჭრილ ძველისძველ ზარდახშას თავი ახადა და შიგ ჩაუშვა. მერე კი ლოტოსის პოზაში მჯდომ ქმართან მივიდა, მის წინ მუხლებზე დადგა, უთხრა:

— კაცს გველის სიბრძნე თუ არა აქვს, გველივით კანს ვერ გამოიცვლის. და შუბლზე აკოცა.



მურღვა

კა ვაჟკაც დამდგარ არდოტელ მურღვა, — მიღმახევი გამორჩეული, პურადობით და გულადობით სახელგანთქმული...

სამ ვაჟ გასჩენივ აიშის დიაცს, — ერთმანეთის მჯობნი ბალები...

მურღვას ძმადნაფიც ჰყანივას მუცოს, — ბენინათ ჯურხა, — ქისტებთან საზღვრის დამცველი და გამმაგრებელი, თოფ—იარაღთან თანშეზრდილი, — ომებიდან გამაუსვლელი... ღილველთ იმის გვარ ამაუნყვეტავ, ერთ ბაღდ დარჩომივ, ისიც არდოტ, ძმადნაფიცთან გადაუმალავ, — გვარიშვილობა გადავარჩინავ...

გაუგავ ქისტებს იმ ყმანვილის ადგილ—სამყოფი და მურღვას ციხეს თავს დასხმიან გამთენიისას...

— ჯურხაის შვილის წაყვანა გვინდავ, შენ და შენს ცოლ—შვილს არას გერჩითავ, — შაუთვალავ ქისტებს... შანუხებულ ძალიან მურღვა: — მიბარებულ ბაღდ მტერ—მოსისხლეს როგორ მივსცემავ? ანდა მემრ ძმობილს როგორ შავხვდებივ? — შეილ მაგანდევივ, შენის იმედით აქ მაიყვანე, ჩემ ჯიმ—ჯილაგის გამგრძელებელ შენ ჩაგაბარე! შენ კი რა ჰქენივ? ყმანვილ ურჯულოთ გადაუგდივ, იმათ მიეცივ, ბერავ სადამ გადამიკარგე!..

— არავ, მაგასავ ვერ ვიქამავ, ვერც სისხლს დავღვრივ, ბაღდას ხიფათში ვერ გავხვევავ, — უფიქრავ მურღვას და... ქისტებისად თავის ყმანვილ შაუპარებავ: — აი, ესიავ ჯურხაის შვილივ, სადაც გინდათავ, წაიყვანეთავ!..

ჩაღხა

სამ შატილიონ შაუპყრავის იმ ზაფხულს ქისტებს, სამ რჩეულ ვაჟკაც წაუყვანავ მოსისხლეებს თავის მკვდრების შასანირავად, იმათ საფლავზე დასაკლავად, საიქიოში იმათ მეჯღნედ, იმათ მეპურედ, იმათ სულის საყმოდ, სამოოდ...

მდევარიც ვედარ დასწევინავ და ვედარც ჯვარ—ხატ მიშველებივ ურჯულოთ ხელში...

იმათში ყოფილ ჩაღხა—ჩაღხიაც, ქისტებს რო ცალკე გამაურჩევა: — ჩვენს მამკვდრებში ცოდვა არ გაქვავ, შენ არავინ მაგიკლავისავ, არც შენ მამ—პაპათ არვინ ჰყავავ ჩვენივ მაკლულივ, იმად გიშვებთავ, შაუცოდვავ არ შავსცოდათავ...

უარ უთქვამ ამაზე ჩაღხას: — ჩემს ამხანაგებს ვერ გავსწირავავ, მაგათ მარტოდ სასიკვდილოდ ვერ დავტოვებავ, სადაც ეგენივ, მეც იქ ვიქნებივ!..

არ უქნავ ქისტებს: — სასიკვდილოდ არ გვემეტებივ, მანამ კი შენებს დაემშვიდობე!.. — და ჩაღხა თავის სოფლებსთან მიუყვანავის...

— მე მიშვებენავ, აღარ ვიცივ, როგორ მაიქცავ, რასაც მეტყვითავ, იმას ვიქამავ! — უთქვამ ჩაღხას მეგობრებისად... — რა თქმა უნდავ, უნდა წახვიდავ, შენ თავ მინც გადაარჩინავ, ხევსურეთ ამბავ მიიტანავ ჩვენს სიკვდილზედავ...



ბაღათერ არაბული

ლექს-ანდრეჟები

ციკლიდან „ხევსურეთს ამბავ ნათქვამი“

გამწყრალას ჩაღხა: — მაგას როგორ მეუბნებითავ? გამოსაცდელად გითხარითავ, გაგეხუმრეთავ, თქვენავ კი ცოცხლად მამკალითავ, სასირცხვილოდ გამიმეტეთავ; უთქვენოდ ხალხში როგორ გამოვჩნდავ, ან ხევსურეთ როგორ მივიდავ, რას იტყვიანავ: თავის მეგობრებს უღალატავ, ქისტეთ განირავ, ბერავ სიცოცხლე გადაირჩინავ!..

და... სასიკვდილოდ განწირულებს მისჯდომივ გვერდზე...

მოსისხლეები

...შატილივების კაც ჰყოლივას ღილველებს მაკლული და შინში სისხლის ასაღებად ლეკო ქისტეთს მარტუა წასულ და მთელ აულში გამორჩეულ ვაჟკაცის სახლს მისდგომივ ღამით... ბანზე მძინარ გაუკოჭავის და ფეხშიშველა წინ წამაუგდავ... ქვა—ლორღზე მავალს ფეხისგულე გადასტყავებივ და სისხლმდინარს კოჭლობით უვლავ... შასცოდებივ მოსისხლე ლეკოს: — ვაჟკაცს ღირსება ელახევისავ! — გაუხდავ თავის ქალამნები და იმისად ჩაუცმევავის... ეგრე მასულან დილისპირს შატილ, — ლეკო — ფეხშიშველი, იმის მტერ კი — ქალამნებჩაცმული...

ძიღუა

...ჩუმად დაგვესხნეს იმ წელს ქისტები, ღამით მთლიანად დაანგრეს ამა და ჭიმა... სოფლად აღინეს სისხლის ღვარები... არვინ დაინდევს, — არც მოხუცი, არც ქალ—დიაცი, ბაღდ—ბულღებიც ცეცხლში ჩაბუგეს, მარტო გაბურებ სამ ძმა მაკლეს, — ერთმანეთზე მჯობნი ვაჟები, ოჯახებით სუ ამანყვიტეს... იმათგან მხოლოდ ხირჩლაის ცოლ ძიღუა გადარჩ, — ბაღდასთან ერთად მწყემსობაში ყოფილიყვ წასული...

იმ ამბის მნახველ სუ შაიშალა, თმან გაიშალნა, მძივ ჩაიშალნა, სახე—პირი ჩამაიხოკა, ბედ—იღბალიც მწარედ დასწყევლა, —

თემ—სოფელი ტირილით შასძრა... — რას სჩადივ, რასავ? თავის მაკვლით რაღას უშველავ, ჩვენავ მაგნაირ დღეში ორთავ, — უთხრეს ქალებმა... — მამშორდითავ, არა მითხრათავ, თქვენ ნაუბარ არა მამდისავ, არავის ნახვა აღარ მინდავ, ეეს ბაღლიც რადარ მაკლესავ!.. — რას ამბობავ, ხვარ აირიევ, ამა ყმანვილს რაღას ერჩივ, ღმერთმ უშველავ, გადაგირჩინავ!.. — მაგის ყოფას რა აზრი აქვავ, არც ბიძანივ, არც ბიძაშვილნივ აღარვინ ჰყვანავ... ხვალ ქისტებს უნდა წაუყვანავ, იმათ მიუგდავ, მამ—ბიძათავით ეგიც მაკლანავ, იქნებ გაძღანავ ჩვენის სისხლითავ...

არ დაიშალა ძიღამ ნათქვამი, თავისი მინც გაიტანა, მეზობლებსაც არა უსმინა და ბაღლიანად ქისტეთ ჩავიდა... — ეეს დაგჩათავ მასაკლავივ, მაგიყვანეთავ, გულივ რასაც კი გიბრძანებსთავ, ის უყავითავ!..

...გამოხდა ხანი... ოცჯერ აენტო გაზაფხული და ოცჯერ ჩაქრა, ოცჯერ ზამთარმა გაანათა არხოტის მთები... არც ძიღუა, არც იმის ბაღლი არ ახსოვდა უკვე არავის... მხოლოდღა ზოგჯერ ამვლელ—ჩამვლელი თვალს მოჰკრავდა ჭერხოს კართან მჯდომარე დიაცს, თვალცრემლიანი რო გასცქერდა ქისტეთის მხარეს... — ადექივ, ქალო, შინ შედეივ, მაგ ყინვაში რას უზიხარავ, — შეუძახებდნენ მეზობლები... — ჯოჯოხეთში ვარ შასასვლელივ, სახლში რა მინდავ, მე, ცოდვიანმავ, შეილ დავჰკარგე, მასაკლავად ქისტებს მიუგდავ — მწარე ცრემლით მოსთქვამდა ქალი...

ერთ დღესაც სოფლად ხმა გავარდა: მთაზეთ ქისტებ თეთრ დროშაით ჩამადიანავ, თან ცხვარ—ძროხაიც მაუდისავ არხოტისკესავ... ოცდამეერთე გაზაფხულზე გამაჩნდეს ქისტებ, ცხენებით ჭალას ჩამაეფინეს, — ძიღას მიგდებულ ბაღდასთან ერთად ამლას მადგნეს, გაზრდილი შვილი, — ცოლშართული, სამი ვაჟით მგლოვიარე დედას მაჰგვარეს...

...ბევრა გვეყოლია ეგეთა მტერიც...

თორღვა

...ჩოლოყაშვილნ წარმოშობით ხევსურნ ყოფილან... მაგათ პაპას ჩოლოყა ხქმევივ, შეთეკაურთ ამბობენ გვარად...

მუცოშით ახმეტაში ჩასახლებულან, მემრე კი, რა ვი, თავადებიც გამხდარან კახეთ... ჰოდა, ამაგათ შთამომავალ ყოფილ ქაქუცა, რუსების ჯარს რო შაღბრძოლებივ: — აქ რა გინდათავ? ჩემს მამულში რას აკეთებთავ? — როგორ, რა გვინდავ? თქვენ ქვეყანაივ ჩვენ გვეკუთვნისავ, თქვენ ქალ—ზალივ, საქონ—ნაქონივ ახლა ჩვენიავ...

კაი ვაჟკაც ყოფილ ქაქუცა, არ მაუთმენავ რუსებისად, ან რას მაუთმენდ? ამტყდარას ბრძოლა, ბევრნ დასვეიან ის სულძალნი, მალრევიან მარტო ქაქუცას, ამხანაგებსაც უღალატებავ... გამაქვეულ ხევსურეთისკე, — ჩემიანებ დამიცავენავ — და თორღვასთან გაჩერებულას... იმას კი ქისტეთ კაც გაუგზავნავ: — არიქავ, ჩქარა მაგვეშველეთავ,

თორემ რუსის ჯარ მაგვერევა,  
 უთქვენოდავ ვერას ვიზამთავ... —  
 ქისტებს ამაზე უარ უთქვამ:  
 — ჩვენ სისხლ გმართებთავ,  
 დახმარებას როგორ ითხოვთავ?  
 (ხევსურთ იმათად კაც ჰყოლიას ადრე მაკლული).  
 თორღვას თავის შვილ გაუგზავნავის:  
 — მაკალითავ და გავსწორდებთავ,  
 ოღონდავ მტერსთან ახლა სირცხვილს  
 ნუ შავგაჭმევთავ...

ქისტებს არ უქნავ კაცის მაკვლა:  
 — ეგეთ რამე სად გაგონილავ? —  
 და თორღვას შვილთან ერთად  
 გადმოსულან დასახმარებლად...

ისრ ჩაუხოცავთ რუსების ჯარი,  
 ამბის მიმტან არ დარჩენილას...

**მამესწერა**

მამესწერას მანამაში,  
 საბარუათ თავს, მიუვალ კლდეში  
 ჰქონივას ბინა...

ის ყოფალას სოფლის დამცველი,  
 ადგილ—მამულის შემნახველი, გამტკიცებელი,  
 მტერ—დუშმანისად მედგრად დამხვედრი, —  
 ხმალ—თოფ—ისრის მარჯვედ მხმარები, —  
 მოკეთისად სიკეთის მქნელი,  
 მასპინძლობით სახელგანთქმული, —  
 ლუდ—არაყით თავმომწონები...

რავი, რაისად,  
 მეზობელ სოფელნი — დათვისელებ შამასწერომიან:  
 — ჩვენს მდინარეზე  
 ნისქეილის დადგმას გიკრძალავთავ, —  
 უთქვამ დათვისელთ, —  
 ეს მდინარეივ დათვისშით მეადინებავ,  
 წყალიც, ჭალაც, ორივ ჩვენიავ,  
 ჩვენს მდინარეზე მანმაველებს  
 რა წილ გიდევსთავ?!

გაბრაზებულას მამესწერა,  
 ცოფებ უყრავის:  
 — ეგ სულძალღნივ, რამ გადარივნავ,  
 წყალს მიჭერენავ,  
 მდინარეზე არ მიშვებენავ!..

და გამწარებულს დათვისელთად დაუბარებავ:  
 — მზეზე გასულნ არსად გნახნათავ,  
 საფქვავ—სარეცხ არ გაჰფინათავ,  
 თორემავ ყველას დაგთოფავთავ,  
 ყველას დაგხოცთავ;  
 თუ წყალ თქვენიავ,  
 მაშინავ მზეივ ჩვენ ყოფილავ, —  
 ჩვენი სოფლიდან ამოსულივ ჩვენ გვეკუთვნისავ!..

და მამესწერას თავის ნათქვამ შაუსრულებავ, —  
 დათვისელთად მზის მიცემა აუკრძალავის,  
 მზე მანმაველთად მიუკუთვნებავ...

**აუბა**

დათვისელ ბუბას შვილ მაჰკდომივ, —  
 მწყემსობისას, სოფლის ჭალაზე  
 წყალს დაუხრჩავის...

მწარედ უგლოვავ სანყალ ბუბას  
 თავის ყმანვილზე, —  
 თმან დაუჭრიან,  
 სახე—თორპილნი დაუკანრიან,  
 ზედ დარდისა დაუტირებავ:

— ნეტავ სიკვდილსამც მისცა შვილიო,  
 იმის შვილს სხვა სიკვდილ შამაჰყარაო,  
 მემრ გაიგებდა ის სიკვდილი  
 ჩემს სიმწარესო...

და იმ დღიდან  
 წყლის დაღევა აუკრძალავის;  
 — მაგნავ ბეჩავ შვილ მამიკლავ,  
 ცოდვა დაიდვავ,  
 ცოდვიან წყალს კი მე ვერ შავსომავ!..

"სხვას კი რას გამაგავჯერებ,  
 წყალო, არ შავსომ, ტიალო!..."



**დავით რობაქიძე**

**ღაღოური**

გაილო შავი კარი,  
 გამოვიდა შავი კაცი,  
 შავი მანქანით,  
 გამოუდგა შავი კვამლი.  
 კაცმა უთხრა -  
 კვამლო, საით მიჰკვალავო;  
 თავის ქალის ქალაქშიო,  
 დაბალ მაღალ ნარგავშიო,  
 კაცის შვილის ფილტვებშიო,  
 ნერვებსა და ფიქრებშიო.  
 იძრო კაცმა გასაღები,  
 დაჰკრა შავ კვამლს,  
 განყდა კვამლი,  
 ჩაიკეტა შავი კარი,  
 ნამოვიდა კაცი ფეხით.

გაილო წითელი კარი,  
 გამოვიდა წითელი კაცი,  
 წითელი მანქანით,  
 გამოუდგა წითელი კვამლი.  
 კაცმა უთხრა-  
 კვამლო, საით მიჰკვალავო;  
 თავის ქალის ქალაქშიო,  
 დაბალ მაღალ ნარგავშიო,  
 კაცის შვილის ფილტვებშიო,  
 ნერვებსა და ფიქრებშიო.  
 იძრო კაცმა გასაღები,  
 ჰკრა წითელ კვამლს,  
 განყდა კვამლი,  
 ჩაიკეტა წითელი კარი,  
 ნამოვიდა კაცი ფეხით.

გაილო ყვითელი კარი,  
 გამოვიდა ყვითელი კაცი,  
 ყვითელი მანქანით,  
 გამოუდგა ყვითელი კვამლი.  
 კაცმა უთხრა-  
 კვამლო, საით მიჰკვალავო;  
 თავის ქალის ქალაქშიო,  
 დაბალ მაღალ ნარგავშიო,  
 კაცის შვილის ფილტვებშიო,  
 ნერვებსა და ფიქრებშიო.  
 იძრო კაცმა გასაღები,  
 ჰკრა ყვითელ კვამლს,  
 განყდა კვამლი,  
 ჩაიკეტა ყვითელი კარი,  
 ნამოვიდა კაცი ფეხით.

გაილო თეთრი კარი,  
 გამოვიდა თეთრი კაცი,  
 თეთრი მანქანით,  
 გამოუდგა თეთრი კვამლი.  
 კაცმა უთხრა-  
 კვამლო, საით მიჰკვალავო;  
 თავის ქალის ქალაქშიო,  
 დაბალ მაღალ ნარგავშიო,  
 კაცის შვილის ფილტვებშიო,  
 ნერვებსა და ფიქრებშიო.  
 იძრო კაცმა გასაღები,  
 დაჰკრა თეთრ კვამლს,  
 განყდა კვამლი,  
 ჩაიკეტა თეთრი კარი,  
 ნამოვიდა კაცი ფეხით.

გაილო გამჭვირვალე კარი,  
 გამოვიდა გამჭვირვალე კაცი,  
 გამჭვირვალე მანქანით,  
 გამოუდგა გამჭვირვალე კვამლი.  
 კაცმა უთხრა-  
 კვამლო, საით მიჰკვალავო;  
 თავის ქალის ქალაქშიო,

დაბალ მაღალ ნარგავშიო,  
 კაცის შვილის ფილტვებშიო,  
 ნერვებსა და ფიქრებშიო.  
 იძრო კაცმა გასაღები,  
 გამჭვირვალე კვამლს გადაჰკრა  
 განყდა კვამლი,  
 ჩაიკეტა გამჭვირვალე კარი,  
 ნამოვიდა კაცი ფეხით.

გაილო პურის კარი,  
 გამოვიდა პურის კაცი,  
 პურის კალათით,  
 გამოუდგა პურის კვალი.  
 კაცმა უთხრა,- შინ დარჩიო.  
 კვალმა უთხრა,- იარეო.  
 იარეს და შეხედნენ სხვა კაცს;  
 ნამოსულა ღვინის კარით,  
 სიბრძნით სავსე დოქის ტარით.  
 დასხდნენ ხესთან:  
 გადაცვალეს ერთმანეთში,  
 გზას გაუდგნენ,  
 შინ ცოლ-შვილი ელოდებათ.

დაინახეს სხვა კაცებმა,  
 თქვეს, ამ ხესთან კიდევ მოვლენ,  
 იქნებ ჩვენც მიგვიყვანონო.  
 გაიგონა ხემ და უთხრა:  
 მოდით, ახლოს მოდექითო.  
 მივიდნენ და ამოუდგნენ.  
 გამჭვირვალე მაღლა აძვრა,  
 დანარჩენი დაბლა დადგნენ.  
 შეკრეს წრედი, ხე შებოჭეს-  
 ხემ თქვა: ხელი გამიშვითო.  
 გამჭვირვალემ ჩამოსძახა,  
 არ გაუშვათ, იდექითო.  
 ხემ ფოთლები გაახილა,  
 ცას ახედა ფოთოლებით,  
 ცამ ჩახედა ვარსკვლავებით.  
 შეეშინდათ კაცებს და თქვეს;  
 დავიშალეთ, ყველა,  
 სახლში ვბრუნდებითო.

გამჭვირვალე გველეშაპმა,  
 გამჭვირვალე კაცით შიგნეული შეიფერა.  
 თეთრმა გველეშაპმა,  
 თეთრი კაცით ისაუზმა.  
 ყვითელმა გველეშაპმა,  
 ყვეთელი კაცით ისადილა.  
 წითელმა გველეშაპმა,  
 წითელი კაცით ისამხრა.  
 შავმა გველეშაპმა,  
 შავი კაცით ივახშმა.  
 სადაც იყვნენ იქვე დარჩნენ:  
 მათი ბედი აგვამოროს  
 სალოცავმა ხე გვიცოცოხლოს.

ჭიქა,  
 ლაქა,  
 ქიქა,  
 ფაქა.

**კაკალი**

კაკალი სცემეს. თავიდან,  
 გამოუბერტყეს კაკლები,  
 წელიწადი რომ გავიდა,  
 მოისხა არანაკლები.

კაკალი მოჭრეს, დააპეს,  
 დაახშეს ტვინი კაკლების,  
 მსოფლიო კაკლოურობამ,  
 აფრინა მთელი ნაკრები.

მოგროვდა კუთხე სხვადასხვა  
 ჯიშით და განაყოფებით,  
 შეიქნა ერთი თავდასხმა,  
 ისვრიან ნიგვზებს ტოტები.

ჩამოჯდა კაკლის მბერტყავი,  
 დაუსკდა ხელის მტევნები,  
 მატლივით გაუპენტავი,  
 მიადგნენ ღრუბლით ცრემლები.

მოფხიზლდა კაკლის მბერტყავი,  
 გაფანტა ჭოკით ღრუბელი,  
 აღმართა ცაში ზემკლავი,  
 იტვირთა კაკლის უღელი.

მეცა ცოლ-ქმრის ნაჭუჭი,  
 შეეცხო სახლი გონებით,  
 გაეხსნა გულის პარკუჭი,  
 გაუქრა ძველი ომები.

დარეკა ქარმა ხეები,  
 აკრიფა კაცმა ნაყოფი,  
 ნავიდნენ ცუდი დღეები,  
 მოვიდნენ კარგად სამყოფნი.



დასაწყისი № 9

პროსტო ჯიბეში არ მქონდა, თორე დაბრეცილს კი არ გამოვართმევდი. ზეგ აქთ მოსაცემი, ათასხუთასი ერთგან და სამასი მეორეგან მარა, ოთხასი მეც მისაცემი მაქ.

მიხომ დაინყო დაინყო და მეც გავიგონე ჩემპიონთა ლიგის გიმნი და ეს პური ავიღე ცხელი და ვეძახი, მიხაილ, სოკი გინდა? მარა მიხაილი უკვე გაჩერდა, დაყრუებულია, იმიტო, რო აესე კამერა რო გადატარდება, სასტავი რო დგას მანჩესტერის, მიხო პონტია, არ გამოიხედავს და წავიღე სოკები და ცხელი პური და მეთქი თხილები მერე გავაკნატუნოთ, მანჩესტერო რო გაიტანს.

და ნატუკა მეუნება, რო ჩემ ტელეფონზე დაგირეკა ვილაცამო, ოლონდ დაფარული ნომერიო და ეგრევე მივხვდი, ვინც იყო. იმ დღეს წაღებული რო მქონდა ნატუკას ტელეფონი, მე დავრეკე თითონ და სვიდანიო მქონდა. სვიდანიო ის კი არა, ნაშებთან. ეგრე არ მევასება ნაშებთან დარეკვა და თან ცოლის ტელეფონით. ვაბშე არ მევასება ნაშებთან დარეკვა და არც ნაშებთან სიარული მევასება. შვილები მყავს სამი და ნაშებთან ვიარო და იქიდან სახში მოვიდე? სვიდანიას სხვას ვამბობ. ძველათ რო ყოფილიყო და ჩემისთანა კლიენტი რო იტყოდა, სვიდანიოზე მივდივარო, იმას ახსნა კი არ ჭირდებოდა, რო სვიდანიო ნაშებს არ ნიშნავს. სვიდანიო საქმეზე. ხოდა, ამ ტელეფონით ერთ ხალხთან მქონდა სვიდანიო და პირდაპირ ქურდთან დავრეკე ნატუკას ტელეფონით.

იმას სახლის ტელეფონზე დარეკვაც შეეძლო, მარა ვერ დაიბარებდა ხო? არ უყვართ ეგეთი დარეკვა. მობილურზე დარჩენილი ქონდა და იმაზე დარეკა, თან დაფარული, რო ამით მიმხვედრა საქმეო და თან ნატუკას ნომერი არ დაანახო. მე ეგრე დავითვალე, მარა ფეხბურთი როა?

მე წესი მაქ, რო მანჩესტერი რო თამაშობს, მიხოს უპაძქერშევე და პასტაიანა იმის გვერდზე ვარ. უსწორდება. ბავშს თუ პაძქერშე არ დაანახე, რალა ბავშვი. შენსას კი არა, სხვის ბავშვსაც უნდა დაანახო პაძქერშე. მარა, ეგეთი ზვანოკია და ავლეული, რო მაყურებლებს ორი საათის წინ ქურდისგან არი დარეკილი და მაინც რო უყურე ტელევიზორს, მწვანეს ხედავ, მარა რა არი ეს მწვანე, ვერ ხვდები, იმიტო, რო იმას ფიქრობ. მიხო კიდე იძახის, მარა რა ხედავ, მეუწნება მამიო, მოდი გაგიმზაზო. ეგ სიტყვა აკრძალული მაქ, მარტო მანჩესტერის თამაშზე რო გავმზაზოთ ამისი უფლება აქს, თითოო სულ მანჩესტერია, მე კიდე სხვა და პასტაიანა, ერთი ბანანი, ან რამე ეგეთზე ვმზავთ. ოლონდ, რო აგებს უნდა მოიტანოს, რასხოდი არ არი. რასხოდი ვაბშე არ არსებობს და ბავშმა უნდა იცოდეს.

ეხლა კი უმაზავ, მარა იმას ვფიქროვ, რო როგორ უთხრა, რო უნდა დავრეკო და რო გავმზავთ, მეუწნება, აღარ დაჯდება მამიო? ეს პური და სოკები კუნხაში დამრჩა და მეთქი, მიხაილ, დასარეკი მაქ, ძაან ვაჟნი, უცბათ რალაცა მოხდა და შენი ოთახიდან რო დავრეკო, ხო შეილება?

დარეკეო, მერე ხო უყურეფო. შევეცდებიოქო.

გავედი, დავრეკე, ეგენი იყვნენ. როგორც მივხვდი, ზუსტათ ისე. სალოლო, გაეხარდა. ფუტბოლზე არ მინდოდა შეშლაო, მეც უყურეფ და მეთქი პერერივზე კიდე დაურეკავო. სალაპარაკო მაქო და როგორ შეგილიაო. მეთქი, შემილია. თუ გინდა ეხლა, თუ გინდა ხვალ დილაზე. დილაზეც შეილებაო, მარა თუ ძაან არ გინდა, მოდი ბარემ ამოდო და ბევრი კი არაფერიაო, მარა გადადებული საქმისო, ხო იციო. ხარაშო, მანდა ვარმეთქი, გამოვდივარ. შორს კი არ არი.

ეხლა რა ვქნა, მიხოს რა უთხრა.

აკა მორჩილაძე

ლეონდარული ქამერას პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრება



ხოდა, გამოვედი ბალკონზე მიხოს ოთახიდან და ბალკონით კუნხაში შევედი და ნატუკას ვეუნები, გასასვლელი გავხდითქო და მიხაილას უნდა დაუტყდე, გონია რო იმის ოთახში ვარ, ტელეფონზე ვლაპარაკოვ. უკან გაიარეო, კარგათ გამოხვედიო, დიდი ხანი მიდიხარო? საქმეთქო და ამ დროს მიხო იძახის, გაიტანეს მამიო, და გავარდი ტელეფონით, ვითომ ვლაპარაკოვ და აბამეთქი, აბა, კაი გაიტანეს, და ჩავეხუტე მიხოს და თან ტელეფონი ყურზე მაქ, შევედი ისევე იმის ოთახში და გამოვედი ისევე კუნხაში და იქედან ნატუკამ გამაპარა, ქეთურა იქით იყო თავის ოთახში, ლოჯი ხო გადაუკეთეთ და გამოვედი წყნარათ. მობილურიც წამოვიღე, ტაქსზე დავჯექი და ავედი.

ზიან, ფეხბურთს უყურებენ, უკვე ზაფხული მოვა მალე, ხილი უწყვიათ, კონიაკი უდგათ, დრასტი ზნაკომ, გადაკოცნა, აბა, იგროკ, ვინ მოიგებსო და მეთქი, ეხლა ჩემ ბიჭს გაუმაზე, და მანჩესტერმა უნდა მოიგოს, იასნია, იმიტო რო ჩემ ბიჭთან ყოველთვის ვაგებთქო. დავაი დავლიოთო და ვერა ვსვამ, ვკურნალობ, არ მინდა რა, ნერვოზებს ვიკიდევ. მაშინ ბოლომდე უნდა დავლიო, იმენა შეუბერო. თან მეთქი რა უნდა, ახლობელია, ის კი არა, რო რამე პრობლემა, მარა ქურდია და ტყუილა არ დავრეკავს და შენაო, ქემეო, ხვალ ერთ საქმეზე მივდივარო და ერთათ რო წავიდეო, რას იტყვიო. ქურდი გეუნება, რა უნდა თქვა, წავიდეოთქო და მიუტრიალდა, აი ეგეთი ჯიგარიაო, ლაბავოის ამბობსო და მე კიდე არ ვეკითხები, რა საქმე. ქურდის საქმეა, მე რა ვკითხო? რაც არი, ეგ არი. უცბათ მეუწნება, თავანი მაქ ჩასატანო, ჩვენ კოლეგებთანო და მინდა შენც იქ იყო, რო რასაც ვეტყვი მოისმინო. ნამომეთქი, შენ რა თავანი გაქ, მაზავმეთქი და ვიცინით. არაო, ჩემი შვილის არიო. ჩემი ბიჭიაო, აგებს და აგებსო და ერთი მე უნდა ჩავიტანო და ორი სიტყვაც უთხრაო.

ვინ არიანმეთქი და ორი არიანო, ხან ერთი უმაზავს, ხან მეორეო, ერთი მეგრელიაო, რუსეთიდან ჩამოსულიო და მეორე,

დაბრეცილზე მეუნება, ვახო ქვიო, ხო შენი ახლობელიაო. მე უთხარი, ხო კაი ატანაშენია მაქ, მარა ერთათ არაფერს არ ვაკეთებთქო, ეგ და მეგრული აკეთებენქო. ვიციო, კრუპნებს მაზავენო.

ვიცი ამის ბიჭის ამბავი, როგორ არ ვიცი, დაზამასკებულია, მეხუთე თავანი აქ მარტო ამათან, თორმეტი ათასი.

ვინ მოითმენს? ვიციმეთქი.

გეცოდინებაო. მეგრელთან აქ ხვალ თავანიო და მე ჩავიტანო.

ბიჭი თვრამეტი წლის არი, ისე რო გითხრა, და ვახოს და მეგრელს უმაზავს. აზზე არ არი. ბავშვი, რა. მარა მაზავს და მოაქ. ქურდის შეილია, მოაქ და მოაქ, როგორ არ მოიტანს? ქურდმაც შეხედა. ერთხელ იმან თავისით იშოვა, მეორეთ. მესამეზე მოადგა, მეოთხეზე. ეხლა მეხუთეზე ვეღარ უთხრა და სხვებმა უთხრეს, ჰოპ სტოპებზე დარბისო, ჰოპ სტოპით ჩავიტანდა თორმეტ ათას დოლარს? მანქანას ყიდისო. ძმაკაცი მანქანას ყიდისო. ქურდმა თქვა, მოგცემ მაგ ფულსო: ოლონდ მე ჩავიტანო და ეუნება, ცოტა დაისვენე, გაატარეო. აბა, იმას ხო არ ეტყვის, ნუ თამაშოვო და მე მეუწნება: ეხლა მეგრელთან აქ ნაგებულო, მარა ეგენი ერთ ფულს ატრიალებენო, ვახო და მეგრელიო და ეგ ხო შენი ახლობელიაო და უთხარი ეყოთ, ბიჭიაო, ნიოპიტინიაო, და ერთი ხანი ნულა გაუამაზავს, რო მოადგება, უარი უთხრასო, მეგრელს კიდე ხვალ ერთათ ვნახავო და ვეტყვიო, რო ნუ გაააიყუბსო, პატარაო და ამ ჩატანა-ჩატანაში გიყდებაო.

მეთქი, ბეზაზარა, ხვალ რა დროს. თორმეტზე ჩავგაქო, ტოტოშიო, იქ გველოდებო. თორმეტს რო თხუთმეტი აკლია იქა ვარ, ვეუნები და ავდექი. კაკრაზ პერერივი იწყება.

ხარაშოო, გელოდებიო. ნამოვედი, ტაქსზე დავჯექი, ამოვედი სახში, ჩუმათ შემოვედი, შემოუარე კუნხით, ნატუკას ვეუნები, მოვედითქო, გავედი ბალკონში, შევედი მიხოს ოთახში და გავედი ტელეფონით, კაკრაზ მეორე ტაიმზე

გამოდინ და დაუჯექი გვერძეზე... მეთქი, აი რამდენი ვილაპარაკე. მიხო კიდე იძახის, დედიო, მთელი ტაიმი ილაპარაკაო. ტელეფონი გახდაო. თან მობილურითო. მე კიდე ვიძახი, თხილები მოგვიტანეთ, თხილები მოგვიტანეთ.

მიყვარს მიხოსთან მანჩესტერის ყურება. მე კი არ შემეყვარებია ძალით, თითონ დაევასა, წითელ მაიკებზე ალბათ და ეგეთი როყები რო არიან.

ნატუკა გამოვიდა და ფეხზედგომელა უყურებს, მაინც ამბობს, არ უნდა დაიძინოს? მიი-ხოო. მიხო კიდე არ პასუხობს, ელოდება რო მე უნდა დავაატკაზო. მე კიდე ეგრე უნდა ვთქვა: დედი, ვერა ხედავ, რო მანჩესტერი თამაშობს? შენ დაიძინე მე და მიხეილა ჩვენით დაიძინებო. ეგრე არ არი? აი, ფერგიუსონიც გამოჩნდება ეხლა და დაამტკიცებს რო ეგრეა.

ნატუკამაც უნდა თქვას, თუ იგებს დავნევი, თუ აგებს მეც თქვენთან უყურეფ. იგებს, იგებს, უნდა თქვას მიხომ. ან აგებს, მარა, მოიგებს.

აი, ეგეთია ცხოვრება.

რასტოველი მებრელის ამბავი

ამისი ამბავი დაბრეცილისგან ვიცოდე.

როგორც კინოშია ისე: რასტოველი მაგარი მაყუთები ჭრა და ჩამოვიდა თბილისში.

რასტოველი რო მაყუთებს გაჭრი, თანაც მაგრებს... ეტყობა, რალაცატომ ჩამოვიდა, მე რა ვიცი. კი არ ჩამოვიდა და ერთხელ ვილაცასთან ერთად შემოვიდა სათამაშოში და რა იცის, რა არი.

ნი ტო ჩტო, რო თამაში არ იცის, რა არი. ვაბშე არ იცის, ნამყოფი არ არი ტოტალ-იზატორში. შემოვიდა ვილაცასთან ერთათ და ეუნება:

— ეს არი ტოტალიზატორი?

ეგ არიო, ეუნებია. ეხლა ხო არ ეტყვიან, რო სასტუმროა, სტადიონია, სახინკლეა.

და უყურებს აქეთ-იქით. — ეს რა არი?

ტელეტექსტები არ იცის რა არი. რასტოველი ფულეები აქ გაჭრილი.

მე რო ვახოს ვეუნებოდი მერე, ეგება იცოდა და ეგეთი ეჭრა პროსტო, არაო. მე იქ ვიყავიო და ყველა ჩურჩულობდაო, მაყუთიანი ლოხია მოყვანილიო და არ იჩქაროო, ნელ-ნელა შეგხედოთო, პირველზე მაინც არ გამაზავს და მერე დავაკვირდეთო, როგორ შეილება განწვავაო.

მე უთხარი, ეგება ეგ მოყვანა მოგონილი იყო და არაო ვახომ, სანამ ერთათ ვიჩალიჩებდით, მე მეთამაშებოდაო და ვიციო.

ხოდა უყურებს ეს მეგრელი, წვეტიანი ტუფლები აცვია შავი, რასტოველი იყიდება ეტყობა ეგეთი, გვერძე გადასაბნევეზე პატარა ბჭყვიალეები აქ. ვითომ ბრილიანტები. უყურებს და არაო ვახომ, სანამ ეგება გამაზავაო. მენიუებს შეხედა კედლებზე, სივებს, რამე აუხსნეს. ქვითარი ესე ივსებაო. მარა ეგეთ კაცს ქვითარზე ვინ მოაცდენს, მარა ხო არ ეტაკები, არ უნდა დააფთხო, და მერე თითონ მოვა. გლავნია, ტელეფონჩიკებმა თუ წაიყვანეს, არც მოვა შენთან სათამაშოში. მე არ მიყვარს ტელეფონის მაზი. ნდობის პონტში კი არა. მე თითონ არ ვხმაროვ ტელეფონს.

ხოდა, აუხსნეს და მაიტა ავტორუჩკაო და დაუჯდა და დაფიქრდა. ტუფლებზე ვითომბრილიანტები ბჭყვიალეობს. იცინის ხალხი, კრემისფერი პლაში აცვია და შვეტუფლებზე ბრილიანტები ბჭყვიალეობს. მივიდა, აილო ერთი პარა და დაუნერა ერთიანი. მასპინძლის და თან ძლიერის მოგებას და ამოილო ასდოლარიანი და აძლევს ფორტოჩკის გოგოს და ბიჭებმა უთხრეს, ეგრე ძმაო, რო ამოტრიალდეს, ას დოლა-





რს წააგეფო და თუ მოიგე, მარტო თხუთმეტ დოლარს მოიგეფო. და გააჩერა ქვითარი, მოიცაო, გოგოს ეუნება. აბა რანაირია, ამდენი ფულით ასე ცოტა უნდა ამოვილო? და იქ უთხრეს, სხვანაირათაც შეილებაო, პარები გადააბიო, ვაბზე ასდოლარიანს ქვითარში ეგრე იოლათ როგორ შედიხარ, ქვითარი პატარა ფულების თამაში უფროაო. გაუჩერდა ხელში და დაფიქრდა, ასე უთქვია, ეს ნაუკა ყოფილაო და გაჩერდა თურმე, დაჯდა და დაინყო მენიუების კითხვა და იმ დღეს არც შეუვსია, ხელის მარჯვნივ ეტყოდა.

მოვიდა მეორე დღეს იმ ბჭყვილიანი ტუფლებით, რალაცა შეავსო და წავიდა. კაროჩე ერთი თვე თამაშა და იგებს ქვითარზე. არავინ არ იცის, როგორ. იგროკია და არიფულს თამაშობს? თუ არიფია და მართლა გადმოუყარა. თუ მეორეა, ფარტი აქს, ეგ კიდე კაია მარჯავისთვის, ფარტი თუ მოგდევს და თან ჭკვიანი ხარ, ვაბზე მაგარია.

მე უფრო ჭკუის მარჯავი ვარ, ფარტზე ჩამოკიდებული არ ვარ. მე ჩემი მარჯავი მაქ მოგონილი, ჩემი რამეები ვიცი, ფარტიანი კიდე, უფრო იმარჯე, თავისთავათ ერჩევიანება კაი, გული დაუძახებს, თუ როგორც არი.

ხოდა, ამ ქვითრებს იგებს და კარგათ იგებს. თან ფულიანი კაცია და მეტი თამაში მოუნდა. მარტო ფარტიანი კი არ არი, ჭკვიანიც არი, ნახე ვახო ამოარჩია. მთელ იმ სასტავებში უყურა და ვახო ამოარჩია, წამოდიო დაჯდეთო, რესტორანში დაჯდეთო და უთხრა, ხელის მარჯვნივ მარჯავისთვის, მარაო აზზე არა ვარო გულახდილათ რო გითხრაო.

იასნია რო დაინტერესებდა. ფულით არი ჩამოსული და კიდე რალაცა ფულებს იღებს.

ვახომ უთხრა, ჩემგან რა გინდაო. აზზე მომიყვანეო, იმან უთხრა და ვახომ კიდე იოლათ მოიყვანა აზზე. რასაც ქვითარში ჩუმათ აკეთებ და ნერ და შეაგდევ, ის ხელის მარჯვნივ ხმამაღლა თქვი და ეგ არიო. გააცინა. ისე კიდე, იმან უთხრა, ვისმენ ხელის მარჯვნივ რო დებენ, მარა მეუხერხულეზაო, უცხო ვარო და კარგათ მოსმენა მერიდებაო. ბაზარი რო გექნებაო, მეც რო გვერძე ვიდგეო და მოვისმინო უხერხულვონის გარეშე, შეილებაო?

ეგ რალა უხერხულეზაო იყო. ვახოს ორი შეხედა და ერთ მარჯვნივ უთხრა, ნახევარში მოგყვებიო. ნაიყვანა დაბრეცილმა და მოიგეს, იმან კიდე, გაუზარდა და გაუზარდა, ფული არიო, არ ინერვიულო. ვაზმოყნოსტი არიო და იგებენ და ყველაფერი აითვისა ამ რასტოველმა და ეგრევე თითონ გახდა ბუკმეიკერი, ტელეფონზე მიღება დაინყო მარჯავის, მარა მანდ როგორ არი. დავერია დიდი უნდა იყოს, ვილაცას რო მოყავს, რო არ იცნოვ, ის ატყენაი უნდა იყოს თავიდან, რო პატიოსანი ბიჭია და ფულელოშიკი არ არი. თორე, ავე ფულელოშიკები რამდენია. მოვლილი აქთ ყველა ტოტალიტატორები.

ხოდა, მეგრელმა რო დაინყო ტელეფონის მიღება, ვახომ უთხრა, მეო ტელეფონი არ მევასებაო, მე პრიდპიანიე არ მაქო, იგროკი ვარო და მეგრელმა სულ მადლობები უხადა. არ დაიშალენ იმიტო, რო ვახოს ხელის მარჯვნივ ის ნახევრით იყო, მოიგებდა, ნააგებდა. ბაზარი არ იყო, მოქონდა და მიქონდა. ხოდა, ვახომ მოუგო ამ პატარა ბიჭს. ქურდის შვილია, გაიგე? მერე რა? თან იცის, რო ვახლოლოვ და ეგრევე მითხრა, მაგარი ატჩიანი ბავშიაო, მარჯი არ იცის და რვა ათასი მოუგე და მოიტანაო და კიდე თამაშს მთხოვსო და მამამისს უთხარო. მეთქი, მე რა უთხრა, მამამისმა არ იცის, რო თამაშობს? თუ თითონ შოულლობს მაგ თავნების ფულებს. მიდი, ეთამაშე და მოუგეფო, ვახო მეუნება და არ მინდა, რო ქურდს ასხოვდესო, რაში მინდაო, რო მაგის შვილს ვენწავო. განწენვაა მა

რ არი, ბავში გყავს დაჭერილი. ზამასკაშია, თავი პარტი ქურდი გონია, იმიტო, რო მამამისი ქურდია. თამაში სახელისთვის უნდა.

სინამდვილეში კიდე თამაში გამოცდაა, ოლონდ თვრამეტი წლის ბიჭი ამას ვერ მიხვდება.

ხოდა, გაუშვა ვახომ მეგრელთან ტელეფონზე, უთხრა, ეს ის არიო, ჩვენ რო უგებთო და ესეც ურეკავს მეგრელს და წერილწერილები მოუგო, და დაჟე პიატიმო-უგო, მარა ეგეთები ვიცი. შეყავს რა მეგრელს, შეიყვანა შეიყვანა და თვის ბოლოს, თანდათან ჩასატანები, სამ დღეში ერთხელ. გამოვიდა ოცდაერთი ათასი, მერე კიდე... კაროჩე, რა ფულეშია ხო ხედავ, ორმოცდახუთამდე აიყვანა და რავალია, უნდა იხადოს, ქურდის შვილია და აძლევს ქურდი და მეც მაგ პონტში გამიხსენა. იმ მეგრელის მოგებულებიდან ვახოსი არაფერი არ იყო, ამიტო თავიდან ვახოსთვისაც სათქმელი მქონდა, მარა მეგრელი იცი უკვე როგორ ძულთ? დაანგრევენ, განიხსენიან, დაადებილებენ. კაცს რო უგებ, ბეზუალსნათ არ უნდა მოუგო, თორე ბოლოს ხვდება. ძულდები და რო ძულდები, კი აღარ გეთამაშება, გეუნება, ვსიო, აღარ გეთამაშები და პროსტო მიფთხილდი, პრიჩინა არ მომეცეს. იქნება პრიჩინა. ცხოვრება. ანდა რა პრიჩინა უნდა, ნალიობი და ვსიო. რამეს ეტყვი? პრისტუპნიკი ბიჭები ვართ და ეგ არი. გაგადებილებენ, სულ არმატურებით, თუ ვაბზე არმატურები გაქმარეს.

მარა, მე რას ვგრძობდი, იცი? რო ამ რასტოველს ზურგი აქ, ეგრე არ იქნება. ამხელა რუსეთის ამხელა რასტოვეში ფულეები გაჭრა და აქ კიდე ჩამოვიდა და შემთხვევით სათამაშოში შემოვიდა და ნელ-ნელა ამხელა თამაში გაუხდა და ახლა მაგის ძველ ფულეზე არავინ ლაპარაკობს, იძახიან რამხელა ფულეებს იგებს და ვახოს მარჯვნივ არი და ვახოს დიდი არასდროს არ უყვარდა, მარა იმის ფულეების პაძქერმა რო აქ, აუნია, მარა ტელეფონში არ მონან-ილეობს. ხოდა, ვახოზეც კი აღრენილები არიან, რასტოველს რო შეეკრა, მარა მე ხო ვიცი, უზურგოთ ეგეთი როჟა არ იქნება. ტუფლები კი აქ გიომური, მარა, მარტო ხო არ იქნება? ეგრე, ტელეფონით ამხელა მარჯვნივ როგორ მოეჩევა? ვილაცა უდგას უკანმეთქი, ეგრე ვფიქრობდი და ვახოსაც ვკითხე და დაბრეცილმა ვახომ მითხრა, მე არ ვიციო, მეც ფიქრობ მაგაზე, მაგისგან მარჯვნივ ეგეთი ნიჭიერული სწავლა თავიდან ბოლომდე მოგონილი ხო არ არი, აილო მთელი ბაზარიო, მაგხელა მარჯვნივ ეხლა ტელეფონით არავის არა აქო.

დიდი მარჯი სხვასაც უყვარს, მარა ის სხვა ტუფლებიანი რასტოველი არ არი, ის სხვა თხუთმეტი და ოცი წელიწადია არი და ამიტო, იმარჯე გაბრაზება არ არი. იმას ნაუგია, მოუგია, ეს კიდე სამ-ოთხ თვეში ყველაფერში ბეზატკაზნია, ტელეფონი გინდა, ხელი გინდა, ქვითრები მოაქ პირველ საათზე, იმასაც ავსებს. კაცია თამაშია, რა და მოსდის. ფარტი აქს, მარა ის აღარ იცის, რო ვისთან როგორ მოიგოს. ხალხი არი, ვაბზე არ გამიბაზია. იმიტო, რო ან კაი ხალხია, ან იმასთან პროსტო არ მევასება. ამდენი ხანი სათამაშოში რო ხარ, ხო თავისთავათ გამოჩნდება, ვისთან გინდა, ვისთან არა. დაჟე, თუ ახლობელი არ არი, გულში გევახებს ის ტიპი და არ უმარჯე რა. არ მინდა იმასთან მოგება. ნაგება კიდე არავისთან არ მინდა. პროსტო ნაგებაც უნდა იცოდე.

კაროჩე დილაზე სათამაშოსთან რო მივდიოდი, მაგაზე ვფიქრობდი და მივედი თხუთმეტი რო აკლია და თორმეტზე აღებენ. მე კაი ხანი ეგრე ადრე სათამაშოში არ მივსულვარ, ათი წელი იქნება. სამსახური კი არ არი, ხოდა, მანდ ქონიათ იმ მეგრელს და ქურდის ბიჭს სტრელი და მივედი და ქურდი უკვე მოსულია, მანქანაში ზის. ორი პაძქელიკით არი, დაჯეო,

ქემერო, დაველოდოთო და მე უთხარი, ჯობია, სანამ დილაა და სიცხეები არ არი, გარეთ დავდგე, მანქანაში ნერვოზებს ვიკიდებ, გაჩერებულში რო ვზივარ და რალაცა მანქანის სუნები როა, მარა ეხლა მაგას ხო არ ეტყვი ქურდს. მეთქი, მეც ერთს ველოდები და უნდა დავინახო როდის შევა და მაგის პაძქელიკმა თქვა, ნახეო, ტარიკო, ქურდს ეუნება, ეს ქემერა იგროკი კი არ არიო, მინისტრიკით არიო, ჩვენ გარდა სხვა ხალხთანაც აქ საქმეო და ლამის გვაცდევინებო. გვაცდევინეფ, ქემერო? ეგეთი შუტკები აქ, მაგრა არ მევასება ეგეთი შუტკები და კიდე კაი გაზეთი არ მიჭირავს ხელში და თან დახვეული, იმიტო, რო დახვეული გაზეთი არი ჩემი შარი, აი მაგ შუტკაზე ეგრევე დავცხებდი თავში დახვეულ გაზეთს, ეხლა კიდე შეგვხედე ერთი ვითომ გაცივებით და ტარიკომ კიდე უთხრა, ეგო ბიჭო, ერთი ჯარშია ნამყოფო, თორე სხვანაირათ ძაან ქურდულათ აქ ნაცხოვრები და ვაფუე ეგრე ცხოვრობსო, მაგრა წესიერათო. იცი შენო? კი არაფერი. ამით ის მიხვედრა, პროსტო საქმე კი არ მაქ, წესიერ კაცთან მაქ საქმეო და ეხლა ის აღარ უთქვია, სამი ნათლიიდან ორი რო ქურდი მყავდა და მამაჩემიც რო ქურდი იყო, ოლონდ თავისით ზავიზავში და მერე ცხეები რო ქონდა. გამეცინა, ხომეთქი, იმ ჯარშიც პროსტო არ ვიღებდი და რო არავინ წამომეხმარეთ, დავრჩი პაგონით-მეთქი.

ეს ლაპარაკია და მოვიდა რასტოველი მეგრელი, და აგემეთქი, ვდგავარ და გადმოვიდა თითონ ქურდი და უყურებს ეხლა მეგრელი როდის გადმოდის მანქანიდან, მეგრელი კიდე არ გადმოდის, ქურდის ბიჭს ვერ ხედავს. მე კი მიცნო, მარა ჩემთან რა საქმე აქ? ქურდი ვაფუე არ იცის ვინ არი, ის კი ეცოდინება, რო ნაგებულის მამა ქურდია, მარა ძაან მაგარი ფეხებზე კიდია. მე ასე ვგრძნობ. ეგეთი მიხვედრა მაქ და მეშინია, რამე არ მოხდეს. ამოვიღე სიგარეტი და ესე ვათამაშებ თითებში, ვითომ რო ცოტას ენევიან და გვიან რო უნდა მოუკიდო.

ზის ეს მეგრელი თავის მანქანაში, ხოდა, ვილაცა მოწაფეები მოდიან ტოტალიტატორში, სკოლის მოწაფე როჟები და ქურდი მეუნება, ქემერ, წამო ერთი მივიღე იმ მოგებულ კაცთანო. მივედი, იმას ხელში მსოფლიო სპორტი უჭირავს, შიგ იყურება, მენიუებს უყურებს, მეთქი, მალე ვისა აქ, ბრატიშკა? ვაო, დრასტი, ამბობს და ვუუნები, აი ესა მეთქი, ტარიკოა, თავანი მოიტანა თავის შვილის, ხვიჩას რო ეთამაშები, ხვიჩას მამაა რა. იმ უჩოტით ვეუნები, რო იცის, ქურდია.

მიადლო ის გაზეთი და გადმოვიდა, გამარჯობაო, ძაან პატივისცემით, ხელი ჩამოართვა. ტარიკომაც ჩამოართვა და უთხრა, დავედეთ მანქანაში, დათვალეო.

დავეჯექით. ტარიკო უკან დაჯდა, მე წინ, ის კიდე რულზე. მიანოდა. სამი პარკა იყო, ასიანები, დოლარები. დათვალეო. იმან ჩაბარდა, რასა ბძანებ, შენი იმხელა პატივისცემა მაქო. დათვალეო, ტარიკომ და დაათვლევიანა. ჩაბარდაო? კითხა.

ჩაბარდაო, მეგრელმა. და ეხლა მივხვდი, რო ტარიკოს პატივისცემა უნდა და მანდ გათავდებოდა, ტარიკო თუ დაეპატიეზობოდა, მეგრელი ტარიკოს შვილს არასდროს არ ეთამაშებოდა და რავი რამე აზრებსაც ეგება გამოსულიყო ტარიკოსთვის, ან რამის გახსნას ვაპირებ და დამაკრიშეო, ან რამე ეგეთს. და უთხრა, თუ მიკადრებთო, ვისადილოთ პატარა, თითო ჭიქა დავლიოთო და ტარიკომ, ეხლა არა მცალიაო, ეგრევე, ძაან სწრაფათ უთხრა.

კაროჩე რა უთხრა იცი, დავაიო რა, პაშტი სემდესიატ ტიში გაქ ჩემთვის მოგებული და რა პურმარილიო. სხვანაირი ქურდი იყო, არ უნდოდა იმის დათვლა, ის სემდესიატ ტისჩი იმის აზრებით როგორ ამოვლო.



მადლობელი ვარ თქვენით, მეგრელმა. და ტარიკომ უთხრა, აიო, ესო ჩემი ახლობელიო და მოთამაშე კაციო და ამის თანდასწრებით გეუნებო, ჩემი შვილი არასდროს არ გაფუფლოვდებაო, მარა მე უთხარი, რო ეხლა აღარ ითამაშოსო, იმიტო, რო შვილია და მაგის უფლება მაქ და თან ზამასკაშიაო და რო მოგადგეს კიდეო, ეგებ თავი შეიკავო.

რასა ბძანებთო, ეს ეუნება, რასა ბძანებთო. პროსტო თამაშიაო და ეგრე გამოვიდაო. ეაპასნება, ხო იასნია. დაო, ქემერაც აქ არიო, ტარიკომ, მე ვსე პრავა, პროსტო ნუ დააყენებ პადუდარ ბავშია ჯერო და აზზე არ არი, შენც ხო იცი, სისულელით აგებსო.

რასა ბძანებთო, შევიკავებ თავსო და ტარიკო ეგრევე გადავიდა მანქანიდან, მეგრელმა კიდე, ქემერო, ცუდი ამბავია ხოო და მეთქი, მაიცა და გადავეყვი ტარიკოს.

ტარიკომ სპასიბაო, ეს მინდოდა, მეტი არაფერიო. ვახო ეგება ნახოო და პროსტო მოუყევი ეს ამბავიო, მეტი არაფერიო. ვახო ქალაქელი ბიჭიაო, სპასიბაო, ჩაჯდა და დაქოქეს და გავიძინე ზადნით. მეგრელი კიდე გადმოხტა და დაუწყა იმ ბავშს ლანძღვა გიყიო, ნაჟიმით მიმარჯავდაო, რათ მინდა მე ქურდის შვილთან ატნაშენიაო, დაბრეცილმა გამაცნოო და მანდ უთხარი, მეთქი, მანდ სტოპ. და მეკითხება: ეხლა ეს ფული დაუბრუნო ქურდსო? გამეცინა. მეთქი, ქურდი წავიდა, რალას დაუბრუნეფ? იმას რო დომოდა, ეგრე შენ წინდანი გეცოდინებოდა და ვაბზე ხო იცოდი, ვის შვილსაც უმარჯავდი და ლოხივით რო გყავდა დაჭერილიმეთქი, მეგრელო, ვინ დაგათრევიებს?

თამაშიაო, მოუკლან თამაშიო და გავჩერდებოდიო. მეთქი, მიიღე ეგ თავანი და ეხლა ცოტახანს გაჩერდი, ჩემი რჩევა იქნება ამხელა ქურდი თითონ მოვიდა, თავანი ჩამოგიტანა, როგორ ფიქრობ, რატო ქნა ეგრე?

ხოდა, დაფიქრდი. მერე ვილაცამ მითხრა, მეგრელსო, ტუფლებზე ნამდვილი ბრილიანტები ეკეთაო, რაც არ მჯერა. მე ვერ ვერკევი, ძაან კი ბჭყვიალედა. მარა ყოველდღე საცემელ ტუფლად ხო არ ექნებოდა?

ამას ველაპარაკები და ამბობს: — სპასიბა, ქემერ, სპასიბა, ახლობელი კაცი ხარ ვახოს მხრიდან.

იმასაც ვერ მიხვდა, ქურდმა რატო დამასწრო ამ ლაპარაკზე. რა უნდა ველაპარაკო.

ეს ხალხი მოქმედებებით ლაპარაკს ვერ ხვდებიან. გაგოიმებულია ვაბზე ყველაფერი. იმ კაცმა მოქმედებით უთხრა ყველაფერი და სიტყვითაც მიხვედრა. ეხლა ქურდი ხო არ მოვა და ხო არ გეტყვის, თხოვნის პონტში.

ქედან წამოვედი, ნინიკა უნდა სკოლიდან გამომეყვანა და გამოვიქციე ჩქარა. ახლო კი არი, მარა მეგრელმა გამიგძელა, თორე ვიცოდი, ტარიკოსგან გძელი არაფერი არ იქნებოდა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**





# ლადო ასათიანის ნამცვრები

როცა კი მივსულვარ ანგელოზური ბუნების, დიდებული ადამიანის, ნიკა აგიაშვილის ქვრივის, ქალბატონ ქეთევან ფულარიას მოსახსენებლად, არ ყოფილა შემთხვევა, გარდაცვლილი მეთულის არქივიდან, რაიმე საყურადღებო, ანგარიშგასანევი მასალა არ გადმოეცეს.

ამა წლის 19 აგვისტოს, როდესაც ფერისცვალობის დღესასწაული მივულოცე, კარგა ხანს ვისაუბრეთ და მერე სამი საქალაქო გამოცხადება, ეგებ შენთვის გამოსადეგი რაიმე იპოვნო. გულმოდგინედ გადავსინჯე ის საქალაქო დამართლაც არაერთი მასალა აღმოჩნდა ისეთი, უთუოდ რომ უნდა გამოქვეყნდეს. უპირველეს ყოვლისა, ცალკე მინდა გამოვეყოს ლადო ასათიანის ორი ლექსი და რამდენიმე წერილი, დედისა და ძმისთვის გაგზავნილი.

პირველი ლექსი, სიყრმის მეგობრის, ლეჩხუმელი რაჟდენ შკუბულიანისადმი მიძღვნილი, 1935 წლის 3 მარტითა დათარიღებული. ამ ლექსით იხსენება ლიტერატურის მუხუთის საუცხოო საარქივო გამოცემა - „ასათიანური“, მაგრამ იგი უსათაუროდ არის დატოვებული და, ამდენად, არ ფიგურირებს ადრესატი. თანაც, შუაში აკლია სამი სტროფი, რაც ერთგვარად არღვევს ლექსის მთლიანობას, მის კომპოზიციას, რადგან ლადო ასათიანი აქაც სხვატურად იყენებს თავის საყვარელ ხერხს, განმეორებას, ასე რომ აძლიერებს მისეული სტრიქონების რიტმს, მელოდურობას. ბოლო სტროფში კია ნახსენები რაჟდენი, მაგრამ ამან შეიძლება უფრო დააბნიოს მკითხველი. რაჟდენ გვეტაძე რომ არ იქნება, ცხადია, თუმცა, კერძოდ, რომელი რაჟდენია, ძნელად თუ მივხვდებით. თვით ლექსი მთლად სიჭაბუკისდროინდელია, მისი ავტორი თვრამეტი წლისაა და მიუხედავად ამისა, აქ უკვე ჩანს ის საუკეთესო თვისებები, რაც მალე უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა.

შეიძლება უცნაურად მოგვეჩვენოს, მაგრამ გამოჩენილი ლიტერატორი, პოეზიის დიდი მცოდნე პოლ დე მანი, ვინაც ჯონ კიტსის სამაგალითო რჩეული შეადგინა (სხვათა შორის კიტსიც, ლადო ასათიანის მსგავსად, ოცდაექვსი წლისა გარდაიცვალა და მასაც „ბოროტმა სენმა“, ჭლექმა მოუღო ბოლო), ასე ნაადრევად დაღუპული, ერთ-ერთი უდიდესი ინგლისელი ლირიკოსის შემოქმედებას სამ ნაწილად შეყოფს: 1. ადრეული კიტსი. 2. შუა პერიოდი. 3. გვიანდელი კიტსი. პირობითობა რაღას არ მიუღებია.

ლადო ასათიანის წინამდებარე ლექსში ნახსენებია ორივე მეგობრის ახლობელი, ვინმე ანტონი, რომელიც ადიდებულ ცხენისწყალში დამხრჩვალა და რომლის ვინაობის დადგენა ამჟამად ალბათ გაძნელდება.

თვით რაჟდენ შკუბულიანზე ზოგიერთი ცნობა მომანოდა ლადოს ერთადერთმა ქალიშვილმა, სიკეთის განსახიერებამ, ჩვენმა უსაყვარლესმა მანანამ, ვისაც, ჯერ კიდევ აკვანში მოკლურტულეს, სასიკვდილოდ განწირულმა საამაყო მამამ „თვალხატულა“ უწოდა. რაჟდენ შკუბულიანი, პედაგოგი ყოფილა, შემდგომში ბოლნისის მცხოვრები ყავილა, იქაური სკოლის დირექტორი და ლადო ასათიანის პოეზიის არაერთი დასამახსოვრებელი საღამო ჩაუტარებია.

ცოტათი მეტის თქმა მომიწევს მეორე, თავისუფალ ლექსზე, რომელსაც ხაზგასმულად პროზაული სათაური აქვს - „1938 წლის 14 ივლისი“ და, თავისი ფორმით, ერთადერთია ლადო ასათიანის პოეტურ მემკვიდრეობაში. ლექსი თითქოს საგაზეთო ქრონიკასავით მშრალია, მაგრამ არამცდარად არ არის გრძობისგან, ემოციისგან დაცლილი. აქ არის მოლოდინი იმისა, რომ ლადო ასათიანი გაიქცნობს მასზე რამდენიმე წლით უფროს, მისივე თაობის დიდად ნიჭიერ პოეტს გრიგოლ აბაშიძეს და მათი შეხვედრის მოთავე იქნება მშობელივით ძვირფასი, ამაგდარი ნიკა აგიაშვილი. გაცნობის სიამოვნებას წინასწარ განიცდის ლადო ასათიანი და ყველაფრიდან ჩანს, ამ დღეს იგი უბრალოდ დღედ არ თვლის; სტრიქონთა მდინარება ლაღია, ძალდაუტანებელი. თითქმის თავიდანვე არის მინიშნება ტიციან ტაბიძის ერთ-ერთი ძლიერი, განზრახ პროზაული აქცენტებით გაჯერებული ლექსის („მუხამბაზი, რომელიც არ იმღერება“) დასაწყისისა:

ამ დროს მოდიოდა გრიგოლ ორბელიანი  
ორბელიანი  
ლადო ასათიანის ლექსის შესაბამის

ადგილას კი ვკითხულობთ:  
*იმ დღეს ჩამოვიდა მოსკოვიდან  
პოეტი გრიგოლ აბაშიძე.*

ამ შემთხვევაში სახელების იგივეობა, სეხნიობა სულაც არ არის განმსაზღვრელი. მთავარია, რომ ფრაზებია ერთნაირად აგებული და ჟღერადობაც მსგავსია. ყველაფერი წინასწარაა გათვლილი. ლადო ასათიანი თვალნათლად ხედავს - სამივენი როგორ ჩაიდან სარდაფში, სადაც ჰკიდია ფიროსმანის სურათი „ანგელოზები“. რელიგიური თემები გულთან მუდამ ახლოს მიჰქონდა ფიროსმანს, ხშირად ხატავდა სააღდგომო ბატკნებსა და ანგელოზებს და შესაძლოა ასეთი სურათი მართლაც ჰქონდა. ბევრი რამ მისი გენიალური ქმნილებებიდან, ჩვენდა სამწუხაროდ, დაიკარგა. ლადო ასათიანი უტყუარი გუმანით გრძობს - მალე, სარდაფიდან ამოსულებს, ოპერის ბაღში, „აკაკის ძეგლთან“ შეხვედრათ კიდევ ერთი სასურველი პიროვნება, მათი საძმოს უღალატო წევრი, სულითაც და გარეგნობითაც ჭეშმარიტი რაინდი, გიორგი შატერაშვილი. სამთა სიმბოლური შეხვედრა, რაღა თქმა უნდა, ღვინის შეუსმელად არ დამთავრდებოდა და ისინი ალიონამდე შერჩებოდნენ საკრალურ სუფრას:

*მერე ამოვალთ სარდაფიდან,  
თბილისი იქნება ლაჟვარდისფერი...*

აქ შორეულად, ოდნავ მოყრუებულად ისმის ტერენტი გრანელის ინტონაცია (გავიხსენოთ მისი „გულიდან სისხლის წვეთები“, „მე და გაფითრება“, „გული თბილისისათვის“, „ვარსკვლავი, რომელსაც მე ვუწოდებ“ და სხვა თავისუფალი ლექსები). ლადო ასათიანს გამორჩეულად უყვარდა მასავით მარტოსული კაცი, ბოჰემური ბუნებისა და ფიროსმანის გენიის მოთაყვანე, უკიდურესად უკომპრომისო და თავისთავად პოეტი ტერენტი გრანელი, ვის მოსაგონარადაც მღელვარე, ტკივილიანი ლექსი დანერგა „1939 წლის ზამთარი“. რაოდენ სულიერ სიახლოვეს გრძნობდა ლადო ასათიანი თავისი თანაემბები წინამორბედის მიმართ, თვალსაჩინო გახდება, ამ ლექსის თუნდაც რამდენიმე სტრიქონი რომ ამოვიწეროთ:

*ეს შენ იცოდი, ზამთრის ღამეში  
რა ანუხებდა მშობლიურ თბილისს.  
ეს შენ იცოდი, მაგრამ მეც ვიცოდი,  
რადგან მე შენი ვარ ნათესავი,  
მეც მიმიღია პოეტის ფიცი,  
მეც მანვალეზა ფიქრი შენსაკით.*

ამ დროს ლადო ასათიანი შემზადებული იყო საიმისოდ, რათა მალე ფიროსმანისადმი მიძღვნილი თავისი საუკეთესო ლექსები დაეწერა. იგი, უმთავრესად, ეყრდნობოდა გიორგი ლეონიძის მიერ რუდუნებით მოპოვებულ მასალებს; რამდენიმე პასაჟი მარჯვედაც გამოიყენა, ხოლო ნიკალას ნაცნობის ნათქვამი განუყოფრებელ მხატვარზე („თვითრჯული იყო“) უცვლელად ჩასვა ერთ-ერთ ლექსში. დიდად დასანანია, რომ გიორგი ლეონიძემ, სიცოცხლის მიწურულს, ხელნაწერების შეკვრა, ათეული წლებით ნაგროვები ფასდაუდებელი მოგონებები ფიროსმანზე, დაკარგა და დღემდე იმისი კვალი არ ჩანს.

გრიგოლ აბაშიძე, ლადო ასათიანის თავისუფალი ლექსის უმთავრესი ფიგურა იმხანად, რამდენიმე წელიწადი, მოსკოვში ცხოვრობდა, სასცენარო კურსებზე იყო მწერალთა კავშირის მიერ გაგზავნილი. მოსკოვიდან დაბრუნებული, ბუნებრივია, იგი მაშინვე შეხვედებოდა უახლოეს მეგობრებს. სწორედ ამ მომენტის მოლოდინი აღბეჭდა ასე ცოცხლად ლადო ასათიანმა. ხალასი ნიჭის პატრონი ყველაფერს დაატყობს ხოლმე თავის ხელს. მასსოვს, ბატონმა გრიგოლმა გივი გეგეჭკორსა და მე მოგიყვია მოსკოვში ყოფნის ერთი ფრიად საინტერესო ეპიზოდი, მაგრამ ამაზე აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებ.

აგიაშვილების სტუმართმოყვარე ოჯახიდან როცა გამოვიდვარ, ხუთიოდე წუთის შემდეგ დიდუბის ეკლესიასა და პანთონს უნდა ჩავუარო. ამ დროს სიმონისგან გული მეწურება და იქით მიხრეს გახედვა მიჭირს, იმდენად ბევრმა ახლობელმა ჰპოვა სამუდამო განსასვენებელი რკინის ალაყაფის მიღმა. მაშინაც, ფერისცვალობის დღეს, დაღონებული მოვედი. მომეჩვენა, რომ ეკლესიის ჯვარი გვერდზე იყო გადაქანებული და, ჩამავალი მზის მხარდამხარ, როგორღაც თავისთავად, ნაუხმარებლად დაიბადა მწუხარე, სევდნარევი სტრიქონები:

*ფერცვალბას გავხედე...  
გასახარად მტერთა,  
ჯვარო ეკლესიისავე,  
რამ გადაგაფერდა?!*

*თუ ჩაესმით ზარის ხმა  
(რა დამიღვეს სანანს?),  
აქვე, ახლოს, მინაში,  
ჩემი ძმები წვანან.*

*გლახა, ხახაგამშრალი,  
ვლოცულობ და ვხობავ,  
ღვთისშობელო, იმათი  
სულის მოსაოხად!*

ორიოდე დღის მერე, ქალბატონ ქეთევანის შემოთავაზებული მასალები როცა დავალაგე, გავიფიქრე, რომ აუცილებელია საფუძვლიანი მონოგრაფია დაინეროს ნიკა აგიაშვილზე, ვინც ამოდენა ამაგი დასდო ქართულ მწერლობას, მეგობრებს, ჩვენს კულტურას. ეს დღევადელ საქართველოს, მის ახალგაზრდობას გამოადგება. ჩემი მამინდელი ფიქრი ოთხ სტრიქონში მოვაქციე:

*ბატონი ნიკას „პაპკები“ ვქექი,  
ზოგი რამ წაღმა შევატრიალე...  
მადლი იქნება, გამოჩნდეს ეგებ -  
მისი ცხოვრების მემბრანა!*

კი დავწერე - „გამოჩნდეს ეგებ“, მაგრამ, საბედნიეროდ, ასეთი კაცი არსებობს და დღეისადაც დაუცხრომლად იღვწის. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას - იგი ათი კაცის საქმეს მანაც აკეთებს ერთად და ეს ადამიანი როსტომი ჩხვიძე, ვინც ასე წელგამართული, ხელხვავიანად შეხვდა თავისი დებადების ორმოცდამეათე წლისთავს და ჭეშმარიტად ახალ სიმაღლეზე აზიდა ეგზოტო რთული ჟანრი, ბიოგრაფიული რომანი, მრავალმხრივ ცოდნასა და ძალისხმევას რომ მოითხოვს. დარწმუნებული ვარ, მტკიცედ მჯერა, იგი, სხვა რამეების გვერდით, უახლოეს წლებში შექმნის მისთვის ძალზე ახლობელი ორი ღირსეული ქართველი მოღვაწის - ნიკა აგიაშვილისა და ვახტანგ ჭელიძის ცხოვრების ნიგნებს.

დაბოლოს, ორიოდე სიტყვა ლადო ასათიანის დედისა და ძმისადმი გაგზავნილ, დღემდე გამოუქვეყნებელ წერილებზეც უნდა ითქვას. ქალბატონი ლიდა ცქიტიშვილი, მეტად განათლებული ფილოლოგი და უტყუი ნების მებრძოლი ადამიანი თავისი საფიცარი ვაჟის არა მარტო მშობელი, უფროსი მეგობარიც იყო, პოეზიის, მწერლობის უსაზღვროდ მოყვარულმა, ლადოს პიროვნება მან ჩამოაყალიბა და ადვილი წარმოსადგენია, რამოდენა ტრაგედია იქნებოდა პოეტი შვილისთვის, ულმობელი რეჟიმის მიერ, ასეთი დედის დაპატიმრება და უკვალოდ გაქრობა.

გავიხსენოთ, რა ანთებული და გაბედული სტრიქონები უძღვნა ლადომ თავის გმირ, ქვეყნისთვის თავმწირულ დედას (ამ ლექსის შეტანა ძლივს მოხერხდა პოეტის ბოლოდროინდელ კრებულებში); ჩვენ ვისმენთ სასიკვდილოდ გადადებულის მხურვალე აღსარებას:

*...მე ვერ გავუძლებ ამ საუკუნეს...  
ო, ვიცი ეს და ამიტომ მინდა,  
უკანასკნელად მაინც გიხილო,  
დედაო, ქრისტეს სატყვივ წმინდავ,  
და ეს ტანჯვები შენ გაგიძხილო.  
და პირვანდელი თვალულის მსგავსად,  
ხელგაშლით და თვლებგახელით,  
დაუფინყარო, სიკვდილის ჟამსაც  
გავიმეორო შენი სახელი.*

ცნობილია, რაოდენ მზრუნველობას იჩენდა ლადო ასათიანი თავისი უმცროსი, მასზე უფრო ნაადრევად გარდაცვლილი უიღბლო ძმის, გიორგი ასათიანის მიმართ, რაც ამ წერილებშიც აშკარად იგრძნობა; თითოეულ სტრიქონში ჩანს, ამ ნაჩქარევი ბარათებიდან ერთხელ კიდევ ვგებულობთ, რა ენით აუწერელ სიღარიბეს, ხელმოკლეობას განიცდიდა „კრწანისის ყაყაჩობისა“ და „სალალობის“ ავტორი, როგორი უკიდურესად სავალალო იყო მისი ავებდითად შერყეული ჯანმრთელობა. ამ წერილების მნიშვნელობას, აკარგს ყველაზე უკეთეს ლადო ასათიანისა და მთელი მისი თაობის უპირველესი ჭირისუფალი, ბატონი ნიკა აგიაშვილი გადაგვიშლიდა, მაგრამ, ვფიქრობ, პოეტის გულში დაგუბებული ვარაიმო ისედაც მისახვედრია.

ახლა კი, ყველა ჩვენთაგანისათვის ესოდენ ძვირფასი, „ადრე წასული კაცის“, ლადო ასათიანის ნამცვრევს გადავავლოთ თვალი და ამ ვაცრეცილ-გადაყვითლებული ფურცლების სათუთად შემნახავიც მადლიერების გრძნობით მოვიხსენიოთ.

მეზარ კვიციანი

რაჟდენ შკუბულიანს!

როგორც აპრილის აელვარება და გაზაფხული ორიფაჟიანი, ვიცი, ძმობილო, გაგებარდება, ლექსი რომ გითხრა მალაღმბიანი. როგორც დაჭრილი ირმის ბლავილი, მინდა ბლადეს ლექსი, რომელიც გულიდანაა გამოგზავნილი, მეგობრობის და ძმობის მდომელი!..

აი, ცაგერი, სადაც დგებოდნენ დღენი ყრობის და მისობისა, სადაც ყოველთვის წამოვდგებოდით, გახარებულნი, ალიონისას...

...ალიონისას, და სიხარული იდგა გულბში ცხენისწყალივით, ჩამოვდგებოდა აპრილის დილა, ილიმებოდა ლამაზ ქალივით, აი, საყდარი, სადაც ცაცხვია, ტოტებგაშლილი, მაგარტოება, აქ განგვიცდია ჩვენ სიხარული და ღირსეული განმარტოება!...

აი, ცხენისწყლის პირი მარტონი, მისი ბუტბუტი, მელანქოლია... მომაგონდება ჩვენი ანტონი, ცხენისწყალმა რომ გაიყოლია, მომაგონდება და მწუხარება ჩამოქცევა გულში ზოდებად, მომაგონდება კაცი ალება, მომაგონდება... მომაგონდება!..

აი, ეს ლექსი მისთვის დავწერე, რომ ალტაცებით ვესო გულები, იცოცხლე, რაჟდენ, ათას წელიწადს და სიხარული გქონდეს უღვევი!..

1935 წელი, 3 მარტი.

## 1938 წლის 14 ივლისი

1938 წლის 14 ივლისი, ყოველწლივ ჩაივლის, მაგრამ ასეთი არცერთი არ იქნება...

იმ დღეს ჩამოვიდა მოსკოვიდან პოეტი გრიგოლ აბაშიძე. მე არ ვიცნობ გრიგოლს, არც მე მიცნობს გრიგოლი...

მაგრამ მინახავს მისი ლექსების გრიგალი. მჯერა, შეხვედები გრიგოლს თბილისის ქუჩებში სადმე, შემახვედრებს ნიკოლოზ აგიაშვილი... მერე სამივე ერთად ჩავალთ სარაფში, იქ ჰკიდია ფიროსმანის სურათი - „ანგელოზები“,

ავიღებ სასმისს და დავლევ უგზო-უკვლო ფიროსმანის სადღეგრძელოს...

გრიგოლიცა და ნიკოლოზიც ასწვენენ სასმისებს, მამაპაპურად ღვინოს პურზე დაანვეთებენ, და იტყვიან: — ღმერთმა აცხონოს ნიკალა! მერე ამოვალთ სარდაფიდან, თბილისი იქნება ლაჟვარდისფერი.

შევალთ ოპერის ბაღში, თავდახრილი დავდებოთ აკაკის ძეგლთან, სადაც მუდამ ციმციმებენ „სიჭაბუკის ფიქრებივით ვარდები გაუშლელი...“


უეცრად გამოჩნდება გიორგი შატერაშვილი,

ჩვენ ვიტყვით ლექსებს: ძმობაზე, საქართველოზე, სიყვარულზე... შემოგვანერდება ბრძენი ხალხი, დაგინახავს თუ არა, გადგება განზე

და კვლავ დავვიწყებ ცქერას. ჩვენ უმალ დავივრებით და მალე, სულ მალე,

დაგვფარავს თბილის-ქალაქი — ეს პოეზიის უწმინდესი ადგილის დედა... ასე წყნარად მთავრდება ძვირფასი დღე - 14 ივლისი, ყოველწლიურად რომ ჩაივლის, მაგრამ არასოდეს არ იქნება ასეთი!





ნერილი

დელსადმი

ცაგერის რაიონი, სოფელ ბარდნალაში.

ლიდა ციციტიშვილი

ძვირფასო დედა! ჩემს წერილს, ალბათ, მიიღებდი. გაიგებდი ჩემს ამბავსაც. ეს წერილი 18-ში გამოგზავნილი იყო, დღეს აი 24-ია და სხვათა შორის 24-ი, სამჯერ გამაცივდა და აღარა მაქვს „გლანცი“, პირველ ერთ კვირას არ გაუციებია, მაგრამ 21-ში, 22-ი და 23-ში ზედიზედ გამაცივდა, გამაცივდა, მაგრამ საშინლად, ისე როგორც არასოდეს, ქინაქინა ვიშოვნი ჩასვლისთანავე მესამედ, მაგრამ არაფერი მიქნა, 23-ში ნემსი გავიკეთე, დღეს კი 24-ია და დასვენება მაქვს.

ინსტიტუტში მეცადინეობა ხვალ იწყება. მე გეოგრაფიულზე ვარ ჩარიცხული, ვთხოვე ფრანგიშვილს განცხადებით ბიოლოგიურზე გადასვლა, მაგრამ უარი მითხრა, არა მაქვს ადგილი. შემდეგ შევედი მეორე დღეს და ვთხოვე ლიტერატურულ ფაკულტეტზე გადასვლა, წამინერა რეზოლუცია, გადაყვანილი იქნესო, მაგრამ ესეც მითხრა, რომ შენ ცდებო, გეოგრაფიული დარგი კარგიაო, ერთ დროს მომიგონებ, მაგრამ გვიან იქნებაო. მე გამოვართვი განცხადება და წამოვედი, მდივანთან უნდა მივსულიყავი და გამეტარებია, მაგრამ არ მივსულვარ. დღეს 24-ია და არ ვიცი რა ვქნა, გადავიდე ლიტერატურულზე თუ არა.

სხვა, თქვენი ამბავი მოინერე, წერილები ხშირად გამოგიგზავნე, არ მოგწყინდეს, ღიზა კარგად მეპყრობა და მივლის. არც ფაცია მექცევა ცუდად, საჭმელი ბევრი მოაქვს, მაგრამ მე ვერ ვჭამ, - ხათრი მაქვს, - სირცხვილია. ერთი რვეული არ გამაჩნია, სახელმძღვანელოების რა ვქნა, თორემ სხვას არ ვჩივი, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ღიზას არაფერი უნდა? ასე ხომ ვერ ვიქნები, სულ ღარიბი ადამიანია, ჩემი გულისათვის ფქვილი როცა არა აქვს, მეზობლებში სესხულობს. მე უხერხულ მდგომარეობაში ვარ. ასე, სანამ ეს წერილი მანდ მოვა; მე ჩემი დამემართება, მარა რა უყო. ქე მაინც არ მაციებდეს. ბოშო, „პასილკობანას“ თამაში არ იცით თქვენ, შეკარით ერთი ყუთი და გამოგზავნეთ. გოგიტას უთხარი და ის გააკეთებს, ჩაუშვი შიგ, რაც კი რამე იშოვნო თავისი ფოთლებიანად, ბორძღვებიანად, შტოებიანად და გამოგზავნე.

შენი ვალოდია, ქუთაისი, 1934 წელი, 24 სექტემბერი.

მასვე

ძვირფასო დედა! ნესტორი მოვიდა - თქვენი ამბავი მითხრა და ძალიან გამეხარდა, კარგად ყოფილხართ, თუ არ მატყუებთ. მე კარგად ვარ, აღარ მაციებ, მხოლოდ გასული ორი კვირა წმინდა შიმშილობით გავატარე, თუმცა ძალიან მშველდა ჩემი ამხანაგი არშაქ კაჭკაჭიშვილი. თითქმის მის კმაყოფაზე ვიყავი და ნახევარი მისი ნასესხები დღესაც გადაუხდელი მაქვს. თქვენი ფული მივიღე, მაგრამ, ფულს ჩემს ხელში ბარაქა არ დაადგა ვალეების გამო - შაქარი ვიყიდე, ჩაი, ნავთი და ჩაის ვადუღებ და დავლევ - პურის ფულიც სტიპენდიამდი, მგონია

მეყოს, ჰო-კიდევ გავებდე და ერთი ფანელის ბლუზა ვიყიდე, 18 მანეთი მივეცი და მგონია, გასაყიდი გამიხდეს. შენი გამოგზავნილი ლობიანები, 3 მანეთი და წერილი მივიღე, ძალიან გამეხარდა.

კოსტიუმი იყიდოსო, რომ გითქვამს ნესტორისთვის, მეც მივინდოდა აქედან ფული გადამეღო, მაგრამ არ გამოვიდა, ბევრი ვალი მაქვს და, მგონია, სულ ვერ ვიყიდიო. ყოველი კაცის ფული მმართებს. მართალი გითხრათ, თქვენ რომ წამიყრუეთ, ძალიან გამიკვირდა.

გოგისთვისაც უნდა გამოგვგზავნა რამე, მარა რა ვქნა, არ არის ეს ოხერი ამდენი...

მაშ ასე, ნახვამდის. მოიკითხე კოცნით გოგი, მედიკო და სხვ. ველი წერილს და დახმარებას.

გოცნის შენი ვალოდია მოკითხვა მამიდას, ლევანს, მექის, ქუთაისი, 1935 წელი, 24 მარტი.

მასვე

სალამი ძვირფასო დედა! ამდენი ხანია თქვენი წერილი არ მიმიღია, როგორ ხართ, რას შერებით? არაფერი არ ვიცი. თუ კარგად ვარ - სავსებით, ძველი ბინიდან გადავედი ახალში, ვართ მე და რაჟდენ შკუბულიანი, 20 მანეთს ვიხდი თვეში. ისე, რა გითხრათ, კარგადა ვარ, მხოლოდ ფული არა მაქვს, დღითი დღე ვსესხულობ. ახლა სტიპენდიის იმედი მქონდა, მაგრამ ფორმის შექცევა შემოიღეს და აღარაფერი მრჩება - ისიც შექცეული მაქვს ვალეებში - ახლა აღარ ვიცი რა ვქნა, გამაქვს თავი ჯერჯერობით, კაცი არაა, რომ მისი ფული არ მმართებდეს. ყველაფერი დამება - ჩემი კოსტიუმი კაცს აღარ ჩაეცმება, შორვალიც, მრცხვენიც. ერთი რამ უნდა გთხოვო - უკანასკნელად ამ წელში ეგებ დამეხმარო, უბრალო რამე მაინც ჩავიცვა - და პურის ფული მაინც მქონდეს. ახლა ნამეტანი მიჭირს და უნდა მიშველოთ - ვიცი თქვენი ამბავიც, მაგრამ რა ვქნა - მეც მიჭირს - ეგება პარკის ლობიო ან ცოტა რამ გამომიგზავნოთ. გოგის შეხვედრე ჩემს მაგიერ, ის გააკეთებს. რაც შეიძლება მალე დამეხმარეთ, გლახა დღეში რომ არ ვიყო, ამას არ მოვიწინებოდი, ნელს გამატარებინეთ თავი და მერე არ გთხოვთ.

მაშ ასე, დღითი დღე ველი რამეს თქვენგან.

ნახვამდის, იყავით კარგად - მომიკითხე ყველა ჩვენები - მედიკო, გოგი, მამა, მოკითხვა ნინას, ლევანს.

შენი ვალოდია ხასიათზე არ ვარ, თორემ ასეთ წერილს არ მოგწერდი. 1935 წელი, 4 აპრილი ჩემი მისამართია: ქუთაისის, თეთრ მინის ქუჩა, ჩიხი 2-4.

მასვე

ძვირფასო დედა! რატომ წერილი არ მოინერე? როგორ იმგზავრე და სხვ... მე კარგად ვარ და არა მიშავს რა, ხოლო ფეხზე ვარ ცუდად მოწყობილი... დათხოვები უკვე დაიწყო... შენი დატოვებული საწოვავე (ფქვილი) 14-მდე გამოიყვა... ახლა არც ფული მაქვს და არც რამე...

გაზეთში ვმუშაობ, რაც გაწყობა, მაგრამ მაინც და მაინც ჩემს დროს დაიწყო ეს მოხსენებები და ამიტომ ადგილი აღარ რჩება გაზეთში... მოხსენებებს უკავია სულ... ისე, ორი თუ სამი გავაკეთე, მაგრამ ფული არაა ჯერ. რა ქენი, ცაცას თუ გადმოუგზავნე ფული? ეგებ მომავლელო რამე, თორემ არაფერი არ გამაჩნია. დღემდე ამ წერილის გამოსავლენი ფულიც არ მქონდა... ჰოდა ასე, გამოგზავნე რამე, თუ მოახერხო ამ მისამართით - ურიცხის 49, სახელი კირკიტაძისა... ახლა ამხანაგები არ არიან აქ და საშინლად ჩავვარდები.

სალამით, ვალოდია! ქუთაისი, 1936 წელი, 16 იანვარი.

მასვე

დედა! სალამი ყველას, კარგად ვარ - მომწერე, როგორ იმგზავრე. ფული მივიღე 30 მანეთი. სტიპენდია არ ავცილია და დათხოვამდის არც იქნეს, მგონია. ჩამოვალ, ალბათ, მალე გამარჯვებული ან დამარცხებული. სალამი ყველას, მოკითხვა ნინას და

მის სრულობას. სალამი, სალამი, სალამი! ვალოდია. ქუთაისი, 1936 წელი, 17 ივნისი.

მასვე

ძვირფასო დედა! ისევ კარგად ვარ; მხოლოდ ცოტა ყბა გამისივდა, რალაც გაკანრულია შიგნით და იმის მიზეზით, მაგრამ ახლა არ მტკივა. ასე რომ, ისევ კარგად ვარ, შენი წერილი მივიღე, გამიხარდა. რად გჭირდება ასეთების წერა, მე იმ იდეებზე ხომ არ ვგდავარ, მე განყენი და შენ ბოდიში რად დაგჭირდა - ბოდიში მე უნდა მომეხდა - ეს განსაკუთრებული გარემოცვის შედეგია, იმედია არ გამანბილებ - აბრეშუმის ბლუზაზე რომ მწერ - მე არასოდეს არ ჩავიცვამ აბრეშუმის ბლუზას და ასეთზე ნურც იფიქრებ.

სხვა კი კარგია. თბილისში მოწყობაზე მინდა იფიქრო. მალე ჩამოვალ.

შენი ვალოდია

სალამი, დედა!

კარგად ჩავედი და კარგადაც ვარ. სწავლა დაიწყო ფორმალური. ისე კი ჯერ თავისუფალი ვარ.

სალამი, ვალოდია ასათიანი ქუთაისი, 1936 წელი, 1 სექტემბერი.

მასვე

ძვირფასო დედა! სალამი და გამარჯვება შენ; როგორ ხართ, რატომ არაფერს მწერ? მე არა მიშავს, გვარიანად ვარ. მხოლოდ ფული მიჭირს ძალიან ამ უკანასკნელ ხანებში. (არაფერი დამინერია), ასე რომ ახლა სასტიკ უფულობას განვიცდი და ვალეებით ვარ სავსე.

მომწერე საჩქაროდ წერილი, რაც შეიძლება საჩქაროდ, როგორ ხართ და, თუ რამე შეგიძლიათ, დამეხმარე.

მოკითხვა გოგის, მედიკოს და მამაჩემს.

იცოცხლე, იყავი კარგად, სიცოცხლე საჭირო, დაუღალავი სიცოცხლე, რადგან ასე ტკბილი, ბრწყინვალე და საამური ცხოვრება.

იყავით კარგად. რაც შეიძლება მალე გამოემხაურეთ.

შენი ლადო ასათიანი. ქუთაისი, 1937 წელი, 14 აპრილი.

ძმისადმი

ქუთაისი, ჯაფარიძის ქ. 64 გიორგი ასათიანს

ძმაო გოგი! მივიღე შენი წერილი, გავიგე შენი გულისტკივილი და დამიჯერე, რომ არ ჩამითვლია ის არც ნუნუნად და არც უიმედობად. დარიგებას მთხოვე, სწორ გზაზე დაყენებას მთხოვე და ა.შ. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ხომ იცი შენ, რომ ჩემზე უფრო მეტი გზააუღლი კაცი არ არსებობს ამ ქვეყნად, ხომ იცი, რომ მე ცხოვრების არაფერი გამეგება, ცხოვრებისა - კარგად ჭამა-სმას და კარგად ყოფნას რომ ეძახიან ადამიანები. რა გაწყობა, მე მაინც არაფერს დავიშურებ შენთვის, რითაც შემიძლება ყველაფრით დაგეხმარებო.

მხოლოდ ერთია, შენ საექიმოზე გინდა მოეწყო, ეს ძალიან კარგია, მაგრამ ცოტა ძნელია, მე იქ მოწყობას ვერ დაგპირდები, იქ სულ ნაცნობ-მეგობრობით კეთდება საქმე, მიუხედავად წარჩინებისა. მე კი ნაცნობ-მეგობრები - ამ საქმის გამკეთებლები სრულიადაც არ მყავს. ლიტერატურულსა და ისტორიულზე შემოიძლია მოგანყო, გავაკეთო საქმე, თუმცა... რა ვიცი, ეს ოხერი, მე ილბალი არასოდეს არ მწყალობს, არა, მიუხედავად ამ უიღბლობისა, ამ დარგებზე ყოველივეს გავაკეთებ, მაგრამ როგორც სჩანს, ეს შენ არ გინდა და არ გინდა, ალბათ, ჭკვიანური მოსაზრებითაც - ნაკლებ პრაქტიკული დარგებია.

მე შემოიძლია დაგეხმარო თბილისში რამდენიმე თვითაც და მუდმივადაც, მხოლოდ ბინის მხრივ გაჭირდება საქმე. გეცოდინება, მე 100 მანეთს ვიხდი ერთ დასაწოლ ადგილში, ასევე ამხანაგიც, რომელიც ჩემთანაა, ორივე ორას მანეთს ვიხდით, ოთახი არაა ჩვენს განკარგულებაში, დიასახლისი ძალზე უფმური ქალია,

ასე რომ, ამ ოთახში მოუხერხებელი იქნება შენი ცხოვრებაც, და თუ რამე მოხერხდება, მაინც ორასი მანეთი მე მარტომ უნდა გადავიხადო თვეში ორი სულისათვის. ეს კი, მე სიმართლე რომ ვთქვა, ჯერჯერობით არ შემოიძლია, აგერ, მეორე წელიადა, წესიერი შარვალი და ხალათი არ ჩამიცვამს.

მამიდასთან თუ მოხერხდება, კარგი იქნება; სხვაფერად, მე ძალიან დაგეხმარები. ოთახი მინდა ვიშოვო, მაგრამ, მოგეხსენება, თბილისში ძალზე ძნელია ოთახის შოვნა, დამიჯერებ, რომ მე სულითა და გულით მინდა შენთან ერთად ცხოვრება, მაგრამ უოთახობა ყველაფერს ბორკავს და რა ვქნა! რა ვიღონო!

ქუთაისის ინსტიტუტში რომ მოეწყო, არ გინდა? მე მგონია, არა უშავს, მაგ უფრო ადვილად გაკეთდება, და თუ გადაწყვიტო, მოვანყოთ მაგ საქმე. მომწერე მალე წერილი. მაბატიე, რომ ამდენხანს ფული ვერ გამოგიგზავნე, მეც ცუდი მდგომარეობა მაქვს, გაზეთში ძალიან ცოტას ვმუშაობ. გამომაყვეყრა ჯურნალში, სამ თვეში ერთხელ, სადღაც ჟურნალში, რალაც ერთ ლექსს დავებეჭადე, ეს ვერ შევლის ფინანსიურ საქმეს, მალე უნდა მოვშორდე გაზეთს. მიუხედავად ამ მდგომარეობისა, ფულს მალე გამოგიგზავნი, მაქვს რალაცეები ასალები და ავიღებ თუ არა, იმ წუთშივე გამოგიგზავნი.

სხვა, გიორგი, სახლის ამბები არაფერი ვიცი, მამაჩემმა ფული შემომითვალა და ვერ გაუშვავნე, რა უყო ამდენ ფულს! ფული კი არა, წერილიც არ გამოგიგზავნია, ახლა საწყალი დედაჩემის ამბავი... გავგიჟდები პირდაპირ, არ ვიცი რა ვქნა...

ჰოდა, გოგი, გადაწყვიტე და მალე მომწერე ყველაფერი, როგორც მოუხერხდეს საქმეს, ისე უნდა ვქნათ, ხომ იცი, გული არ გაიტეხო, რალაცას მოვახერხებთ უეჭველად. მომიკითხე ბიძია, ბიძოლა და ნარგიზა. ვმადლობ მათ შენზე მზრუნველობისათვის, თუ მარტო მადლობა კმაირა.

შოთა ქურიძესთან ხშირად მიდი და ჰკითხე, რამე რომ დაგჭირდეს, დაგეხმარება კიდევ, მაგ ოქრო ბიჭია, საყვარელი ბიჭია. შოთა ინსტიტუტშიც გააკეთებს შენი მოწყობის საქმეს.

მიშა ალავიძეა ჩემი ამხანაგი კიდევ; ერთი სიტყვით, მაგ გაკეთდება.

გწერს შენი ძმა ლადო ასათიანი. წერილი მალე გამოგიგზავნე. თბილისი, 1939 წელი, 17 ივლისი.

მასვე

ქ. ქუთაისი, გაზეთ „ინდუსტრიული ქუთაისის“ რედაქცია.

ძმაო გიორგი! მივიღე შენი წერილი 27-ში, ქალებმა მომიტანეს სასახლეში. წამალი ხვალ უნდა მომიტანონ. ყველაფერი კარგი, მაგრამ რა წამალია, ბიჭო, მაგ წამალი, იქნებ ჩემთვის არც შეიძლება, მე კავერნული პროცესი მაქვს, ხომ იცი, მაგრამ რაც იქნება იქნება, დავლევ, მაინც ვკვდები და... ო, რა ცუდად ვარ, რომ იცოდე, ეს ოხერი, წელი ვერ წამომიღია, დღითიდღე ცუდად ვხდები.

გიორგი, კი მაგრამ, მაგ წამალს საიდან შოულობ ახლა შენ, ფული ხომ უნდა? მერე, თუ დაიწყებს კაცი სმას, ბოლომდე უნდა მიიყვანოს, თორემ ისე რა ფასი აქვს. შეეძლებოთ ამას ჩვენ? ან მაქედან შენ გამოგზავნი სისტემატურად, კიდევ რომ იშოვნო? ყველაფერი ეს საფიქრებელია. ისე, გმადლობთ, ჩემო ძმაო, ასეთი გულითადი ზრუნვისათვის, სამაგიერო შენ ჩემგან არაფერი არ გახსოვს, მე უპატრონოდ ვარ ახლა თითქმის და ძალიან მომხვდა გულზე ყველაფერი ეს. თუ ვიცოცხლე, გადავიხდი, თუ არა და ღმერთს მაღალი არავის იფიქრებს, ის მოგიზღავეს სანაცვლოს, გჯეროდეს მისი. კარგია, რომ სოფელში წერილი დროზე გავიგზავნია.

მეტი რალა მოგწერო, დედას გეფიცები, ძლივს ვწერ, წამლის შედეგებს მოგწერ. შენც ხშირად მოინერე წერილები. ხანდახან კიდევ ტელეფონითაც შეგიძლია. ასე, ჩემო გიორგი, იყავი ღმერთივით.

გწერს შენი ღვიძლი ძმა ლადო ასათიანი.

მოგიკითხეს მანანამ და ანიკომ. თბილისი, 1942 წელი, კვირა, 28 თებერვალი.



თოვლით გამოლოცვა

შობამდე შორია, მაცალე,  
თოვლით გამოლოცვას გასწავლი.  
მერე რა, ბერდებდა რომ არ ვარ,  
არც შენად თავმკვდარი წაწალი.  
ოლონდ, სათიბებში, იცოდე,  
სისხლი გაუშრება ყაყაჩოს,  
სულის დანრეტილი მდინარეც  
ცრემლის ზვირთებისგან დაგვახრჩობს.  
მწუხრსაც შეუშრება, ჩვენსავით,  
მკერდზე ცეცხლისფერი მზის ცვარი,  
ტუჩიდან გაქრება ნაცნობი  
გემო - კოცნისაგან მიმწვარის.  
თოვლით გამოლოცვას გასწავლი,  
ძმებად გავეფიცოთ ლოლუებს,  
ჩვენი სიყვარული, იცოდე,  
უკნასკნელი და ბოლოა.  
მერე რა, თუ თოვლი უთეთრეს  
ვნებებს კოცონივით გვიკიდებს.  
"არ მიყვარს! არ მიყვარს! არ მიყვარს!" -  
შენც გაიმეორე იგივე.  
მერე ფიფქებით ჩავადნეთ  
ჩვენი გულის მზეებს ხელეებში,  
ვით ნისლს შეასხებენ მზერაზე,  
ჩაჩხილ მთამსვლელებს, ხევები.  
შობამდე შორია. მარტში კი,  
იქნება სიცოცხლე პირიქით -  
უფალი სათიბში გვიორილად  
მომიყვანს ქვესკნელის პილიგრიმს.  
გულიც გამისკდება, შენს ცელზე  
სათივე ღერად რომ შერჩება  
ამდენი უშენო სიზმრის და  
უშენო სიკვდილის შერევა.

ხან კი ვერ ვხედავ

ოკეანის ცრემლებია აისბერგები.  
კითხეთ თოლიებს ან თევზის გუნდებს,  
გეტყვიან, რომ არასოდეს დაუნახავთ  
ამ წყლის ტირილი.  
მე კი ასე არ შემოძლია,  
ვერაფრით ვყინავ ჩემს ტკივილებს,  
სულ ფეხმძიმე ვულკანივით ვარ,  
და როცა ცეცხლის ფარვანებს ვაჩენ,  
ირგვლივ ისეთი ნოყიერი ხდება მიწა, რომ  
ზედ ვენახსა და ბალს აშენებს ჭკვიანი გლეხი.  
მსხმოიარობენ ზეთისხილის ხეები და  
როგორც ჩვილი საკუთარ თითებს,  
გატრუნული ვაკვირდები -  
არსაიდან ამოზრდილი ტოტების ვარჯი  
როგორღა გახდა ნეტავი ჩემი?  
ვერც გამზომავ,  
რომ დამატოლო მეზობლის გოგოს.  
სულ ვიფრქვევი და ვიფერფლები,  
სულ ცეცხლი ამდის.  
იცით, რამდენჯერ მინატრია,  
ვარდაქაჭების ტყუპისცალივით  
განთიადის ლიტურგიების ლურჯი ნათება ავიცეკო  
როცა ძეძვივით გზაზე მგზავრი გამრავლდება,  
ჰაერში - ალხი,  
წამოვკრიფო ხოლმე სიცისფრე -  
ჩემი ფარა ბეკეკოების  
და გაფუფუნე მდუმარების გრილ ჩეროებში  
სიტყვის ნიავექარს,  
რომ ვერავინ დაგვიბრალოს,  
ვერვინ გვიპოვოს, რომ არავის ეძვირფასოს  
ჩვენი ცეცხლის აცეტება, აბალახება.  
ნეტა ვერავინ გამოგვარჩევდეს ასეთ წუთებში  
იმ ხრიოკიდან, სადაც უთვალელი  
გორაკი და ბორცვი და მთაა  
და ღვთის სუნთქვის ჩქამიც არ ისმის,  
მაგრამ იცი, რომ ჰა, საცაა,  
წამოიწყებს ჩიტი გალობას,  
ხეს კი ვერ ხედავ.

ნეტავი, ღვართო

რაც ამ მინაზე ყვავილი ყვავის,  
რაც ამ ყანებში მზეკაბანია,  
ასე მგონია, მწყემსი ბავშვივით,  
უფალო, შენგან მეც მაბარია.  
რაც აქ სიტყვაა ნათქვამ-უთქმელი,  
რაც ნისლებს მთებზე ცვარ-ნამად დასდით,  
ასე მგონია, მეც უნდა ვზიდო  
ბედნიერებად მაგათი დარდი.  
სულში მიყვავის ერთი შროშანი  
ანგელოზების წამოსახლარის,  
ასე მგონია, უსაზღვროდ მწყალობ,  
როცა თენდება დილა ახალი  
და ყველა ჩიტი ჩემთვის ლოცულობს,  
მზე მანვდის რძეს და თაფლიან ფიჭას.  
გამჭვირვალე ვარ, როგორც ჰაერი,  
გული კერიის ცეცხლივით მიჩანს.  
შემოეფიცხო დალილი მგზავრი,  
გვაქვს სიხარულის ღვინოც და პურიც.  
შენს განთიადებს რომ ვაყურადებ,  
მესმის მწუხრის ხმაც, სევდაგაბმული.  
დილის ნიავე შენი სუნთქვაა.  
ბილილებს მზერას მოავლებ, ფერადს,  
სიკვდილი ქვისფერ თვალებს გარიდებს,  
სიცოცხლის ჭალებს ბელავს და ბელავს.  
უთვალავ ყვავილს გაუშლი მინას,



მარიამ ნიკლაური

უთვალავ დილას ცას შეაშუქებ.  
დიდი მაგითაც ხარ, სახიერო,  
მე რომ სიცოცხლეს კიდევ მაჩუქებ.  
არც ჩემი გული გეცოტავება,  
რომ ცნობ და კარგად გესმის ჩემი ხმაც.  
ნეტავი, ღმერთო, ვით ეს ქვეყანა,  
ორთავ სოფელში მარტო შენი მქნა.

დედაციცინათელა

„სინათლის დედა“ დამაქვს მუცლით და  
სკნელის ჭერხოზე დავალ კარდაკარ.  
ლამე კი არა, ათასწლეულიც  
ჩემს სიფრიფანა ფრთებზე გადატყდა.  
ან შარავანდედს მე რას ვზიდავდი,  
უფალი ირჩევს ნათლისთვის შუბლებს.  
სიტყვის ბალახში დავლოდავ მლილი,  
სკნელებს ციმციმით პერანგებს ვუბნევ.  
ლამეულ მინდვრებს ისე ვუხდები,  
თითქოს ცას ვმღერდ, ვარსკვლავქარიანს,  
როგორც ქადაგის დაყურსულ ფიქში,  
ჩემშიც საუფლო ნათლის კვალია.  
მე ვარ, მე... დედაციცინათელა.  
ტანის აზიდვა მიჭირს მიწიდან,  
სინათლის ფესვი გავიდგი ბნელში.  
სიხარული რომ ფრთიდან მიცვივა,  
ნათლის ცვარ-ნამად ვაქურებ აქვე,  
რომ ცას ემსგავსოს მიწაც, ღამეში,  
მე და სიბნელე ერთმანეთს ვშვენივ,  
როგორც - ენქიდუ და გილგამეში.  
სხივის სკვნილივით ვკიდივარ მთვარეს,  
სიჩუმის ქნარზე სიმს ვარხევ, ნათლის,  
ლამე რომ ცისკრად იძვრება ხოლმე,  
ერთ მზის სალამურს ჩემგანაც გათლის  
და შეეხება, ვით პირველ საკრავს -  
სიკვდილს! კენწერო დრიკონ კედრებმა...  
ეს ღამეც, ვით სხვა ღამე ათასი,  
თენდება, კვდება, ისე თენდება...  
ბალახის ნიკზე მიცდება ფეხი,  
ბალახიც სინას მთა არის ჩემთვის.  
მე ცეცხლის ერთი კურცხალი დამაქვს,  
ეზოს ბოლოშიც მიპოვის ღმერთი.

ღამიხასოვრა მარიამი

აბა, რით ვერ დამიხასოვრე?!  
მარიამი მქვია სახელად და აქვე ვცხოვრობ.  
ჩემს უმძრახ ცრემლებს შენზე ფიქრის ნაცარში გავრევ.  
გამანმინდავე, ტკივილებით მცვარე, ცისკარო!  
სულ მეშინია, სიყვარულს რომ წავანყდე გზაზე,  
ვეცოტავო და ახლოსაც კი არ გამოკაროს.  
რამდენი გვრიტი ეყოფოდა შენს გამოსყიდვას?  
სევდას ვმღეროდი, სიყვარულს რომ ვყავდი ნახელთი.  
მთელი სამყაროს სახსოვარი მომქონდა გულით -  
როცა ვკვდებოდი და სიცოცხლეს შენში ვახელდი.  
მე მარიამი მქვია სახელად,  
მარიამი, დამიხასოვრე!  
დროშაზე შებმულ ზანზალაკად ხმიანობს სული,  
უსაფუეროა, ხმიადივით, ჩემი ლექსები.  
საშენო გული გაბორჯილი კვერთხივით დამაქვს,  
ხვდება, აღდგომის დადგომამდე, შეიეკლები.  
დამიხასოვრე?  
მარიამი, მარიამი მქვია სახელად და აქვე ვცხოვრობ.  
და რამდენჯერაც საუფლო ხსოვნა შენსკენ მომიხმობს,  
ქვაცა და წყაროც ერთნაირად მდინდება ცრემლად.  
შენს გამო არის ყველაფერი ასე უბრალო,  
შენს გამო ვხდები ბედნიერიც ყოველთვის ძნელად.  
მოვეყვები ბილიკს ტკივილების კვრივისკენ კრავით,  
ქარად მომყვება ანგელოზი, ნისლისფრთიანი.  
მე რომ ცეცხლს ვანთებ, სიყვარულო, სხვის გასათბობად,  
შენ რატომ იწვი იმ კოცონის ალზე ბრიალით?  
ამ უდაბნოში უთვალავი ბილილა ჰყვავის,  
ვკრეფ და როდესაც ყვავილებით მოვდივარ შენთან,  
რალატომ მხვდები ერთი კოცონი წინასწარ მკვდარი  
და ერთი ღერი ყვავილისთვის წასული ღმერთთან.  
აბა, რით ვედარ დამიხასოვრე,  
მარიამი მქვია სახელად!

ოქროს თევზი

ეი, მეთევზე, სცადე ერთხელაც,  
იქნებ, დღეს მაინც ამოვყვე ბადეს.  
რა იცი, ეგებ ოქროს თევზი ვარ,  
გცდის ილბალი და ფეხდაფეხ დაგდევს.  
მიდი, უფრო შორს ისროლე ბადე,  
ნაპირთან ახლოს არ მიყვარს ცურვა.  
ნატერის წამია! ახლა დამიჭერ!  
მელი და გულში კიდევაც გძულვარ.  
იცი, რად მიღირს, მეფურ სურვილებს,  
ჩემი ძალა და ნება ვაკმარო?  
ეი, მეთევზე, ერთხელაც სცადე,  
ფეხქვეშ გაგიგო ეგებ სამყარო.  
მაგრამ გაშინებს სიღრმე და ვიცი,  
ლუკმა იშოვო - ბევრია ეგეც!  
გაუტეხელი ფიცივითა ვართ -  
ერთმანეთს დღემდე ვერაფრით ვერგეთ.  
წყევლაა - მსურდეს, ეგ სილატაკე  
გიქციო ხელში ჯადოსნურ კვერთხად,  
შენ კი კოჭამდე წყალში იდგე და  
ერთი სამეფო სურვილიც ვერ თქვა.  
მე სასახლეებს ოქროთი ვავსებ,  
ვახშმად რომ გექცე, სადა მცალია?!  
შედი, მეთევზე, შედი თამამად,  
სადაც უფსკერო ლურჯი წყალია.  
ისროლე ბადე! ღმერთს ასე უნდა,  
ნატერა გასწავლო, სანამ ვარ ახლოს.  
ოქროს თევზი ვარ! ოქროს თევზი ვარ,  
არ შეცდე, ხელი არაფრით მახლო!  
ბადეს თავადვე ავცდები დღესაც,  
ყველას ვუსხლტები ხელიდან მარჯვედ,  
რადგან ღვთის თვალი ზღვის სიღრმეშიაც  
ასი ათასი თევზიდან მარჩევს.  
ან იქნებ მე ვარ... მე - მებადური,  
შენს მოხელეობას თავად ვაპირებ  
და ჩემთვის შენ ხარ ის ოქროს თევზი,  
ბადით ხელში რომ ველი ნაპირზე?

დილაადრიან

დილაადრიან მოაკითხავენ  
შენი ჩიტები ჩემს მონატრებას.  
აჭიკჭიკდება ბალი დალილი,  
გადაზინქავს წელს სიმარტოვე.  
გადაიყოლებს ჩემი სიზმარიც  
დღის მირაჟისკენ ღამის კენწეროს.  
ესეც ბეღია, მთელი სიცოცხლე  
რომ სიყვარულის ჯვარი გენეროს.  
ქარის ექოში შენს ხმას დავეძებ  
გაფაციცებით, ყველას ვაჩუქებ.  
გამოგვაკერეს ავგაროზივით  
ჩვენ ერთმანეთის სიზმრის სარჩულებს.  
ალარც ვაჩნივარ ცხადის ქალაქებს,  
როგორც დღეს - თეთრი მთვარის ფრანები.  
სიყვარულს თავიც კი მოვაბეზრე  
ბედნიერების გადაბრალეობით.  
ან რად მინდოდა, ოდესღაც ღვთისგან  
სიხარულივით რომ ვინათხოვრე  
ყველაზე დიდი და სევდიანი  
უსიყვარულო ცის სიმარტოვე.

მარტოობის სტუმარი

ანგელოსების წამოსახლარს  
მუხლისთავამდე მოსდებია  
სანთლები -  
ცეცხლის ბილილები.

ნაბიჯს მიბორკავენ ალუბლები,  
თითქოს კიღობანში მაცხოვარმა  
თეთრი ნუქის ფარა  
შემორეკა.

„წვიმის უქმეა“ და გადიკარა,  
ღრუბლები ფეხაკრეფით მიმოდიან.  
ნისლის ჭინჭარია  
ბილიკებზე.

სჯულმა არაფრობა ამიკრძალა,  
ჩემი მარტოობის დანურვა მსურს  
ცარიელი სულის  
საწნახელში.

წუხელ ღამეს ვხნავდი სხივის გუთნით,  
მინად ვყნოსავდი და  
ბნელსა ვსვამდი.  
მღვიძარებაში თუ დამესიზმრე.

ჩემი მარტოობის სტუმარი ვარ.  
გარეთ გამოდის და მეგებება,  
დები სიხარულით  
მოტირიან.

ოთხი დღის მკვდარივით მორჩილი ვარ,  
მაგრამ მეჩვენება, თითქოს ჩემში  
არასდროს ესახლა  
გაზაფხული.

ჩემმა სევდიანმა მაცხოვარმა იცის,  
მარტოობის სტუმარი ვარ!  
იცის, რომ სიჩუმის  
მეშინია.



ივანე ამირხანაშვილი

# სიცოცხლე როგორც ნამდვილობა

პარპა ხანია, ქართული ახალგაზრდული პროზა პოსტმოდერნისტული იდეებით სარგებლობს, მაგრამ, ამავე დროს, არსებობს იმის ნიშნებიც, რომ იწყება გარდატეხა და ეს გარდატეხა შესაძლოა აღმოჩნდეს აკადემიზმის, ტრადიციულ ფასეულობათა მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი. სულაც არ იგულისხმება, რომ პირველი გზა მცდარია და მეორე — სწორი, ლიტერატურა ამ ცნებებს არ ენდობა, მისთვის მთავარია ხარისხი და არა მიმართულება, მაგრამ მაინც არსებობს ქვეცნობიერი რწმენა იმისა, რომ ყოველგვარი მოდერნიზმი მიმდინარეობს საბოლოო ჯამში გულისხმობს ახალი გზის გაჭრას კლასიკური ლიტერატურული ღირებულებების მიმართულებით.

გარდატეხის ტენდენცია ბოლო დროს გამოჩენილ რამდენიმე სახელს უკავშირდება და მათ შორის არის არჩილ ქიქოძეც, რომლის მოთხრობების კრებულმა („მყუდრო“, გამომცემლობა „საარი“, 2008 წ.) ლიტერატურის მოყვარულთა სერიოზული ინტერესი გამოიწვია.

ნიგნის წარმატება გასაკვირი არ არის, ვინაიდან მასში არის მთავარი — სიცოცხლე, რომელიც გულისხმობს ნამდვილობას, სიმართლეს, უშუალობას. ამბის გაცოცხლება ისე არ ხდება, მარტო მონდომება, ფაქტების, დიალოგებისა თუ დეტალების დალაგება არ შევლის საქმეს, თუ მთავარი არ გაქვს — ხედავ, ნათელხილვის უნარი.

არჩილ ქიქოძეს თამამი ნაბიჯი აქვს, არ უჭირს ადამიანთან, მის შინაგან სამყაროსთან მიახლოება. მასში იგრძნობა ენერჯია და მზობა საიმისოდ, რომ თავისი ცხოვრება და იდეები მხატვრულ რეალობად აქციოს; გარდასახვის ოსტატია, ამ სფეროში ისე გრძნობს თავს, როგორც თევზი წყალში. შეუძლია გარდასახოს ერთ უჩინარ ხეესურად, რიგით გლეხკაცად, ქალაქელ „კაი ბიჭად“, მონასტრის მორჩილად, ლოთად და იმავდროულად დარჩეს იმად, რაც არის.

ახლოს მიდის საგნებთან, მეტიც, შეიძლება ითქვას, საგნებიდან გამოდის. იმდენად კარგად იცნობს საგანს და მის ბუნებას, რომ ქმნის შთაბეჭდილებას, თითქოს საგანი ჰყვება ამბავს, საგანი მოგვიტოვებს თავგადასავალს. ამიტომ გამოსდის ყველა მოთხრობა ექსპრესიული, ემოციური, დრამატული.

ეპატაჟი სრულიად უცხოა მისთვის. თუმცა პირველივე მოთხრობის სათაური — „მურტალი ქართველები“ — სწორედ საპირისპიროზე მიგვიანიშნებს. მართალია, ეპატაჟი სათაურიდან იწყება, მაგრამ სათაურშივე მთავრდება. ეპატაჟური ენერჯია სულ სხვა ძალად გარდაიქმნება, სხვა მხარეს გადაინაცვლებს. საინტერესო, საკმაოდ პლასტიკური ისახება ამ მოთხრობის პერსონაჟი მირიანა, რომელსაც თავიდანვე უცნაური რაკურსით ვხვდებით: ეზოში ჩაცხუცქულა და ჯოხს თლის.

ქალაქიდან სოფელში ჩამოსული ეს ნარკომანი საშინლად სძულს ტარიელას, რომელიც ვერანაირად ვერ მალავს თავის გლეხკაცურ აღშფოთებას. საქმეც ის არის, რომ სწორედ ამ ნარკომანმა და ნაცისარმა ჩაიდინა სასწაული — გადაურჩინა ძროხა, რომელსაც ვენაში ნემსის გაკეთება სჭირდებოდა და მიზეზთა გამო ეს საქმე მარტო მას შეეძლო.

აქ იწყება შემობრუნება. ავტორი ოსტატურად ანეიტრალებს კომედიურ ინტრიგას და თანდათან, ძალდაუტანებლად შემოაქვს ჰუმანისტური ინტონაცია.

ტარიელა ხვდება, რომ მირიანა ბოლომდე ჯერ არ წამხდარა. მასში ქვეც-

ნობიერად აღმოაჩენს რაღაც თბილს, მახლობელს, ადამიანურს და მთელი არსებით აჰყვება სიყვარულის ხმას, რომელიც ადამიანის სულის ხსნისაკენ მოუწოდებს. ეს თხრობაში ფაქიზად, ნახევარტონების მეშვეობით არის გადმოცემული, ისე, რომ ზედმეტობის განცდას არც ერთი დეტალი არ ბადებს. თვით ცხენის არქეტიპის შემოტანასაც ავტორი ისე ოსტატურად ახერხებს, რომ მხატვრულობის დინამიკა ოდნავადაც არ იკლებს.

მირიანას ცხენი უნდა მოჰგვაროს ტარიელამ, შესვას და გააჭენებინოს. ეს არის რაღაც ახლის დასაწყისი, ან შესაძლოა რაღაც ძველისა და კარგად დავიწყებულის გახსენება. აქვე გაცხადდება ავტორის ეთიკური პოზიცია, ჩემი აზრით, სავსებით სწორი და გამართლებული იმ მხრივაც, რომ იგი, როგორც შემოქმედი, ყველანაირად თავისუფალია მორალისტური ტენდენციებისგან.

არჩილ ქიქოძის „ნასვლა“, თუ არ ვცდები, პირველი მოთხრობაა ქართულ ლიტერატურაში, რომელიც თავიდან ბოლომდე დიალექტით არის დანერილი.

როგორც ჩანს, მოთხრობა შექმნილია იმ რეალურად მომხდარი ამბის შთაბეჭდილების შედეგად, რომელიც რამდენიმე წლის წინათ მოხდა, როცა დათვისჯვარზე გადავარდნილ ავტომანქანაში დაიხოცნენ ბარისკენ მომავალი ხევსურები. ამას ავტორი არ წერს, არც მიანიშნებს, მაგრამ ხვდება, რომ ის არის, ის გახმაურებული ტრაგედიაა განზოგადებული და გამადიდებელ შუშაში დანახული.

თვალწინ ცოცხლდება ძველი თემა — ხევსურეთის დაცლა-გაუპაცრიელების ტკივილი, რაც დარჩა, ისიც რომ გულსაკლავად იღევა, ინრიტება, ქრება, მიდის, მიემართება სადღაც მისტიკურიაში, სადაც ადამიანები ესწრებიან თავიანთ სიკვდილს.

არჩილ ქიქოძის სტიქიაა თხრობის დრამატული სტილი, მხატვრული ელემენტების თავისუფლად გამოყენება და მსუბუქი ნონ-ფიქციო, თითქმის ღია დასასრული; იგი მოვლენებს აკვირდება როგორც ფსიქოლოგი და რეპორტიორი. მისი ტექსტების სტილი ამგვარადაც შეიძლება განისაზღვროს — ფსიქოლოგიური რეპორტაჟები თანამედროვე ქართული ყოფიერებიდან. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ერთი პასაჟი მოთხრობიდან „ჩიტი გამოფრინდება“:

„ყველა ადამიანი საკუთარ ციხეში იხდის თავის მიერვე მისჯილ სასჯელს. თუ ასე არ არის, მაშინ რატომ ჩამოსტირით ფეხით მოსიარულეებს ცხვირ-პირი? ტროლეიბუსების და მარშრუტკების ფანჯრებიდან რატომ იყურებინათ კატორღელებივით მოწყვნილი სახეები? ყოველთვის სადღაც მიიჩქარიან და მაინც ყოველთვის იგვიანებენ მსუბუქი მანქანები. ყველანი თითქოს ქოფაკი ძაღლებივით ჯაჭვზე გამობმულეები ვატარებთ ცხოვრებას. ამ ჯაჭვის გარშემო ვტრიალებთ უსასრულოდ და რაღაც მთავარი და კარგი მუდამ გვერდით გვრჩება...“

ეთიკისა და მორალის პრობლემები, საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთდამოკიდებულებანი, ზნეობრივი კრიზისი და მარტოობაში გამოკეტილი ადამიანის ტრაგედია ნიგნის მთავარი მოტივებია. მწერალი თაობის სათქმელს ამბობს ალაღად, მართლად, ზუსტად, უშეცდომოდ, გულით, გაუზვიადებლად, დამაჯერებლად, საინტერესოდ. თაობაში არიან ადამიანები, რომელთა იდეალია არა ფიქრი, რეფლექსია, არამედ ზნეობრივი ქმედება, აქ-

ტივობა; მათ არ მოსწონთ ნიღბიანი ფილოსოფოსი ჰამლეტი, სამაგიეროდ უყვართ თავგანწირული, გულის პრინციპით მოქმედი ჯოჯოლა, რომელიც „მარტო ომობს, ლამაზად, თავისიანებისგან განწირული და მტრისგან უნდობლად მოკლული...“

ამდენი საუკუნეა დანიელი უფლისწული ყოფნა-არყოფნას გაიძახის გულხელდაკრეფილი და ჯოჯოლა კიდეც მერამდენედ იღუპება სულ მარტოდ-მარტო და როგორ ლამაზად („სამოველი“).

ამავე მოთხრობაში შესანიშნავად არის დახატული ქალაქური ყოფის ნაცრისფერი გარემო და ტკივილამდე საშუალო ადამიანები. შესავალში მოცემულია თაობის კოლორიტული დახასიათება: „ჩვენ არ ვიყავით არც რაინდები და არც დუელანტები, არც გოთვერნები და არც სასტიკები, არც ლაზღანდარები, არც მასხრები და არასოდეს ვყოფილვართ საწყლები — მაგრამ ყველაფერი ეს ვიყავით ამ დროს“.

არჩილ ქიქოძეს მონოლოგი ემარჯვება, ხშირად მიმართავს ამ ხერხს, ზოგჯერ მეტისმეტი გატაცებითაც კი, მაგრამ საგულისხმოა, რომ ზომიერების გრძნობა არასოდეს ღალატობს.

მოთხრობა „არქეოლოგი“ თავიდან ბოლომდე მონოლოგია. კახელი კაცი ჰყვება ამბავს, თუ როგორ გამოვიდა მისი გოგონა სატელევიზიო თამაშში და თანდათან, მონოლოგის შიგა სივრცეში იხსნება ანტიურაჟი, თითქმის შეუმჩნეველი დეტალების საშუალებით გეზულობს, რომ მოსაუბრე და მისი მსმენელი ცხენის „ტაჩკაზე“ სხედან. ერთი შეხედვით, უთავბოლო ლაპარაკში იხატება პიროვნება, მისი შინაგანი ცხოვრება.

რატომღაც მგონია, რომ სწორედ წერის მონოლოგიური სტილი განაპირობებს ერთ დამახასიათებელ ნაკლს, რომელიც თითქმის ყველა მოთხრობაში შეიმჩნევა. კერძოდ, თხრობის შესავალი ნაწილი გაუმართლებლად იწელება, დიდხანს გრძელდება, ზოგჯერ მთელი მოთხრობის თითქმის სამ მეოთხედსაც იკავებს. რომანი თავისუფლად აიჭანდა ასეთ ასიმეტრიას, მაგრამ მოთხრობას სხვა სპეციფიკა აქვს, სტრუქტურული შეფარდებების რღვევას ვერ იტანს. სასურველია, ცოტა უფრო ნათლად იყოს გამოკვეთილი როგორც სიუჟეტური, ისე ემოციური, ფსიქოლოგიური თუ სხვა ტიპის შინაარსი. მკითხველი არ უნდა დაიღალოს იმის გარკვევით, თუ რა ხდება ნაწარმოებში, ერთი სიტყვით, გამოკვეთილად უნდა ჩანდეს თხრობის მიზანი და მოტივი. ყოველ შემთხვევაში, ამ სტილის პროზა სწორედ ასეთ ინტენციურობას მოითხოვს.

უნდა აღინიშნოს, რომ მოთხრობა „ლოთებში“ გამოყენებულია სიუჟეტური ქარგა, ავტორი საგანგებო ყურადღებას აქცევს შინაარსობრივ არქიტექტონიკას და მგონი კარგადაც გამოსდის — სამი კაცის, ანუ სამი „ნომრის“ ცხოვრება ცალ-ცალკე, დამოუკიდებელ თავებად არის მოთხრობილი, ოღონდ მათი გზები ბოლოში გადაიკვეთება.

ნატურალისტური ეპიზოდების დასამახსოვრებელ მხატვრულ დეტალებად გარდაქმნა არჩილ ქიქოძის სტილის ერთ-ერთი თავისებურებაა. მაგალითად, „საჭირო კაცი“ ანუ საკრებულოს წევრი, რომელიც მთელი დღე მობლურით საქმეებს აგვარებს („თაფლობის თევ“). ასეთ მეორეხარისხოვან პერსონაჟებს მკვეთრად, დასამახსოვრებლად, კინემატოგრაფიული გამომსახველობით ხატავს.



ამავე მოთხრობაში არის ერთი ეპიზოდი, როცა მთავარი გმირი სანდრო დანახავს დიდი ხნის უნახავ მეგობარს — ტახიას. საყურადღებოა, თუ რა საშუალებით გამოკვეთს ავტორი პერსონაჟს. ეს არის პლასტიკა:

„ტახია შორიდანვე შეამჩნია. კეპი-ნგის მთელ ტერიტორიაზე მისი ფიგურა ერთადერთი იყო, რომელიც ამდენ მოფუსფუსე და მოყაყანე ადამიანში გაუბედავად, მაგრამ დინჯად მოძრაობდა“.

„კახეთის მატარებელში“ ნაგავსაყრელზე გადადებულ, ნაცემ, ცოცხალ-მკვდარ კაცს ცხენი დაადგება თავს და ამ დროს პერსონაჟთან ერთად შენც შეიგრძნობ ცხოველის მოახლოებას, მის სუნთქვას, სითბოს, ლაშვებზე ამოსული ბურუსების შეხებას.

კიდეც ერთი სტილური თავისებურება — ეს არის ერთი და იმავე საგნის სხვადასხვა დროითი რაკურსით წარმოდგენა, ანუ ფერწერის ენაზე რომ ვთქვათ, სუქცივიუმი სტილი.

დაბოლოს, გეოგრაფია. ამასაც ხომ აქვს მნიშვნელობა. ყოველ შემთხვევაში, არჩილ ქიქოძის მოთხრობების გარემო, სივრცე, გეოგრაფიული ლოკალი მრავალფეროვანია და ესეც განსაზღვრავს ალქმის თავისებურებას.

იგი სანდო მწერალია. უთუოდ არის მასში რაღაც, რაც განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს. ზემოთაც ითქვა, უპირველესად ეს არის სიციცხლის გასაოცარი შეგრძნება და ამ შეგრძნების „გამხატვრულები“ გამორჩეული, ორიგინალური ხელწერით აღბეჭდილი უნარი.

იგი, ასე ვთქვათ, კითხვადი მწერალია. ეს ღირსებაც არის და ეგრეთ წოდებული ფორაც მომავლისათვის.

მას აქვს ბუნებრიობისა და თავდაჯერების ისეთი ხარისხი, როგორიც სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ მკითხველის ნდობა დაიმსახუროს.

ამის გარანტიაა მისი ხასიათი — როგორც მწერალი, ისე პიროვნული, რაც სტრიქონებს შორის კარგად იკითხება.

მის „მარაგში“ აგრეთვე ზომიერი რაციონალიზმი ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ოქროს შუალედი ლირიკასა და რეალიზმს, სტილიზაციასა და ობიექტივიზმს, პარადოქსულობასა და ჩვეულებრივობას შორის.

ყველაფრის მიუხედავად, მაინც რჩება კითხვა: ვინ არის არჩილ ქიქოძე? ეს არის მწერალი, რომელსაც აქვს გურამ რჩეულიშვილის გამბედაობა, გურამ გეგეშიძის თვალსაწიერი და გურამ დოჩანაშვილის თავისუფლება. თავისი? თავისი რა აქვს? თავისი აქვს ბედი, რომელმაც მასში გააერთიანა ეს სამი ჰიპოსტაზი. დანარჩენი? — დანარჩენს იტყვის დრო და მკითხველი.



გამომცემელი

გია ქარჩხაძე:

# „ნიგნში დევს უზარმაზარი ინტელექტუალური შრომა და შეუქლებელია იაფი ღირღის“



„ქარჩხაძის გამომცემლობა“ მაღალმხატვრული რანგის შემოქმედებისა და წარმატებული ბიზნესის გადაკვეთის ადგილია. გამომცემლობის დამფუძნებელი და ლიტერატორი გია ქარჩხაძე, როგორც დამოუკიდებელი გამომცემელი, (90-იან წლებში მან მეგობრებთან ერთად გამომცემლობა „დიოგენე“ დააარსა), ქართული წიგნის სამყაროში ხუთი წლის წინ, მევეთად განსაზღვრული კონცეფციითა და პრიორიტეტებით გამოჩნდა და საუკეთესო ევროპული წიგნების ქართულენოვანი გამოცემებით დაიწყო. მომდევნო ნაბიჯი საზოგადოებისთვის საკუთარი კრეატივის შეთავაზებაა.

გამომცემლობაში მისული, კომპიუტერის დახმარებით „ქარჩხაძის“ საგამომცემლო სიახლეებს გაეცანი, ზოგიერთი წიგნი „გადაფურცლე“ და მათი სახით, ქართული და დასავლური კულტურების საუკეთესო ხარისხის ნაზავი, ხელოვნურობისგან თავისუფალი, ძალიან ბუნებრივი, ცოცხალი წიგნები „აღმოვაჩინე“. „ქარჩხაძის გამომცემლობის“ ხარისხის მთავარი ნიშანი, მაღალი ხარისხის ვიზუალისა და ტექსტების გარდა, ალბათ სწორედ ამ კულტურების ბუნებრივი სინთეზია.

— გია, „ქარჩხაძის გამომცემლობა“ ხუთი წლისაა და მის ძირითად მიმართულებას საბავშვო, მხატვრული და შემეცნებითი ტიპის გამოცემები წარმოადგენს. რატომ აირჩიეთ ეს სფერო?

— კონცეფცია ასეთა — ჩვენ განვითარებადი ქვეყანა ვართ, იმის გამო, რომ დიდი ხნის მანძილზე რუსეთის კოლონია ვიყავით და განვითარების საშუალება არ გვქონდა, დასავლეთის სახელმწიფოებს ბევრ სფეროში ჩამოვრჩით. შემეცნების თვალსაზრისით განვითარება რომ წამოიწყოს, ჩემი აზრით, ბავშვებს უნდა შეუწყოს ხელი და განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდოს, რომ განვითარებული, გონებამახვილი, ფართე პიროვნების მქონე ახალი თაობა წამოვიდეს.

მეორე მხრივ, გამომცემლობის ჩამოყალიბების დასაწყისში, როცა ბაზარს გადავხედე, აღმოვაჩინე, რომ საბავშვო გამოცემები ყველაზე კარგად იყიდება, მშობელი შვილის განათლებაში ფულს ხარჯავს, ამან ძალიან გამახარა. შემდეგ, უცხოელ კოლეგებსა და ექსპერტებსაც ვესაუბრე და როცა ამის შესახებ ვუთხარი, მათ დიდად აღიარებდნენ დასვეს — ასე იმიტომ ხდება, რომ საქართველო ევროპული კულტურის ნაწილია. სხვაგან, ვთქვით აფრიკული, აზიური კულტურის ქვეყნებში დამოკიდებულება სხვაგვარია, მშობელი შვილისთვის ხელობის სწავლებაში გადაიხდის, მაგრამ ნიგნში — არა. იქ ნიგნი პრიორიტეტს არ წარმოადგენს. რაკი ჩვენ ევროპის ნაწილი ვართ — თუმცა ჩამორჩენილი ნაწილი — განვითარების იმავე გზით უნდა წავიდეთ. ერთმა გერმანელმა ექსპერტმა მითხრა: „ჩანს, რომ საქართველოში ნიგნის კითხვის ტრადიცია ყოველთვის არსებობდა. ამიტომ, თქვენთან ნიგნი განვითარდება ძალიან კარგად და ძალიან სწრაფად“.

საერთოდ, ნიგნი ორბუნებოვანი რამ არის: მას აქვს კულტურული და ამავე დროს კომერციული მხარეები. ამათგან როგორც კი რომელიმე დააკლებს, კარგი გამომცემელი აღარ ხარ. როცა დავინახე, რომ ის, რისი კეთებაც მიყვარს, მაინტერესებს და რაც გამომდის — საბავშვო საკითხავი თუ შემეცნებითი ლიტერატურის გამოცემას ვგულისხმობ — ამავე დროს კომერციულად გამართლებულიცაა, რა თქმა უნდა, აქცენტები ამ მიმართულებაზე გავაკეთე. ბევრ რამეში გამოჩნდა, რომ ეს სწორი კონცეფცია იყო და საქმე სწრაფად წავიდა წინ.

— თუმცა თქვენ არასაბავშვო ნიგნებსაც გამოსცემთ...

— რა თქმა უნდა. გამომცემელი გვაქვს ქართული პროზის ანთოლოგია. აქაც ვცადე ისეთი ნიგნი გავკეთებინა, რომელიც მოზარდებს საშუალო სკოლის მაღალ კლასებში დამხმარე სახელმძღვანელოდ გამოადგებოდათ. ამისთვის ჩემს მეგობარს, თამაზ ვასაძეს მივმართე. იგი სასკოლო სახელმძღვანელოს ავტორია, სკოლის სპეციფიკა კარგად ესმის და იცის, რა ჭირდებათ ბავშვებს. ანთოლოგია სწორედ მან შეადგინა. ერთის მხრივ საუკეთესო მწერლები და მათი საუკეთესო ტექსტები შეირჩა, მეორე მხრივ კი ისე გაკეთდა, რომ ეს ნიგნი მოსწავლეებს დამატებით საკითხავად გამოადგომოდათ. ასეთი თანხვედრა ხდება ხოლმე.

ცხადია, მამის, ჯემალ ქარჩხაძის ნიგნებსაც მე გამოვეცემ. უხერხულიც იქნებოდა ეს სხვას გაეკეთებინა. მის ლიტერატურულ მემკვიდრეობას მე ვუვლი, ასე რომ, ჯემალ ქარჩხაძე გამოდის და ის ყოვე-



ლთვის გამოვა. ახლაც მისი პროზის სრულ კრებულზე ვმუშაობთ...

— თქვენი გამომცემლობის ძირითადი პარტნიორები ოქსფორდის უნივერსიტეტისა და „ტემპლარის“ ცნობილი და მძლავრი გამომცემლობებია. თქვენი კონცეფცია საგამომცემლო საქმეში კულტურული და კომერციული მხარეების გადაკვეთის შესახებ ბრიტანელების პრიორიტეტებს ალბათ ემთხვევა. როგორ დაუკავშირდით სწორედ მათ?

— იმის გამო, რომ ჩემი აზრით, ნიგნის შექმნის სფეროში ჩვენზე გაცილებით უფრო დანაწარმებული ევროპული ქვეყნები არსებობს, დასაწყისშივე გადავწყვიტე ამერიკა მაქსიმალურად წარმატებული და ცნობილი გამომცემლობები, შემეცნება მათგან უფლებები და მათი პროდუქციის ზუსტი ასლები მეკეთებინა. საქართველოში ასეთი მიდგომა ახალი არ იყო, ასეთ ნიგნებს, ძირითადად, ბაკურ სულაკაური გამოსცემდა და საკმაოდ წარმატებულადაც. შეიძლება ითქვას, თამაზ პირველად სწორედ მან ასწავლა. მეც იგივე აზრი მქონდა — უმჯობესია გამოდიოდეს შინაარსობრივად და ვიზუალურად მაღალხარისხიანი ნიგნები, ისეთი — როგორც ევროპასა და ამერიკაში გამოცემა, ამისთვის თანხა არ უნდა დაიხარჯოს. სხვათაშორის, ამ თვალსაზრისით ორი მიმართულება არსებობს: ერთი — სოციალური ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი, მას დღემდე რუსეთი ადგას, ხოლო მეორე, ევროპული, უფრო მეტარჯვენე ტიპის მიმართულებაა, რაც გულისხმობს, რომ ნიგნში დევს უზარმაზარი ინტელექტუალური შრომა, იგი არის ნიგნი და შეუქლებელია იაფი ღირღის, თუნდაც იმიტომ, რომ ის თანხა ინტელექტუალურ რესურსზე — ავტორზე, ილუსტრატორზე და ა.შ. — ნაწილდება. როგორც კი ამას გააუფასურებ, თვითონ სფერო უფასურდება.

შემიძლია პირდაპირ ვითხრა, საქართველოში ამ მიმართულებამ გაიმარჯვა.

— მგონი გამარჯვება თვითონ მკითხველის არჩევანზეა განაპირობა...

— დიახ. საზოგადოების მოთხოვნა — ეს არის მთავარი. საზოგადოება ამ მიმართულებით ხალისით წავიდა. მისთვის მთავარია ნიგნი ძალიან კარგი იყოს, მთავარია მოსწონდეს და გადაიხდის. ამან მოგვცა საშუალება გვეკეთებინა ისეთი ნიგნები, რომლის გამოცემასაც სხვა შემთხვევაში ვერ შევძლებდით. მაგალითად, გამოვეცემე ე. წ. „ოლოგიებს“, ესენია „პი-

რატოლოგია“, „ეგვიპტოლოგია“, „მითოლოგია“; ამ ნიგნების საბაზრო ღირებულება 30 ლარია. საქართველოში რომ არ არსებობდეს ფენა, რომელიც ნიგნში ამ თანხას იხდის, ცხადია მას ვერ გამოვეცემდი და ძალიან ბევრი ბავშვი ოლოგიების გარეშე იქნებოდა. პატარები ძალიან დიდი ინტერესით კითხულობენ ამ ნიგნებს, მოსწონთ, სკოლაშიც დაატარებენ... ერთმა აზერბაიჯანელმა კოლეგამ ოლოგიების შესახებ მითხრა, ამას ჩვენთან ვერ გამოვეცემთ, რადგან მშობელი 5-6 დოლარზე მეტს ნიგნში არ გადაიხდის. ამ ნიგნის თვითღირებულება კი დაახლოებით ათდენივეა. ის საკმაოდ ძვირი ჯდება — შიგ უამრავი რამაა ჩასმული, ჩაკერებული, რაღაც ნივთები ალაგია... ჩვენი საზოგადოება კი მაღალი დონის გამოცემებზე ორიენტირებული აღმოჩნდა. ამან საშუალება მოგვცა ევროპული მიმართულებით ნავსულიყავით და ნიგნის, როგორც ნივთის და მასში ჩადებული ინტელექტუალური შრომის გაუფასურება არ მომხდარიყო.

— ოქსფორდისა და ტემპლარის გამომცემლობებზე უნდა გვესაუბრა...

— რაკი მაღალი რანგის ნიგნების გამოცემებზე ფიქრი დავიწყე, უცხოელ გამომცემლებს დაუკავშირდი, შემდეგ ფრანკფურტის ნიგნის ბაზრობაზე ჩავიდი; ვიყავი, ასევე, საბავშვო ნიგნის ბაზრობაზე ბოლონიაში... ეს ორი ადგილი მთელ მსოფლიოს მოიცავს. ძალიან მნიშვნელოვანია იცოდე იმ ნიგნის ენა, რომლის ყიდვასა და გამოცემასაც აპირებ. იმის გამო, რომ ინგლისურენოვანი ვარ, ცხადია ბრიტანული გამომცემლობებით უფრო დავინტერესდი. ოქსფორდზე მაღლა არც არავინ დგას, ხომ? ჰოდა პირდაპირ ოქსფორდს „ვეკეთეთ“. როცა საგამომცემლო საქმეს თითქმის ნულიდან იწყებ, უცხოურ გამომცემლობებზე „გასვლა“ ძნელია, მაგრამ გულში მქონდა — მაქსიმალურად კარგი პროდუქტი შემიქმნა, მაქსიმალურად ძლიერად დამენყო. ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობას თავისი პრინციპები, უცნაურობებიც კი აქვს და ის, სხვა გამომცემლობებთან შედარებით, ძვირია. მაგალითად, სიტყვა „ოქსფორდის“ გამოყენების უფლებისთვისაც კი დამატებით პროცენტს ვახდენებ. ეს სახელი უზარმაზარი ზრუნვითაა. მოკლედ, მათთან კარგი შეხვედრები მქონდა...

— მათთვის ხომ სრულიად უცნობი ადამიანი იყავით, რით დააინტერესეთ ისინი?

— მხოლოდ საკუთარი თავით და ცოდნით. მათ სხვა ვერაფრით დააინტერესებ. თანაც, ფორმალურად არასოდეს ვიცავ. მთელი ცხოვრება, გამომცემლობის შექმნამდე, როკმუსიკოსი ვიყავი, ჰალსტუხის მორგება ჩემთვის ძნელი იყო. ვიფიქრე: „მოდ, ვცდი, ყველაზე კონსერვატულ ინგლისურ გამომცემლობაში ჯინსით და კეტებით მივალ და ვნახოთ, რა მოხდება“. მინდა გითხრა, რომ ჩვენს შორის საუკეთესო ურთიერთობა ჩამოყალიბდა და მათგან სრული ნდობა მივიღე. გარდა ამისა, აღმოჩნდა, რომ ოქსფორდის სახელის გამოყენების უფლებას გამომცემლობა კი არ გაცემს, არამედ მისი რეკომენდაციით, უნივერსიტეტის დიდი საბჭო იღებს გადაწყვეტილებას. ჩანს ძალიან მოინდომეს. ორ კვირაში მომწერეს: „გილოცავთ, თქვენ ოქსფორდის სახელის გამოყენების უფლება მიიღეთ“. ცხადია, მას მერე სხვანაირად აღარც ჩამიცვამს. ყველანაირ ფორმალობას გვერდი ავუარე და

დღემდე ყველა შეხვედრაზე ასე მივიღებ ვარ.

„ოქსფორდთან“ პირველი შეხვედრის შემდეგ, წამოვიღე კონტრაქტი ყველაზე რთულ პროდუქტზე, ეს იყო „ოქსფორდის სამეცნიერო ენციკლოპედია“ — უზარმაზარი, ოთხსაგვერდიანი გამომცემა. ურთულესიდან დავიწყე.

— ეს თქვენი გამომცემლობის პირველი ნიგნი იყო?

— არა, მანამდე სხვა ინგლისური გამომცემლობებისგან შეძენილი პატარა-პატარა ნიგნები გამოვეცი: „ბერძნული მითები“, რომელიც დღემდე ძალიან კარგად იყიდება და გამოვეცემთ, ასევე — „საბავშვო ბიბლია“, ზღაპრები... მოგსინჯე. ოქსფორდის „ენციკლოპედია“ კი პირველი საკვანძო ნაბიჯი იყო, რომელზეც შემდგომ ბევრი რამ დამყარდა.

— „სამეცნიერო ენციკლოპედიის“ გამოსვლის შემდეგ, ოქსფორდის „ხარისხის ნიშნით“ გამომცემელი სხვა ნიგნები — „საერთაშორისო ატლასი“ და „საბავშვო ენციკლოპედია“ შედარებით მცირე მასშტაბის, თუმცა არანაკლებ წარმატებული პროექტები იყო. ახლა რაზე მუშაობთ?

— ნელს, შემეცნებითი მიმართულების ახალი სერია წამოვიწყე: გამომცემელი მქონდა „არქეოლოგიური სენსაციები“ და „დიდი მოგზაურები“, ახლა კიდევ ორი ნიგნი მზადდება — „ჯაშუშები და ჯაშუშობა მსოფლიოში“ და „მეცნიერული სენსაციები“. მას გაისად გამოვეცემთ.

ამ სერიის ნიგნები ლამაზად გაფორმებული, ფოტოსურათებიანი და ნახატებიანი გამოცემებია, რომელშიც ინფორმაცია მოკლედ და საინტერესოდაა მოწოდებული. ეს არის ბავშვის ინტერესის გამაღვივებელი ნიგნები. მთავარია, ბავშვს ამ სფეროში ხედვა გაეხსნას. როცა ის დაინახავს, რომ მეცნიერება მძიმე და რთულადგასაგები რამ არ არის და საინტერესო და დეტექტიური ამბებისგანაც კი შედგება, ინტერესის დასაკმაყოფილებლად უკვე სხვა რესურსებს „მიაკითხავს“ — ენციკლოპედიებსა თუ ინტერენტებს... ანუ, კონცეფცია ასეთია: ამ ნიგნებში მოცემული ტექსტები მადის აღმძვრელი უნდა იყოს.

რაც შეეხება „ტემპლარს“, ესეც ბრიტანული გამომცემლობაა, რომელიც პატარა ქალაქშია განთავსებული. „ტემპლარის“ გამომცემლები კრეატივში ყველაზე წინ არიან. მიღებული აქვთ არაერთი პრემია საბავშვო ნიგნებისთვის, ასევე





— როგორც გამოცემლებს. საზოგადოებას ისეთი კრეატივი შესთავაზეს, როგორც მანამდე არ იყო. გამოცემული გვაქვს მათი „ეგვიპტოლოგია“, „აბრაშოლოგია“, „მითოლოგია“. მალე „ოკეანოლოგია“ დაიბეჭდება. ძალიან მაგარი გამოცემებია.

**ერთი ასეთი გამოცემის მომზადებას რა დრო მიაქვს?**

— მთელი მასალა ფაილებით მოდის, გამოცემლობაში ის მალევე მუშავდება, ითარგმნება, მზადდება, თუმცა სტამბაში გადაგზავნასა და დაბეჭდვას დრო სჭირდება. მაგალითად, ახლა ვგეგმავთ წიგნს, რომელიც გაისად, ზაფხულის მინურულს გამოვა.

როგორც წესი, ტირაჟს ჩვენს თანაგამომცემლებთან ერთად ვბეჭდავთ, ეს ორივესთვის დიდი შეღავათია, ასე რომ არ იყოს, წიგნი გაცილებით ძვირი დაგვიჯდება.

**ესე იგი ტირაჟს ინგლისელებთან ერთად ბეჭდავთ?**

— არამხოლოდ მათთან. წარმოიდგინეთ, გამოცემის უფლება საქართველოს გარდა ნაყიდი აქვს გერმანიას, პოლონეთს და ა. შ. შეიძლება ხუთი-ექვსი ქვეყნის ტირაჟი ერთდროულად დაიბეჭდოს. შემდეგ მხოლოდ ტექსტები ეცვლება. თანაგამომცემის ტექნოლოგიები ცნობილია მსოფლიოში. გამოცემელმა ეს უნდა იცოდეს. თუ არ იცის, უნდა ისწავლოს. აუცილებელია გაყიდვების, ფრომოშუნისა თუ სხვა უამრავ ტექნოლოგიაშიც ერკვეოდეს, სხვაგვარად წინ ვერ წავა.

**გამომცემლობისთვის ხუთი წელი ბევრი არ არის. ამ ყველაფრის დაუფლება მცირე დროში როგორ შექვლით?**

— ძალიან ბევრს ვმუშაობდი. რასაც ვაკეთებ საკმარისი არ არის. ჩვენი რანგის, ჩვენი მასშტაბის ქვეყნისთვის წელიწადში სულ ცოტა ხუთჯერ, ათჯერ მეტ წიგნს უნდა გამოვცემდე. თან, რა თქმა უნდა, საკუთარი წიგნები უნდა მქონდეს. კარგია, როცა საუკეთესო პროდუქციის ზუსტი ასლი გადმოგაქვს და ყიდი — ამას არაერთი წელი მოვანდობე — მაგრამ აუცილებელია შენი წიგნებიც აკეთო, საკუთარი კრეატივი შექმნა. ამისთვის ტექსტების ავტორები, ილუსტრატორები უნდა მოიძიო, რესურსები უნდა შექმნა... მაშინ შეგეძლება ჩათვალო, რომ გამოცემლობა



ბა გაქვს. რთული საქმეა, მაგრამ ძალიან საინტერესოა. ასე რომ არ იყოს, ამდენს ვერ ვიმუშავებდი.

**თუმცა საკუთარი წიგნების გამოცემით ბევრი იწყებს...**

— ხშირად იწყებენ ასე, მაგრამ მე ამას სხვაგვარად ვუყურებდი. ვფიქრობდი, რომ თავდაპირველად ჯობდა დასავლურ სტანდარტს გავტოვებოდი, ხოლო შემდეგ, საკუთარი გამოცემისთვის, იგივე სტანდარტის საკუთარი პროდუქცია მეკეთებინა.

**საკუთარი წიგნების გამოცემაზე მუშაობა თქვენი საქმიანობის ახალი ეტაპია. როდის და როგორ დაიწყეთ?**

— პირველი ნაბიჯი მარშან გადავდგი. საბავშვო პროზის კონკურსი გამოვაცხადე. საქმე ის არის, რომ დღეს კარგი ტექსტებისა და კარგი ილუსტრაციების პრობლემა დგას. თუკი არ გყავს მწერალი, რომელსაც „გაქაჩავ“, „ფრომოშუნს“ გაუკეთებ — ისე საკუთარი პროდუქციის შექმნაზე ფიქრს აზრი არ აქვს. კონკურსით ამიტომაც დავიწყე. ბევრმა მიიღო მონაწილეობა. საპრემიო ფონდი ათი ათას ლარს შეადგენდა. აქედან, პირველი პრემიისთვის

ხუთი ათასი ლარი დადგინდა, მეორესთვის — სამი ათასი, ხოლო მესამე ადგილზე გასულს ორი ათასი ლარი ერგო. თანხა „ბაზისბანკმა“ გაიღო. კონკურსის შედეგებმა გამოაცხადა. პირველი პრემია დაიმსახურა ნატო დავითაშვილმა, რომლის ნაწარმოებიც „როცა ფრთოსანი ლომები დაბრუნდებიან“ მალე წიგნად გამოვა. ეს არის ძალიან მაღალი რანგის, ფენტეზის ჟანრის ნაწარმოები. დაახლოებით სამას გვერდამდეა, უაღრესად სერიოზული ნამუშევარია. ამავე ჟანრის ცნობილი დასავლურ ნაწარმოებებს არაფრით ჩამოუვარდება და ყველაზე მაღალ სტანდარტებს უტოლდება. გასაკვირია, საქართველოში ამ ჟანრის წიგნები დიდად არც იწერებოდა, საიდან „მოიტანა“ ავტორმა ასეთი მაღალი ხარისხის ფენტეზი, მართლაც არ ვიცი. სწორედ ამ დღეებში, ინდოეთიდან — წიგნებს იქ ვბეჭდავთ — სასიგნალო ეგზემპლარს ველოდები. ცხადია, ჩვენს ბაზარზე რომ გავიტან, შესაბამის „ფრომოშუნს“ გაუკეთებ და დიდი წარმატება ექნება, მაგრამ, ამავდროს დიდი იმედი მაქვს, რომ მას უცხოეთშიც გავყვირი. შემიძლია დავიქადნო კიდევ — გამოცემელი არ ვიყო, თუ ეს წიგნი არ ვთარგმნო და ევროპაში არ გავიტანო.

მოკლედ, ტექსტები არის. კონკურსმა არაერთი საინტერესო ავტორი გამოამყვანა. მის გამართვას ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ვაპირებ. საბავშვო პროზაში ყოველწლიური კონკურსი შედეგების მხრივ, ვფიქრობ, ნაკლებად ეფექტური იქნება. თან, თუკი ვინმე დიდი ტანის ნაწარმოების დაწერას განიზრახავს, ეცოდინება, რომ დრო აქვს და შეეძლება წყნარად იმუშაოს. ვიცი, რომ რამდენიმე ავტორი მომავალი წლის კონკურსისათვის უკვე ემზადება.

**კარგ ტექსტებს შესაბამისი გაფორმება ესაჭიროება.**

— პრობლემის მეორე მხარეა ილუსტრატორები. ძალიან ბევრი კარგი მხატვარი გვყავს, მაგრამ ილუსტრატორი — ნაკლებად. თითებზე ჩამოსათვლიელია ისეთი ოსტატი, ვინც მაღალი რანგის წიგნის შესაბამისად გაფორმებას შეძლებს; იმიტომ რომ კარგი ნახატი, კარგი ილუსტრაციას არ ნიშნავს. ეს საკმაოდ სპეციფიკური საქმეა, ერთგვარი ხელობაა, რომელიც ცოდნას მოითხოვს. თუ მხატვარს ეს ცოდნა არ აქვს, თუ მას ტექსტთან ურთიერთობა არ შეუძლია, თუ ბავშვის ფსიქოლოგიას არ იცნობს — არაფერი გამოუვა. წიგნი ხომ ერთიანი პროდუქტია, იგი ტექსტის, შრიფტის, ნახატისა და სხვა უამრავი კომპონენტის ერთობლიობას გულისხმობს, მხატვარმა ეს ტექნოლოგია უნდა იცოდეს. დასავლეთში ამას ასწავლიან. მეც ასეთი იდეა მაქვს: გაისად, გაზაფხულზე, ილუსტრატორთა კონკურსის გამართვას ვაპირებ. იქ გამოვლენილ საუკეთესო ილუსტრატორებს, გამარჯვებულთაგან მათ, ვისაც რომელიმე უცხო ენა ეცოდინება, უცხოეთში გავგზავნი — ასეთი სახის პრემია იქნება. ევროპაში არსებობს საზაფხულო სკოლები, სადაც საბავშვო წიგნების ილუსტრირებას ასწავლიან. ასეთი სკოლები იტალიაში, გერმანიაში და საფრანგეთში უკვე მოვიძიე.

ხანგრძლივი ძიებისა და მუშაობის შედეგად, ორი ძალიან კარგი ილუსტრატორი უკვე გვყავს. ერთი მათგანი გამოცემლობის შტატის თანამშრომელი გახდა, ხოლო მეორესთან ხელშეკრულებას ვდებთ ხოლმე და სამუშაოს ვუკვეთავთ. ეს პირველი ნაბიჯია, რადგან როცა წელიწადში რამდენიმე ათეული წიგნის გამოცემას აპირებ, თან ძალიან მაღალ დონეზე, ერთი-ორი ილუსტრატორით ამას ვერ შეძლებ.

**როცა საკუთარი წიგნების გამოცემას დაიწყებთ, თქვენს ძირითად მიმართულებად ისევ საბავშვო ლიტერატურა დარჩება თუ ამ მხრივაც რაიმე ცვლილებებს უნდა ველოდეთ?**

— ვფიქრობ, ბოლომდე საბავშვო გამოცემლობად დავრჩებით. პროდუქციის დაახლოებით 80 პროცენტს მაინც საბავშვო წიგნი დაიკავებს, დანარჩენი კი სხვადასხვა ლიტერატურა იქნება, ვგულსხმობ როგორც მხატვრულს, ისე შემეცნებით, სამეცნიერო-პოპულარულსა და სხვა. მაგალითად, ახლა ვმუშაობთ არამხატვრულ გამოცემაზე, გვინდა ქართული ნაქარგობის შესახებ წიგნი გავაკეთოთ. ეს იქნება უხვად ილუსტრირებული, კარ-

გად გაფორმებული წიგნი, საინტერესო, შემეცნებითი ხასიათის ტექსტით. აქ მოთხრობილი იქნება ქართული ნაქარგობის განვითარების, მისი სემანტიკის შესახებ... ზემოთ, ჩვენი მიერ გამოცემული „ქართული პროზის ანთოლოგია“ ვახსენე, ის ჩვეულებრივი საკითხავი წიგნია, თუმცა სასკოლო მოხმარებისთვისაც გამოიყენება, ამ შემთხვევაშიც იგივე სტილი ავირჩიეთ: მართალია, „ქართული ნაქარგობა“ საბავშვო გამოცემა არ იქნება, თუმცა მაღალი კლასის მოსწავლეებს დაინტერესებს და გამოადგება. ჩვენი გამოცემები ამ ნიშანს ყოველთვის შეინარჩუნებ.

**უახლოეს ხანებში რა წიგნებს შემოგვთავაზებთ?**

— ახლა ინდოეთიდან ერთდროულად სამი წიგნი ჩამოდის. ესენია „ბეჭდების მბრძანებელი“, „ოზის ჯადოქარი“ სერიიდან „ჭიზარდ ოფ ზ“ და ჩვენი კონკურსის გამარჯვებული „როცა ფრთოსანი ლომები დაბრუნდებიან“. სიმბოლურია, რომ ორი ფანტასტიკა — ჯონ რონალდ ტოლკინისა და ქართველი ავტორის, ნატო დავითაშვილის წიგნები ერთად გამოვა.

**ჩეულებრივ, გამოცემლები თავისი საქმიანობის არეალს კომერციულ და არაკომერციულ პროექტებად ყოფენ, ამბობენ, რომ ბიზნესის თვალსაზრისით მომგებიანი გამოცემების ხარჯზე, ისინი არაკომერციული, თუმცა მაღალმხატვრული ღირებულების პროექტების განხორციელებას ახერხებენ. მასხვს, ერთხელ ამ თემაზე საუბრობდით, მაშინ თქვით, არაკომერციული წიგნს არასოდეს გამოცემთ. რატომ?**

— იმიტომ რომ ეს ჩემი სტილი არ არის. ასეთი კონცეფცია მაქვს: მე ვმუშაობ იმ „მინდორში“, სადაც კომერცია და კულტურულად მაღალი რანგის ლიტერატურა ერთმანეთს კვეთს. ეს გადაკვეთის ადგილია სწორედ ჩემი საქმიანობის სფერო. არასოდეს გამოვცემ კომერციულ წიგნს, რომლის მხატვრულ ღირებულებაში ეჭვი მეპარება და ყოველთვის უარს ვიტყვი ისეთ გამოცემაზე, რაგინდ გენიალური ტექსტიც უნდა იყოს, რომლის თანხასაც რეალიზაციით ვერ ამოვიღებ. შესაძლოა, ის მართლაც ფანტასტიკური წიგნი იყოს, მაგრამ ოთხმოც კაცზე მეტი მკითხველი არ ჰყავდეს — მისი ამგვარი მიდგომით გამოცემა პრინციპულად არასწორად მიმართულია. თუ მართლაც ასეთი კარგი წიგნია, მაშინ გამოცემე, მოდი ისე გაისარჯე, რომ ეს გამოცემა მცირეკომერციულ პროექტად მაინც აქციო — კარგი წიგნი გააკეთე, კარგად მიანოდე მკითხველს, წარუდგინე საზოგადოებას და შეიძლება მასზე დახარჯული თანხაც ამოიღო და ჰონორარიც გასციე. საგამომცემლო ბიზნესში ამის უამრავი საშუალება, ტექნოლოგიები არსებობს. მაგალითად, გერმანიაში რობერტ მუზილი XX საუკუნის მთავარ მწერლად დასახელებს, თუმცა ჩვენთან მას ბევრი მკითხველი არ ჰყავს. რა თქმა უნდა, ასეთ ავტორს გამოცემე, ისე გააკეთებ, რომ წიგნით ინტელექტუალურ წრეებსაც დაინტერესებ, სხვა წრეებსაც და ა. შ. შესაძლოა ეს „ჰარი პოტერის“ მსგავსი კომერციული პროექტი არ იყოს, მაგრამ ამას არ აქვს მნიშვნელობა. მთავარია, საგამომცემლო ფინი აჩვენო, თქვა — „მე ამას გავაკეთებ“ და ბევრი იმუშაო ამისთვის. მაგრამ არასოდეს ვიტყვი: „მე დავბეჭდავ, თაროზე დავდებ და მნიშვნელობა არ აქვს როგორ გაიყიდება“. სწორედ ამას ვთვლი არასწორ დამოკიდებულებად და არა იმას, რომ ნაკლებადცნობილი, მაგრამ კარგი მწერლის გამოცემაზე უარი ვთქვა. გამოვცემ კიდევ და კომერციულ ავტორადაც ვაქცევ.

**გამომცემლები რომ ამბობენ ცოტა მკითხველი არისო, შესაძლოა, ამის**



**მიზეზი, სხვასთან ერთად, სწორედ საზოგადოების დაინტერესების, მისთვის პროდუქციის ჯგეროვნად მიწოდების პრობლემაა ციკოს.**

— ცხადია. თბილისში ასამდე გამოცემლობაა. წარმოიდგინეთ, მათ ადგილას საუკეთესო ინგლისელი, გერმანელი, ფრანგი, ამერიკელი გამოცემლები რომ დასასაქმო... ნახეთ, ორი წლის შემდეგ ქართული საგამომცემლო სივრცე რა სახეს მიიღებს. აღმოაჩნეთ, რომ საქართველოში მასობრივად კითხულობენ წიგნებს!

საგამომცემლო საქმეში უამრავი მეთოდოლოგია არსებობს, მისი ცოდნა, ტექნოლოგიები ამუშავება ძალიან შეცვლის სურათს.

**ამისთვის ავტორებმაც ბევრი უნდა იმრომონ...**

— რა თქმა უნდა. დღეს ძალიან ბევრი წერს, ზოგი — უკეთესად, ზოგიც — ნაკლებად, მაგრამ ავტორმა რაღაც ისეთი უნდა შექმნას, რისი შიშობილიც აქვს, რისი მოთხოვნილებაც აქვს მკითხველი. ზოგს უნდა ძალიან სასაცილო წიგნი იკითხოს, ზოგსაც — ძალიან გროტესკული, სხვას — ძალიან ფილოსოფიური... თუ ტექსტი შენი გონების, ან გემოვნების ადეკვატური არ არის — არ ნაიკითხავ, ხომ? შესაძლოა, არაადეკვატური იყოს, ვიღაც გენოსი მწერალი გამოჩნდეს — მას თავისი მკითხველი ეყოლება. მთავარია გაჩნდეს რაც შეიძლება მეტი „დამთრევი“ ტექსტი. მეტი და მეტი აღმოჩენა გვჭირდება. პროზა აღმოჩენების გარეშე არაფერია, ის ყოველდღიურ, დაბალხარისხიან მწერლობად რჩება. დღეს ძალიან პოპულარულია რომანი „მგლები“, ამ წიგნს ბევრი მკითხველი ჰყავს. ხშირად საუბრობენ მის „საეჭვო მხატვრულ ღირებულებაზე“, ავტორის „დაბალ გემოვნებაზე“. შესაძლოა ასეც იყოს, მაგრამ მაშინ დამიდევ ბევრი ახალი, ცინიკალი, თანადროული და ძალიან საინტერესო რომანი და ვნახოთ... მართალია, გვყავს კლასიკოსი ავტორები, რომელთაც თავისი საუკეთესო ნაწარმოებები 60-70-იან წლებში დაწერეს, ზოგიერთი დღესაც კარგად იყიდება, მაგრამ ამჟამად თანამედროვე ავტორებზე ვსაუბრობ. მოდი, იმაზე შორს გადახტეთ, ვიდრე საკუთარი რესურსი გაძლევთ საშუალებას. მოდი სიცარილეში ან უფსკრულზე გადახტომა სინჯეთ, საკუთარ თავს გადაახტით. თუ შემოქმედი საკუთარ თავს არ გადაახტა...

პრობლემა ისიც, რომ ჩვენ წიგნის კითხვის ჩვევა დავკარგეთ. როგორ უნდა მიაჩვიო ადამიანი კითხვას? — ავტორმა მას მაქსიმალურად კარგი ტექსტი უნდა მიანოდოს, გამოცემელმა მაქსიმალურად კარგი გამოცემა... ამ სფეროში ყველაფერი ერთმანეთს ებმის, გადაჯაჭვულია.

**წიგნის კლუბიც თქვენს გამოცემლობასთან რომ ჩამოაყალიბებთ, ალბათ ამ ჯაჭვის შემადგენელი რგოლია...**

— კლუბი წელს, თბილისის წიგნის ფესტივალის დღეებში შეიქმნა. ძალიან ბევრი ადამიანი განვევრინებულე. კლუბის წევრები ჩვენს გამოცემებზე ოცპროცენტიანი ფასდაკლებით სარგებლობენ. სანეწრო გადასახადი სიმბოლურია — წელიწადში ათი ლარი. წიგნებზე წინასწარი ხელმოწერებიც გვაქვს. ახალ გამოცემებს პირველ რიგში მათ ვუგზავნი...



ნაჰაპეტ ქუჩაკი

ნაჰაპეტ ქუჩაკი - XIII-XIV საუკუნეების დიდი სომეხი პოეტი, ლირიკოსი.

მისი ბიოგრაფიული მონაცემები იმდენად მწირია, რომ თითქმის ყველაფერი სავარაუდოა, რასაც ისევ მისივე შემოქმედება თუ მიგვანიშნებს.

თითქოს ვანის ტბის ახლომდებარე დაბა ხარაკონისიდან უნდა იყოს. პოეტის გვარ-სახელიც კი პირობითია...

თავიდან მისი ჰაირენები (სალექსო ფორმა ასეთი) ხალხური ეგონათ, მაგრამ ამგვარი აზრის უარყოფა არ გაძნელებულა, რადგან მისი შემოქმედებითი ხელწერა და თანმიმდევრობა ერთ ავტორს უფრო გულისხმობდა.

არის ზეციერიც და მიწიერიც. და, რაც მთავარია, მისი განცდები დღესაც და მომავალშიც ალბათ ყოველთვის თანამდევნი იქნება მკითხველთათვის.



მთარგმნელისაგან

\*\*\*  
მე იმ ფრინველთა გუნდის ვარ,  
მინად ერთ მარცვალს კი არა,  
ცვარსაც რომ არ იკარებენ,  
ცა მაპურებდა ნიადაგ;  
მახე ზღვის ფსკერზე დამიგეს  
და ვერა გამიგია რა,  
სხვები თუ ფეხით ებმოდნენ,  
მე - მთლად ფეხიან-ფრთიანა...

\*\*\*  
არ მოგიხდება ქადილი  
ქვეყნის ნათელი მომფენსა,  
შენ ხომ მიწიერს ვერ ხედავ,  
მთვარევე, ჩემს მკერდში მყოფელსა,  
ვერ ჩამოვაცლი რიდეცა,  
ვერ გაგხდი თვალთა მსწრობელსა,  
ვშიშობ, შენც შეგიყვარდება  
და დააბნელებ სოფელსა.

\*\*\*  
ო. განვედ, აღარ მიწიხარ,  
არ სურხარ გულს ავბედითი,  
ვერა და ვერ გავიკარე  
შენი ბუნება ბნედითი,  
უკვდავების წყლად რომცა გთქვან,  
რაიც ყველაფრის მწედ ითქმის,  
მთელი წლის მწყურვალიმც ვიყო,  
შენი არ მიწადა წვეთიც კი!

\*\*\*  
წმინდაო დავით, შემინდე,  
ცოდვათა ტვირთს ვერ ვერევი;  
ტურფა მყავს, გაბრწყინებული  
მზისა და მთვარის ფერებით;  
შენს სენაკს რომ მოეახლოს  
იმისი მსგავსი, მშვენებით,  
დღით საგალობლებს თუ უმღერ,  
ლამით შენც მიეფერები!

\*\*\*  
შენებრს ვინ იტყვის - მაღლა ცადა  
და დაბლა მთად თუ ბარადა! -  
ვერა ცთომილი ვერვინ თქვას  
შენს სწორფერ-ბარიბარადა;  
ახალ წელს ერთხელ თუ ვხვდებით  
ქორონიკონის კვალადა,  
დღეს რომ გიხილე, ეს მიღირს  
მე ასიათას კალანდად.

\*\*\*  
პირისპირ შევხვდი სულით სულს,  
მოკაზმულს, ნააბანოვარს, -  
ვინროში, ხალხში, ყაყანში, -  
გულს მესალბუნა გალობად...  
მარამაშით ბაგე მიჩინა,  
წასცდა: „შენს სწორფერ ბანოვანს  
ახლა ნუ მომეახლები,  
დღისით არ გავცემ წყალობას,  
ლამით დღიამდე შენი ვარ,  
მაშინ თქვი ჩემი ქალობა...“

\*\*\*  
რა იაგუნდი, რა ლალი,  
ბაჯალლო ოქრო რა ნაღდი! -  
ვთქვი: „ეს სამოთხის ნალკოტი  
მთელი დუნის ქალად ღირს“.  
თქვა: „სულო, თუკი შენს თვალში  
მე ასერიგად ავმალდი,  
საკინძს შეგიხსნი, მობრძანდი,  
გაიხარე და გალალდი“.

\*\*\*  
რაც ვიშვი მღვდისთვის არ მითქვამს  
მე აღსარება აქამდე;  
სულ გვერდს ვუვლიდი... რა მჭირდა,  
რა მოუხდელი სახადი?!  
მაგრამ აღერილს ვარდივით  
საცა კი ტურფას ვნახავდი,  
მისი მკერდისკენ ვინევიდი  
აღმსარებელის ღალადით!..

\*\*\*  
იმ სულელს კოცნა რომ ვთხოვე,  
სირცხვილის მეცა სახმილი,  
უარი მტკიცა: „სახელი  
გამიტყვებო“-ს ძახილით...

\*\*\*  
მე გარეული ჩიტი ვარ,  
წვრთნას თუ დამაკლებ, გუნდები  
მიხმობენ უცხო ფრინველთა,  
ნაგივალ, დამიმწუხრდები...  
ოქროს ყაფაზს რომც დამპირდე,  
ჩემთვის იქნება ხუნდები,  
ქვეყანა რომც მომიგზავნო,  
არც როსმე დაგიბრუნდები!



\*\*\*  
მაცნე მოვიდა, - ეკურთხა  
შენი მეუღლე მღვდლადაო,  
შეეცბი! - სად ეგ და სად მღვდელი,  
ღმერთო, საიდან სადაო.  
შაქრის და ყანდის ნაჩვევმა  
როგორ ჩაიკლას მადაო,  
თალხს ვით იგუებს, ერთთავად  
ზარი ემოსა სადაო...

\*\*\*  
„თითო კოცნაში რა მოგცე?“ -  
გზად ტურფა გადამეყარა;  
ვითომ იწყინა, ყასიდად  
ყორნის წარბები შეჰყარა  
- ჩემ კოცნას ფასი რომ ედოს,  
დაიქცეოდა ქვეყანა;  
გიყვარვარ? მოდი! ამბორით  
ერთ მეტრფესაც რომ გეხარა!

\*\*\*  
მაცნობეს: „შენი ლამაზი  
შენკენ დაიძრა თავადა“,  
რომ არ იწყინოს, ნავიდეთ,  
გავეგოთ ფიანდაზადა;  
ის მიჯობს, ტურფა ეს ერთი  
ქვეყანას ექცეს ასადა,  
მისი ფეხის მტვრით ბევრისთვის  
თვალის საღბუნი გაზავდა!..

\*\*\*  
ნითელი ბეჭდით მიმინო  
დღით სანადიროდ გავიდა,  
ჭრელ კაკაბს მისწვდა გარეულ  
მტაცებლის თვალის წამითა;  
კაკაბმა: „ვერას გახდები,  
მე ცნობილი ვარ ამითაც,  
რომ დღის ფრინველი არა ვარ,  
თუ მომიხელთებ - ღამითა.“

\*\*\*  
ისეთი ქვის ვარ, უროც კი,  
ვერას დამაკლებს! უძირო  
ცად შავი ღრუბლის ფთილა ვარ,  
რომ მწვდე, ცდა მოგკლავს უძილოს...  
ჩემ მსურველს მშვილდი ნაძვისა,  
ლარი მგლის ჭიპის - ლუნო,  
მსროლელი ჯომარდი უნდა,  
სატრფოს მწვერვალს რომ უწიოს!..

\*\*\*  
სულმა სხეული დატოვა, -  
ხმა გვესმა ცრემლში ნალტობი:  
„შენით ვარ, რა მეშველება,  
სულო, უშენოდ დატოვილს!“  
- „ბრძენი მეგონე, აქამდე  
შენ იყავ ჩემი ბატონი? -  
სახლი თავზე რომ ემზობა,  
შიგ რად იჯდება პატრონი?!“

\*\*\*  
ვთრთი, - ვით შემოდეგს ფოთოლი, -  
თუ სიყვარული ურჩია...  
ცრემლი, - აპრილის თქორივით, -  
მალტობს ღანჯიან-ტუჩიან;  
ამომხდა სული! მაღლი ჰქმენ,  
მაგრა ჩამიკარ გულშია,  
შენ მკერდს შეჩვეულს სხვა არვინ  
არ მომდის აინუნშია.

\*\*\*  
ტურფავ, თუ იცი, ნუხელის  
ღამით მეტრფე რომ გენვია?  
გკოცნა და გკოცნა მძინარი,  
ტურჩს კალო გააღუნინა...  
არ ვიცი, მოიმძინარე  
თავი თუ მართლა გეძინა? -  
შენი წყალობა, ღმერთმანი,  
ჭაბუქს კი მაღლად ენია!..

\*\*\*  
სულო, სადღა არ ვეძიე,  
ქვეყანა შევაჯერია, -  
ისეთი მსურდა, ჩემამდე  
თვალმც რომ არვის სჭერია;  
ბოლოს შენ შემრჩი - მეტრფისგან  
მიტოვებული ფერია,  
რა ერქვა ჩემ ცდას, ზიარი  
შენც თუ სხვის გედგა კერია?!

\*\*\*  
როგორც კი თქორმა ნათლისამ  
ღამის მოჩითა ფარჩები,  
მკერდს ტურფა მომწყდა, არ ვიყავ  
ნისლისგან მისი გამრჩევი...  
უმალ მკლავები წავყარე  
წინ, ვამუდარე გამჩენი,  
მან კი უღმერთოდ მომიგდა:  
„ვერა, ან ველარ დავრჩები!“

\*\*\*  
მე - თვალი, შენ - თვალის ჩინი, -  
თვალი უჩინოდ დაშრების!  
მე - თევზი, შენ - წყალი, ჩემო, -  
ერთი ჩვენ შორის - გამჩენი!  
სხვა წყალს თუ შერთავ, აცოცხლებ  
თევზს, ცხელ რიყეზე გარჩენილს,  
მაგრამ... ჩემს საშველს ვინ იტყვის,  
თუკი უშენოდ დავრჩები!







ფანჯრით ხმა მესმა ლამაზის:  
„მო, მაგ უგვანთა ნახირის  
ნაყარმა კაი ყმის კოცნა  
რა იცის, რაა, რა ხილი“.

\*\*\*  
მშობელმა შვილი დასწყევლა  
(ვაი, რა მწარედ გვეგვემა!):  
„მწირად იქეც, რომ ყარბის  
ყადრი ისწავლო ეგება;  
ლოდი გდებოდეს სასთუმლად  
და ქვიშა - ქვეშაგებულად,  
ღვთის ანაბარას, უძილოს  
დილის მაღლი ვერ გეგვემა!..“

\*\*\*  
ვინც მწირს გულს ატკენს, უფალმა  
აქციოს თავათ მწირადა,  
მისი ყადრი რომ იცოდეს,  
თუ გნებავთ, ოდენ იმად!  
უსამშობლოს თავზე რომც  
ოქრო ესხმოდეს წვიმადა,  
მშობელს და სატრფოს მონყვეტილს  
უღირს კი თუგინდ ჩირადაც?!

\*\*\*  
ქვეყნის საფიქრალს ვინც ჩასდევს  
წუთისოფელი გალახავს...  
თხლე წყაროდ მოეჩვენება,  
ხოლო შარბათი - არაყად,  
ყინული - ცეცხლად; ვით სანთელს  
სიცხოვლის შიში ჩანავლავს...  
მზეს, შუადლისას, ემაღვის  
და ჰგუობს უფრო - ჩამავალს...

\*\*\*  
მაღალო მთვარევე, შემკულო  
ლამით ქათქათა აფრითა,  
მრავალ მშვენიერს იხილავ,  
მძინარს - ზემოთას, დაბლითას...  
საკინძეშეხსნილს როგორც კი  
ჩემ მწველს დახედავ, დაბლიდან  
იმისი მკერდით ნახსლეტი  
შუქი ვარსკვლავეთს დაბინდავს.

\*\*\*  
ქუჩიდან ფანჯრით ვიხილე -  
კუბო, სანთლები... რითია  
ნეტავი მკედარი ეს მოყმე,  
სიცოცხლედანაბინდია...  
სანთელი გალობს ჰაერენს,  
თვალთ ცხარე ცრემლი ჰკივია:  
„ეს ყრმა თუ ტრფობას გადაჰყვა,  
თავს ცეცხლი მე რად მკივია?!“

\*\*\*  
ვითარცა ვარსკვლავს, მონყვეტილს,  
კვალში გდევ ცეცხლის ალივით,  
სულ თვალნი მყავხარ ოცნებით,  
ვით მზის და მთვარის არილი,  
მე შენი ტრფობით ისე ვარ,  
როგორც მკათათვის ყვავილი,  
ცას რომ ავედრებს ერთ ნამცვრევს  
მონყურებულის ხავილით.

\*\*\*  
წავალ, პირს აქეთ არ ვიზამ -  
რაც წერად დაგყვა, მოგივა!  
საბერძნეთს წავალ, მას იქით, -  
არც დერვიში, არც მოგი ვარ;  
შორს მყოფი უფრო შორს წავალ,  
თუ ჩემზე გითხრეს ზოგი რამ...  
მაგრამ თუ ყურთ მწვდა, შენ სად ხარ,  
ჯაჭვს ავიწყევტ და მოგივალ!..

\*\*\*  
თავქვე მავალმა შევნიშნე  
ქუჩისპირს ღია კარია,  
შეველ, სალამი ვუთხარი,  
ჭამად ზის ტურფა ქალია;  
წინ დოქით ღვინო უდგას და  
ჰგავს გაბრწყინებულ ალიონს;  
- თქვი ჩემი დღეგრძელობისაც,  
შენს წინ რომ სული დავლიო!

\*\*\*  
ლამევე, გაგრძედი, წლად გვექეც, -  
იხაროს ტრფობის ნაყოფმა!..  
თითქოს ათას წლის შემდეგაც  
გადავაბიჯეთ ნალობარს...  
ცისკარო, თვალს ნუ გაახელ,  
ნუ ჩავვიმწარებ ლაღობას,  
ნუ იზამ ორის - ერთსულ და  
ერთხორც შეყრილთა გაყოფას!

\*\*\*  
სულით სულს გადავეყარე,  
ჩემად ნაგულვევს ქალადა;  
სხვა კაცთან მხარზე დანდობილს,  
მომუსაიფეს ავადა.  
გულით ხმა მესმა: „გაშორდი,  
წინ დაგიხვდება მწარადა,  
უდღეურ არს სიყვარული  
გამოტანჯული ძალადა...“

\*\*\*  
ლამაზო, თხემით ტერფამდე  
ცეცხლი ხარ სულის შემძვრელი,  
სხვას როგორ მიგცა - დედაშენს  
წინ წყალი, უკან მენყერი!  
სამართლისა რომ მჯეროდეს  
სომხებისა და ბერძნების,  
სამართლის კარად მისული  
სხვისგან შენს დახსნას შევძლებდი.

\*\*\*  
- შენს ყარბის ვგავარ! - ხმა მესმა  
ციტ მზირალ ბადრი მთვარისა.  
- სტყუი, მთვარევე, გრცხვენოდეს,  
ფიქრს ნუმც გაივლებ წამისად,  
მისი სახისა რა გიგავს? -  
ტურ-კბილ-თვალ-წარბ-წამწამისას  
ან სირმა უღვამს, ზედ კობტად  
ბროლის თითებს რომ გადისვამს...



\*\*\*  
ამ სისხამ დილით ხმა მესმა:  
ჯადო რამ წყარო რაკრაკებს!  
მე ჩემი მეტრფის არსმენილ  
ტკბილ ხმას რაღაცით ვამსგავსე:  
...სათუთი გრძნობის წყვილები  
ძილს ეძლევიან ცალ-ცალკე;  
ერთურთს ღამეში ერთხელ თუ  
ჰკოცნიან, არც მეტს, არც ნაკლებს!..

\*\*\*  
ფერი მძევს, - საკმეველისა ვთქვა,  
ზაფრანაა თუ ფითრია?..  
არ ვიცი - შენგნით? თუ უკვე  
სიცოცხლის ნამებს მითვლიან?  
მკურნალად შენ გთქვეს, მიშველე!  
რომ ვკვდები, ხომ შეგიტყვია,  
თორემ მე სული გამძვრება,  
კაცისმკვლელს შენზე იტყვიან.

\*\*\*  
თვალეები ზღვისფერი გაქვს და  
შავი წარბები - სახატე,  
ეგ სასწაული ფერ-ხორცი  
ვარდის მშვენიებით ლაღანებს...  
სანთელს ვინ ანთებს იქ, სადაც  
შენ ბრწყინავ, ლაღი ლაღადვე,  
უბით ისეთ შუქს ამოჰყრი,  
მკედრეთით მკედარსაც კი აღადგენ!..

\*\*\*  
ეგ წარბ-წამწამი, ეგ წელი  
ვავლავ გულს გამიხალისებს;  
გამჩენს გაფიცებ, უღმერთოდ  
აგრე ნუ აჩენ ხარისხებს;  
ბრალი ვარ, სულო, ობოლი,  
მომხედე ხანდახან ისე,  
რომ სული მეც მოვიბრუნო,  
თვალთავან ცეცხლს ნუ მარისხებ.

\*\*\*  
არმადნად ჩინეთს წაიღეს  
სურათი ჩემი ქალისა,  
მსგავსებას ვერსად მიაგნეს,  
ვერც მკვდრის და ვერც ცოცხლისას;  
ას ათასობით შეჰყარეს  
მხატვარი მთის თუ ბარისა,  
თუმც დასტურ ვერვინ შეიძლო  
დახატვა ბარიბარისა.

\*\*\*  
- ეგ მკერდი თეთრი ტაძარი,  
ძუძუნი - წყვილი კანდელი,  
მნათედ მოგივალ, რომ ტაძარს  
მოვმადლო უფლის ნათელი...  
- განვედ, ყრმავ, უცადს რა გესმის  
ტაძრის ან საკმელ-სანთელის,  
წახვალ, თავს სხვებთან გაირთობ,  
მე კი ბნელს მიმცემ - გათეთილს!..

\*\*\*  
ხელი წამიცდა უბისკენ,  
ვთქვი: „ეს სხვა ტურფებს არა ჰგავს,  
შეცბა, უმალ ვერ ამოვხსენ  
უცოდველობის ქარაგმა;  
ცას შევვალადე: „უფალო,  
ნუ მომკლავ როგორც არაკაცს,  
ამ ქალწულბრივ უბეში  
აქვე შემწირე ზვარაკად“.

\*\*\*  
- მამაშენს ვუფრთხი, სათქმელი  
საღაღაც წამომცდა კინალამ,  
მდიდრის წინაშე მე, ღარიბს,  
შიში ვერ გადამილახავს.  
- უთხარი, მოყმევე, რა გინდა,  
რა ცეცხლი გწვავს და ვინა ხარ,  
მდიდართ სარეცლის გამყოფი  
ცოტა ღარიბი გვინახავს?

\*\*\*  
მე ჭერმის ნერგი ვიყავ და  
კლდის ქიმზე ოლედ ვხარობდი,  
ამომადგეს და ბალ-ბაღის  
დუბელა წყლით მრწყეს... ამომდის  
სული აქ ტანჯვა-წამებით,  
ამ უცხო მინით, ხაროთი...  
მოდით! მიხსენით ნაზარდი,  
თოვლის ნაჟურის წყაროთი...

\*\*\*  
ქუჩიდან თვალი მოვკარი  
თეთრეულს, ქარში გაფენილს,  
ხალათი გამოვარჩიე,  
სამკერდით, ოქროთ ნაფერით,  
მონადირისგან თავდახსნილ  
ხობობს ვამსგავსე აფრენილს,  
ჩემად ვინატრე პატრონი,  
ეს იყო... სხვა არაფერი.

თარგმნილი შიში შაჰნაზარმა





# სულის ცხრაკლიტულები

გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში დაუნჯებულ პირად არქივებში დაცულ წერილებსა თუ მოგონებებში ისეთ ამბებსაც წავეყნებთ, რომლებსაც ადამიანები თავიანთი სულის ცხრაკლიტულში გადამალავენ ხოლმე და უახლოეს მეგობარს თუ გაუმხელენ.

მუზეუმის თანამშრომლებს ის უპირატესობა გვაქვს, რომ შეგვიძლია გავეცნოთ და დაინტერესებული მკითხველისათვისაც ხელმისაწვდომი გავხადოთ ამა თუ იმ შემოქმედის ნაფიქრ-ნაოცნებარი.

ვსარგებლობ ამ უფლებით და გთავაზობთ 73 წლის წინ დაწერილ ბარათს, რომელიც, ჩემი აზრით, რამდენიმე კუთხითაა საინტერესო: პირველი — ჩვენს კომპიუტერიზებულ ყოფაში წმინდა ადამიანური ურთიერთობების უპირატესობას შეგვახსენებს, მეორე — ნიჭიერი და მოაზროვნე კაცის მიერ შეფასებულია ლიტერატურის თავისებურებანი და მეოცე საუკუნის ის მონაკვეთი, რომლის შემზარავ სინამდვილეს მხოლოდ უკანასკნელ წლებში ვეცნობით, და მესამე — პუბლიკაციით პატივს მივაგებთ ქართული ლიტერატურის ორ გამოჩენილ მოღვაწეს, ბატონებს ირაკლი აბაშიძესა და ნიკა აბიაშვილს. უფროს თაობას შევახსენებთ, ახალგაზრდებს კი გავაცნობთ წინა თაობის ქართველების ურთიერთობებს და თვისებებს, იმ ნაღდ დამოკიდებულებებს, რომელთა შენარჩუნება ოცდამეერთე საუკუნის საქართველოშიც სასურველად გვესახება.

წერილის სტილი დაცულია.

### მარიანე ყიფიანი

გ.ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა კოლექციის მცველი



ირაკლი აბაშიძე, მამია ასათიანი, ნიკა აბიაშვილი. კიკეთი. მწერალთა სახლი. 1957 წელი.

### ქაოლია

ისევე შენ გიგზავნი ამ წერილს. შენთან შეიძლება ასე გაბაასება. შენ ხარ დაუზარელი ამგვარი დამქანცველი და მომბაზრებელი წერილების კითხვაში. და შენ კითხულობ ხოლმე ამგვარ სტრიქონებს ისე, როგორც იგინი არიან.

წაიკითხე და თუ არ დაგეზაროს, წერილიც მომწერე:

წაიკითხე და თუ არ დაგეზაროს, წერილიც მომწერე:

წაიკითხე და თუ არ დაგეზაროს, წერილიც მომწერე:

იყავი სულ კარგად და კარგად. შენი ირაკლი.

მე აქ 10 იანვრამდე დავრჩები.

### ქოლია, ქაოლი!

მე აქ დავრჩნული, რომ ყველაზე უფრო მეტად ნერვები მაქვს გაფუჭებული. მთელი ღამე ისე გადის ხოლმე ხშირად, რომ რული არ მეკარება და დილით თვალები რგვალ-რგვალად მტკივა. ავიღებ ხელში წიგნს, ვკითხულობ, იქნებ დავიქანცო და დამეძინოს, მაგრამ არაფერს მშველის, პირიქით, ნერვიულობით უარესად ფიზიკურად სხეული და მაშინ წიგნის კითხვაც აღარ შემეძლიან.

ახლა უკვე ღამის მეორე საათია და ამ წერილის წერას შევუდექი, სულ ერთია, ისეთი შთაბეჭდილების ქვეშ ვარ, რომ მაინც არ დამეძინება. მიხდა მოგწერო:

ზღვის პირად ლუდხანაში შევედით: მალიშკინი, კიში, ერმილოვი (პირველი ავტორია, როგორც მოგეხსენება, „Nááñññ ò ò ò“ -ის, მეორე „Àèðèð è è è“ -ს და მესამე ქე იცი კრიტიკოსია) და მე. ლუდხანაში დროდადრო მატროსები შემოდიან ხოლმე, გადაკრავენ არაყს ან ლუდს და გადიან. ჩვენ ერთი ბოთლი რალაც ტკბილი ღვინო მოვითხოვეთ, ნელა შევექცევით, ერმილოვი რალაცას ხუმრობს და ვიცინით, ერთი სიტყვით, დროს ვკლავთ დამსვენებლებს.

ერთი მეთევზე შემოვიდა, ნახევრად სველი. ჩემს თანამესუფრეებს მიესალმა, ამათაც სალამი მისცეს, ხოლო მალიშკინმა მაშინვე ხელი წაატანა — „ვანა, დაჯექი ჩვენთან“ — იგი თითქოს მორიდებით გვერდზე გაიწია — აბა რასა ვგეგვარ, ამოგანგლული ვარ, თქვენთან როგორ დავჯდე, აგერ ფეხზე გადავკრავ და წავალ უკანვეო — მორიდებულად გვერდზე იწოდა, მარა ეს მორიდება არ უხდებოდა, ეტყობოდა ამკარად, რომ ეს მისი ჟესტი არაა. კარგი ჩასხმული რუსი ვაჟკაცია, ორმოც წელს მიღწეული. მერე ყველამ ვუთხარით და დაჯდა ჩვენთან.

მალიშკინმა ზედიზედ ორი ჩაის ჭიქა „მადერა“ გადააკურევიანა და გვარიადად შეუჩურდილანა.

ფანტასტიკურია რუსეთის სამოქალაქო ომი. ჩემს წარმოდგენაში ის უცნაური წლები ისეა გაზღაპრებული, რომ საკმარისია უმცირესი რამ ძეგლი დავინახო სამოქალაქო ომისა, რომ მერე მთელი საათი ვიფიქრო მასზე: აი ეს ასე იქნებოდა ალბად, აი ეს ისე იქნებოდა ალბად — ვფიქრობ მე. და ყველაფერი, რასაც მე ვიფიქრებ ხოლმე და გამოვიგონებ ჩემს წარმოდგენაში სამოქალაქო ომის შესახებ, რომ მართლა არსებულიყო და მომხდარიყო იმ წლებში, ახლა დავწერდი მას და ქე შექნებოდა კარგი ნაწარმოებები; მაგრამ ეს მხოლოდ ჩემი ფანტაზიის ნაფიქარი და სინამდვილეში რასაკვირველია არ ექნებოდა ასე ადგილი. ისე კი ჩემის ფანტაზიით რომ დავწერო სამოქალაქო ომზე რაიმე, დიდი კადნიერება იქნებოდა ჩემის მხრიდან, რადგან

იგი თავისთავად იმდენ ფანტასტიურ სიტუაციებსაც განაა შემდგარი, რომ კაცის ფანტაზია მასთან რა არი.

რახედ მოვყოლე ახლა ეს. იმ მეთევზეზე — ვინ არის იცი ეს კაცი? — მეუბნება ამხ. ერმილოვი — 1918 წლის შემდეგ ეს მეთევზე და მალიშკინი გუმინწინ შეხვდნენ აქ ერთმანეთს, იცნეს ერთმანეთი და წარმოიდგინე ალექსანდრ გეორგევიჩს ახლაც კი შეეძინა მისი და ფერი ეცვალა. ამ მეთევზემ 1917 წელს ნალმოსან „ხაჯი-ბეი“-ზე დახვრიტა 14 ოფიცერი, ხოლო მე-15 ოფიცრის დახვრეტაზე უფრო თქვა, გაანთავისუფლა და გადმოსვა ნაპირზე. ასე გადარჩა მაშინ ახალგაზრდა ოფიცერი მალიშკინი.

ალექსანდრ გეორგევიჩ მალიშკინი მშვენიერი ადამიანია, ამხელა კაცს სულ ბავშვის ხასიათი აქვს, დაჯდება ჩვენს სახლში აქ როიალთან და ისე ჭიჭყინობს, მართლა ბავშვი გეგონება, ან და გეტყვის ისე გულუბრყვილო რამეს, რომ გაგიკვირდება. ალბად აგეთივე იყო მაშინაც, როცა ოფიცრის ჩინი დაატყვეპეს ბეჭებზე. არ შეიძლებოდა, რომ მაგი მრისხანე ოფიცერი ყოფილიყო, უსათუოდ გულკეთილი და გულუბრყვილო იქნებოდა და ამან გადაარჩინა ალბად მაშინ დახვრეტას; რომ ვკითხე ამ მეთევზეს — რატომ არ დახვრიტე მეთქი, იცინის, არ მეუბნება; ამკარაა, რომ ეს ასეა. ახლა არ მპასუხობს მიტომ, რომ ერიდება მალიშკინის, არ უნდა თქვას, რომ იგი გულუბრყვილო იყო მაშინაც და გულუბრყვილო კაცს ხომ იცი როგორ უტყერა იმ ვაჟკაცებზე და მეომრებზე, არამედ, თუ სტენდალს დაუჯერებთ, გულუბრყვილო და კეთილ ადამიანებს ამ ქვეყნად კაცნი სულელს ეძახიანო. ვინ იცის მართლა ვინ არის ამათში სულელი ან ჭკუიანი, ამის განსჯა, ჩვენ არ შეგვიძლიან, ჩვენც კაცნი ვართ, სხვა მსაჯული კი ქვეყნად არ არსებობს და ეს საკითხი ასე გადანყვეტილი ყოფილა დღემდე და იქნება ალბათ ბოლომდე, თუ არსებობს საერთოდ ბოლოც.


ამ მეთევზემაც (მაშინ ნალმოსანის მატროსმა) ალბად ამ საერთო შეხედულებით იმოქმედა, ინსტიტუტურად, რასაკვირველია და თავისი დაკვირვებით, ეს ოფიცერი რომ განთავისუფლა, თორემ სტენდალი მაგას გაგონილიც არ ექნებოდა. და ახლა ხომ არ მეტყვის ჩემს შეკითხვაზე — რატომ არ დახვრიტეთქვა — რომ გულუბრყვილო, კეთილი და სულელი იყო და რას დაგვიმზავებდა ქვეყანაზე რომ ეარა და ეჩურჩუტაო. გავუშვი, რა საშაშიმყო იყო ვინმესთვისო.

მალიშკინი ახლაც ბავშვივით ეფოფინება მას, აძალებს ღვინოს, პურსა და კატლეტს. იგიც აუღელვებლად ზის და შეექცევა.

ამ კაცისათვის ახლა ყველაფერი სულ ერთი უნდა იყოს: ოფიცრები დახვრიტა, სამოქალაქო ომის ველზე კაზაკებს ტყვიამფრქვევებით აწვენდა, გემები ჩაძირა და ახლა მეთევზეა, თევზებს იჭერს, სრულიად უშიშრად, რა საშაშიმყო თევზი?

მისი ამხანაგები დიდები არიან ახლა. ზოგი სად და ზოგი სად. ეს სამოქალაქო ომის დროს რომ იყო, იმაზე პატარაა, შეჩვიდა თავის სიმცირეს უკვე და მეტზეც აღარ ფიქრობს. სწავლა არ ქონდა.

კორნეიჩუკის „ესკადრის დაღუპვა“ მე პირადად გაცილებით მიჩვენია მისსავე „პლატონ კრეჩეტს“, თუმცა ადამიანს „პლატონ კრეჩეტი“ უფრო გვაძლევს. დადებითი ტიპი ძნელი დასახატავია, კორნეიჩუკმა კი ამ უკანასკნელ პიესაში შესძლო ეს. მაგრამ მაინცთქო „ესკადრის დაღუპვა“ მიჩვენია, ჩემს ბუნებას ამგვარი რომანტიკა უფრო ესადაგება. როცა ეცნობი ამ პიესას, ფიქრობ — აი, ავტორმა ნამდვილად ამოწურა მთელი სიტუაცია, რასაც ჰქონდა ადგილი 1918 წელს, ამ ესკადრის გარშემოთქო. ალბად სინამდვილეში დიდად ამაზე მეტ გრადელისა არ ექნებოდა ადგილი და სურათი სრულად მოცემულითქო. მაგრამ თურმე ჩვენ ეს იმიტომ გგონია, რომ ნამდვილი ამბავი ჩვენთვის სრულიად უცნობია, ის ნამდვილი ამბავი, რომელიც 1918 წელს მოხდა, ნამდვილი ესკადრის დაღუპვა. ის მართლაც ვეებერთელა რალაც ყოფილა და ერთხელ ამ მაგალითზე კიდევ რწმუნდები, რა სუსტია და უძლური კალამი დიდ მოვლენათა აღწერაში. კალამს დიდი მოვლენების აღსაწერად უსათუოდ მხოლოდ მაშინ უნდა მოკიდებოდა ხელი, როცა ეს მოვლენა ასე თუ ისე ხალხს, დამსწრე ადამიანებს მიაღწევდა. ხომ ხედავ, მეც დისტანციის თეორიას მივადექი, მაგრამ რას იზამ, ამ თეორიას უსათუოდ აქვს თავისი გამართლება.



დიდი ხნის გასვლაც საეხებით და სრულიად არ შველის მხატვრის კალამს, მაინც არ შეუძლია მას სრულიად ასახოს მოვლენის სურათი, ამიტომ გამოიგონა კალამმა ბელეტრისტიკა, ე.ი. შეღავათი. — მე ამ მოვლენის ამბავი მჭირდება, მისი ჩონჩხი, მისი ფაქტი, თორემ მერე როგორ იძლებოდა ის და ვითარდებოდა, ჩემთვის სულ ერთია, მე ჩემებურად გავმლი ამ ამბავს, ხორცს შევასხამ, მე ხომ ისტორიას არ ვწერ, მე ბელეტრისტიკას ვწერო — ამბობს პროზაი-

კოსი და არც არავინ არ თხოვს პასუხს ამ მოქმედებისთვის, რა სჯობია ამას. ვის ახსოვს ახლა გენერალ დრაგომიროვის „გამანადგურებელი“ წიგნი ლევ ტოლსტოის „ომსა და ზაგზე“. აუსტერლიცი სინამდვილეში ისეთი არ იყო, როგორც ტოლსტომ მოგვცაო. სისულელედ ჩანს ახლა ეს კრიტიკა. ჩვენ მკითხველებს ამნაირი აუსტერლიცი გვიჩვენია და სხვანაირი თითქმის არ ვიცით, ასე არ არის?

აი რა ბედნიერია ბელეტრისტიკა. რაზე მოვყოლე ახლა ეს? ისევ იმ მეთევზეზე, მეზღვაურზე. ეს კაცი ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი ყოფილა ესკადრის დაღუპვის ფაქტისა, დიდი მონაწილეობა მიუღია ესკადრის დაღუპვაში და როცა ვკითხეთ ნახა თუ არა კორნეიჩუკის პიესა, ხელი ჩაიჭინა და თქვა — ვნახეო. მაგრამ 1918 წელში ესკადრის დაღუპვა იყო უზარმაზარი რაიმე კომმარია და ეს პიესააო. წარმოიდგინე მეტი განმასხვავებელი თვისებები ან უკეთ, სხვა გვარი სახელწოდება განმასხვავებელი თვისებების მან ვერ ნახა, ერთი გაუნათლებელი კაცია და თქვა — ის კომმარია იყო, ეს პიესააო — და მერე მოჰყვა ამბავს, თუ როგორ იყო სინამდვილე ესკადრის დაღუპვისა 1918 წელს ივნისის 18-ს ნაშუადღევს დაახლოებით 3 საათზე. და წარმოიდგინე მართლა აჯობა ამ მოყოლამ მგონი კორნეიჩუკის პიესას. აქ ბევრი დეტალები იყო. ამას მე არ ვლაპარაკობ იმიტომ, რომ კალმის სისუსტე დავამტკიცო ერთხელ კიდევ, ან სხვა რაიმე. ამას მე ნამდვილად ვლაპარაკობ, მართალს ვლაპარაკობ.

აი რატომ არ მეძინება ჯერ. რასაკვირველია აქ არ ვწერ იმ დეტალებს, რაც მან მოჰყვა, მაგრამ ძილის გატეხა კი შეუძლიათ მათ ჩემთვის. ჩემი ძილის გატეხას ამდენიც არ მჭირდება. არ მონონს ამ მეზღვაურს კორნეიჩუკის პიესა; რასაკვირველია არ მოეწონება, სად ის, რაც მან ნახა 1918 წელს 18 ივნისს და სად ეს, რაც მან ნახა, შეიძლება, 1936 წელს რომელიმე თეატრის სცენაზე.

მაგრამ რა ფასი აქვს ახლა მის მონონება არ მონონებას? ან ვინ იცის, რომ იალტაში ზღვაზე თევზაობს ვილაც ყოფილი მეზღვაური, რომელიც იყო მონონედი ესკადრის დაღუპვისა და ამ კაცს სიცოცხლაც არ ჰყოფნის ამ ამბავზე დაწერილი მხატვრული ნაწარმოები? ის ნაწარმოები, რომელმაც ასე დიდი გამოძახილი ნახა მთელს საბჭოთა კავშირში და დიდი ჭკუიანი ხალხი მოუწინა მის გარჩევას, მის დადგმას, დიდი ნასწავლი ხალხი აღვრთოვანებაში არიან მისით. ვინ ჰკითხავს იმ მეთევზეს, ერთ უზარალო ნასაღდათარს, ნამატროსალს, რომელსაც თევზის ჭერის მეტი არაფერი ვალდებულება არ აქვს და არც არავინ იცის მეორე ქალაქში მისი არსებობა. რა იცის მან ლიტერატურის? დრამატურის?

ბელეტრისტიკა, დრამატურგია, ლმერთმანი, დიდი შეღავათია.

მე მაინც საშინლად დამაფიქრა ამ მატროსმა. შენ ალბად გაგეცინება და იტყვი — ეს ბიჭი როდის შემდეგ შეიქნა ასე „ბრძნული“ აზროვნების ხასიათზეო. ეს, როცა მართო ვზივარ ოთახში და სხვა არაფერი საქმე მაქვს, იმის ბრალია ალბად.

ახლა ქე დაწვები. აი როგორ გამფუჭებია ნერვები. ამგვარ რაიმეს უწინ რომ ვფიქრობდი ხოლმე, არ ვწერდი. ვინმე ნაიკითხავს და უხერხულათქო, ახლა ვწერ. იქნებ დავილალო და დამეძინოს. ვწერ და ისე ვარ, გამოგვიგზავნო შეიძლება წერილად — კიდევ. შენ გგონია ვიცი, რომ შენ გიგზავნი ამ წერილს? აი გავათავე წერა და ჯერ სათაური არ მიწერია, ე.ი. ვის ვწერ ამ წერილს, არ აწერია. ვის შეიძლება ასეთი წერილი გაუგზავნო და არ გაციონოს? ამას ახლა მე ვერ გადავწყვეტ. ამ წუთში მე გგონია ყველასთვის შეიძლება ამ წერილის გაგზავნა, მაგრამ დილას სულ სხვას ვიფიქრებ. დილას მივხვდები ალბად, რომ ყველასთვის არ შეიძლება ამგვარი წერილის წერა. ასე შემართება მე ლექსზეც: დავწერ ღამით ხანდახან, მგონია, შესანიშნავია. დილას ნავიკითხავ და გამოგიტყდები, დიდი სისულელეა, მაშინ იმ ლექსს მე დაუყოვნებლივ ვხევ ხოლმე და მიჩვეული ვარ ჩემს ამგვარ ბედს. ახლა სხვა დროა, მარტო ძარღვებით არ შეიძლება საზოგადოებას ელაპარაკო.

ასეა, ძმაო ჩემო. ხვალ დილას დავწერ ამ წერილს, ალბად, შენს სახელს და ჩაეფუჭებ ფოსტაში.

იყავი სულ კარგად და კარგად. ამელამ თუ დამეძინა, კარგი კია.

გწერს შენი ძმა

ირაკლი აბაშიძე

1936 წ. 12 XII. იალტა. ყირიმი

## ლიტერატურული გაზეთი

გამოდის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე  
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი  
ჟურნალისტიკის ხათუნა ალხაზიშვილი, თამარ ჟურული  
ტელ.: 292196; მობ. ტელ.: (877)742277; (899)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com